

ლორა ბუშმა „გოდების კედელი" მოინახულა

A5



ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ბედი ორ დღეში გაირკვევა

A6



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორი მოკლეს

A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 23 მაისი, 2005 წელი. №113 (973) | ფასი 50 თეთრი

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## სამართალი

„რატომ მფარველობენ მოძალადე ძალოვანებს"



გივი ჯანიაშვილი ორთაჭალის საპყრობილეში ჩატარებული ექსპერტიზისას.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 23/05 | 24/05 | 25/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 29 | 30 | 24 |
| ქუთაისი | 32 | 32 | 31 |
| ბათუმი | 28 | 27 | 25 |
| ფოთი | 32 | 30 | 28 |
| თელავი | 28 | 28 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8249 |
| ევრო | 2.3075 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3551 |
| რუბლი | 0.0652 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | დედაქალაქი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ცოცხალი პოეტებისა და მწერლების საზოგადოება

### ლიტერატურული პრემია "საბა" რვა ნომინაციაში განაწილდა



*"საბას" დამარცხებული არ ჰყავს, გამარჯვებულია ყველა - ნომინანტიც, ორგანიზატორიც და საზოგადოებაც.*

# აფხაზეთში რუსული კაპიტალის ექსპანსია გრძელდება

ეთერ მამულაშვილი

*როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსული კაპიტალის მოზღვავება ბაგაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. სეპარატისტთა ლიდერი რუს ბიზნესმენებს აფხაზეთში ინვესტიციების ჩადებისკენ ღიად მოუწოდებს და უსაფრთხოების გარანტად თავად უდგება. რეგიონის ისედაც დანგრეული ეკონომიკა ნელ-ნელა რუსულზე დამოკიდებული ხდება.*

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ერთობლივი ქართულ-აფხაზური ეკონომიკური პროექტებით კონფლიქტის დარეგულირებზე აქტიურად დაიწყო საუბარი, რუსი ბიზნესმენები კონფლიქტურ ზონაში ერთიორად გააქტიურდნენ. თითქმის კვირა არ გადის ისე, რომ აფხაზეთს რუს ბიზნესმენთა ჯგუფი ან ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები არ ეწვიონ. სეპარატისტთა ლიდერებთან პირისპირ შეხვედრებისა და საუბრის ძირითადი თემა აფხაზეთში რუსული ინვესტიციების დაბანდებაა.

იმ ფონზე, როდესაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი სტანისლავ ლაკობა ერთობლივ ქართულ-აფხაზურ ეკონომიკურ პროექტებში აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის აშკარა პოლიტიკურ საფრთხეს ხედავს, სეპარატისტთა ეკონომიკა რუსულზე სულ უფრო დამოკიდებული ხდება. რუსი ბიზნესმენების გახშირებული ვიზიტები აფხაზეთს არც არძინბას დროს აკლდა, თუმცა რუსულ კაპიტალს კარი რეგიონში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კიდევ

გაგრძელება A6 გვერდზე

# საფინანსო პოლიციის მიერ დაკავებული ქალები სასამართლომ გაათავისუფლა

თეა თედლიაშვილი

*გორიდან*

18 მაისს გორში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ხუთი ქალბატონი დააკავეს, რომლებსაც ცხინვალიდან კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდათ. დაკავებულები, ჯგუფური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს.

21 მაისს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ქართლოს სულაბერიძემ დაკავებულებს აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდა და დაკავებულების მიმართ ადმინისტრაციული სასჯელი გამოიყენა. თითოეული მათგანი 1500 ლარით დაჯარიმდა.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი შიდა ქართლში გიორგი გოცირიძე მიიჩნევს, რომ ფინანსურმა პოლიციამ უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებები: **"დაკავებულებს დააწერინეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ ადვოკატი არ სჭირდებოდათ. მათ განუმარტეს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემას (ჯარიმის გადახდა) აპირებდნენ."** მისი განმარტებით, თითოეულ დაკავებულს ჰქონდა 6-7 "ბლოკი" უაქციზო სიგარეტი, რომლის ღირებულება 200 ლარს არ აღემატება. სისხლის სამართლის კოდექსის მე-200-ე მუხლის თანახმად, უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის ღირებულება 200 ლარს აღემატება. **"ხუთი ქალბატონის ტვირთის ღირებულება ერთად შეადგენს 2000 ლარზე მეტს, რაც სამართალდამცველებს საშუალებას აძლევს, ამ ხალხის მიმართ გამოიყენონ სისხლის სამართლებრივი დევნა. სინამდვილეში, ქალბატონები ერთმანეთს საერთოდ არ იცნობენ. ალბათ, დაშინებით დააწერინეს, რომ ჯგუფურად მოქმედებდნენ. საქმე აგებულია ეჭვმიტანილთა აღიარებებზე და არ ერთვის ნივთმტკიცებად ჩამორთმეული ტვირთი. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანია,"** - ამბობს გიორგი გოცირიძე.

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ ასროშვილი მიიჩნევს, რომ დაკავებული ქალები წინასწარი დაკავების იზოლატორში სრულიად სამართლიანად მოხვდნენ: **"ადვოკატის აყვანაზე დაკავებულებისთვის უარი არავის უთქვამს, მათ ეს თვითონ არ მოისურვეს. თითოეულის ტვირთის ღირებულება არ აღემატებოდა 200 ლარს, მაგრამ ხუთივე ქალბატონმა ოქმში დააფიქსირა, რომ ჯგუფურად მოქმედებდნენ. ამიტომ ისინი სრულიად სამართლიანად იყვნენ გადაყვანილები წინასწარი დაკავების იზოლატორში. კონტრაბანდისტებთან შერიგებას ჩვენ არ ვაპირებთ, მათ მიმართ გამოყენებული იქნება მაქსიმალურად მკაცრი სანქციები კანონის ფარგლებში."**

# ჩუმი ექსპროპრიაცია

### გარდაბნის სასამართლომ ფარატინა ქაღალდებით წყნეთის მიწები გადაანაწილა

თამარ მჭედლიშვილი

*რამდენიმე დღის წინ თბილისის მერის მიერ გაკეთებულმა სენსაციურმა განცხადებამ, თბილისში მთელი რიგი ტერიტორიების უკანონო გაყიდვისა და გასხვისების თაობაზე, პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თუკი ერთი ნაწილი აშკარად მიესალმა მერის საკმაოდ რადიკალურ გადაწყვეტილებას უკანონო განკარგულებების გაბათილების თაობაზე, მეორე ნაწილმა ქალაქის თავკაცს პირდაპირ მიანიშნა, რომ იმის დადგენა, რამდენად კანონიერად მოხდა მიწის ნაკვეთების გაყიდვა, მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა. ამ შენიშვნაში, შესაძლოა, გასაკუთრებული არაფერი ყოფილიყო, რომ არა ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება - საქმე ის არის, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონში სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ღიად მონაწილეობდა მიწების ხელახალ და, უმეტეს შემთხვევაში, უკანონო გადანაწილებაში. თავად თბილისთან დაკავშირებით, ქალაქის რაიონული სასამართლოების მიერ მიღებულ რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, სადავო გადაწყვეტილებას გაზეთი უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ. ამჯერად კი, "24 საათი" წყნეთში ბოლო წლებში შექმნილ მდგომარეობაზე გაამახვილებს ყურადღებას.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ყველა მშენებლობას თავად მოვინახულებ"

### აცხადებს თბილისის მერი

თამარ დვალი

*"მინდა ვუთხრა მენაშენეებს: მას, ვინც აშენებს კანონის ფარგლებში და ხარისხიანად, ჩვენი სრული მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. ის დრო, როდესაც ჯერ პროექტს ხაზავდნენ და შემდეგ ცდილობდნენ ჩაესვათ კოეფიციენტებში, წარსულს ჩაბარდა. მე ყველა მშენებლობას თავად მოვინახულებ," – ეს განცხადება ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ბაგებში მიმდინარე ერთ-ერთი მშენებლობის მონახულებისას გააკეთა.*

**"მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ნახავს კანონდარღვევას და ამაზე თვალს დახუჭავს. დღეს მოვედი მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის სანახავად და მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ეს მშენებლობა სწორედ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის პერიოდში დაიწყო. მადლობა დამკვეთს და მშენებელს იმის გამო, რომ ყველაფერი ნორმების დაცვით მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ აქ მშენებლობის ხარისხი განვითარებული ქვეყნების დონეს უთანაბრდება. თანამედროვე არქიტექტურაა, თუმცა შენარჩუნებულია თბილისური სტილი,"** – განაცხადა ქალაქის მერმა, როდესაც კუს ტბის ასასვლელთან მიმდინარე მშენებლობის დასათვალიერებლად მივიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საპროტესტო აქცია რუსთავში

გუშინ რუსთავში მოსახლეობის მცირერიცხოვანი აქცია მოეწყო. ისინი იმ მშენებლობას აპროტესტებდნენ, რომელიც რუსთავში ყველაზე დიდმა სავაჭრო ცენტრმა "ვეჯინმა" დაიწყო. მოსახლეობის მტკიცებით, მაღაზიის მფლობელი მის გაფართოებას აპირებს, რითიც მის მახლობლად მცხოვრები ადამიანები ზარალდებიან.

ადგილობრივი ხელისუფლებიდან აქციაზე არავინ მისულა და, შესაბამისად, მათთვის არავის აუხსნია, რომ გაფართოება აღნიშნულ სავაჭრო ცენტრს თავად ქალაქის არქიტექტურამ შესთავაზა გარე ფასადის გალამაზების მოტივით. "ვეჯინი" რუსთაველ პარლამენტარს, ნაციონალ თამაზ გველუკაშვილს ეკუთვნის და ის ყველაზე განვითარებული სამალაზიო ქსელია რუსთავში. ამ ქსელის ყველაზე დიდი მაღაზიის ფასადის შეცვლა-გალამაზება პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის ერთ-ერთი ინიციატივა იყო და ის ერთგვარ სადამსჯელო წინადადებად უფრო ითვლებოდა, ვიდრე ბიზნესის გაფართოებისათვის საჭირო ქმედებად.

საპროტესტო აქცია ხმაურის გარეშე დაიშალა, თუმცა მისი მონაწილეები შეკრებას კვლავაც გეგმავენ.

*24 საათი*

# თაღლითური კვანძი იმერეთსა და კახეთს შორის გაუხსნელი რჩება

*მაია მეცხვარიშვილი*
*ქუთაისიდან*

მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების სახელით თაღლითურმა დანაშაულებმა საკმაოდ მასშტაბური სახე მიიღო. თაღლითების მახეში ამ რამდენიმე თვის წინ ქუთაისელი პენსიონერი ნანული ორაგველიძე გაება, რის შედეგადაც დამნაშავეებმა მას 210 ლარის ღირებულების მონობარათები გამოსძალეს.

**"შინ მე და ჩემი შვილიშვილი ვიყავით, როცა უცნობმა მამაკაცმა დარეკა ჩემი სახლის ტელეფონის ნომერზე და მითხრა, რომ ჩემმა ნომერმა მოიგო დიდძალი თანხა "მაგთიკომის" ლატარეაში, ოღონდ ამ თანხის მისაღებად საჭირო იყო, რომ მეყიდა შვიდი ცალი 30 ლარიანი მონობარათი და შესაბამისი ნომრები მეკარნახა მისთვის. იმდენად აღმაფრთოვანა ამ სასიხარულო ამბავმა, რომ მთელი სამეზობლო და საახლობლო შემოვიარე, რომ მონობარათების შესაძენი თანხა მესესხა. აბა, მე მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი ქალი ვარ და ფული საიდან უნდა მქონოდა,"** - იხსენებს ნანული ორაგველიძე "24 საათთან" საუბარში.

ეს ამბავი გასული წლის 9 ივნისს მოხდა. ნანული ორაგველიძემ ნასესხები ფულით 7 ცალი მონობარათი იყიდა და დიდი ფულის მოგების იმედით უცნობ მამაკაცს ბარათების ნომრები უკარნახა ტელეფონით. ამის შემდეგ ორაგველიძის სახლში განმეორებითი ზარი გაისმა. ამჯერად უცნობი მამაკაცის ხმამ მისგან კიდევ ათი მონობარათის შეძენა მოითხოვა მოგებული თანხის საბოლოოდ მისაღებად. დამატებით შესაძენი მონობართებისათვის საჭირო 300 ლარის შოვნა ორაგველიძემ ველარ მოახერხა, თანაც მომხდარის თაობაზე ამასობაში მისმა შვილმაც შეიტყო, რომელიც უმალვე მიხვდა, რომ დედამისი თაღლითების მახეში გაება.

ამის შემდეგ ნანული ორაგველიძემ დასახმარებლად პოლიციას მიმართა, საიდანაც საქმე ფინანსურ პოლიციაში გაიგზავნა.

აღნიშნული დანაშულის მოკვლევას თავდაპირველად ქუთაისის ფინანსური პოლიცია აწარმოებდა. მოკვლევის შედეგად ამოღებული იქნა ის ტელეფონის ნომრები, საიდანაც ნანული ორაგველიძეს თაღლითები დაუკავშირდნენ.

**"მობილური ტელეფოინს ნომერი 899 75 94 78 ეკუთვნოდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მცხოვრებ მოქალაქე ვაჟა ჯამათაშვილს. შესაბამისად, ქვემდებარეობის მიხედვით, 2004 წლის 31 დეკემბერს მასალები კახეთის ფინანსურ პოლიციას გადაეგზავნა. კახეთის ფინანსური პოლიციის მიერ მოკვლეულ მასალებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს არის ელემენტარული თაღლითობა. ამას წინათ მეც დამირეკეს მსგავსი შეტყობინებით. მეც ვუთხარი, სად ზიხარ, მითხარი და გამოგიგზავნი-მეთქი მონობარათს. ცხადია, მაშინვე გამითიშეს ტელეფონი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ დანაშაულის ავტორები, ძირითადად, ციხეში სხედან, ანუ ამას ის პირები ჩადიან, რომლებიც უკვე დასჯილები არიან სხვადასხვა დანაშაულისათვის,"** - აცხადებს ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბრიჩიძე "24 საათთან" საუბარში.

რაც შეეხება მეორე დამნაშავეს, მისი ვინაობა დღემდე დაუდგენელია. როგორც ქუთაისის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, "მაგთიკომის" მიერ აღნიშნული ნომერი (899 75 94 79) არარსებულ პიროვნებაზეა გამოწერილი. იმისათვის, რომ პირი ძმაგთიკომის" აბონერტი გახდეს, აუცილებელია, რომ მან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირადობის მოწმობა ყალბია, ცხადია, პირის ვინაობის დადასტურება შეუძლებელი ხდება.

"24 საათი" დაინტერესდა, დაისაჯა თუ არა უკვე დადგენილი ნომრის მფლობელი და საკითხის გასარკვევად კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსთან ზურაბ ბეჟანიშვილთან დაკავშირება სცადა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ჩვეთვის გახდა ცნობილი, ამ რამდენიმე დღის წინ მან კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსის თანამდებობა დატოვა. მისი შემცვლელის ვინაობა კი დღემდე უცნობია. კახეთის ფინანსური პოლიციის სხვა თანამშრომლები ჩვენთან სატელეფონო საუბარში აცხადებენ, რომ აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.

ქუთაისის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, რომ მსგავსი სახის დანაშაულები მათ უწყებაში ხშირად არ ფიქსირდება.

**"ადამიანებს რცხვენიათ და საკუთარ თავზე ეცინებათ, რომ მოტყუებული აღმოჩნდნენ და ამიტომ განცხადებით არ მოგვმართავენ,"** - განმარტავს სოსო გაბრიჩიძე.

ნანული ორაგველიძემ კი, მართალია "სირცხვილს" გადააბიჯა და განცხადებით სამართალდამცავ უწყებებს მიმართა, მაგრამ ამ დანაშაულისთვის დღემდე არავინ დასჯილა. მოტყუებული პენსიონერი კი თაღლითებისაგან გამოძალული ნასესხები ფულის გასტუმრების გზების ძიებაშია.

# კოდორის ხეობაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა შეიქმნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა შექმნა.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის საინფორმაციო დეპარტამენტის ცნობით, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ ამ უწყების ხელმძღვანელის თანამდებობაზე სასაზღვრო ჯარების ოფიცერი, ადგილობრივი მკვიდრი მევლუდ ჯაჭვლიანი დაამტკიცა.

*პრაიმ-ნიუსი*

# "ყველა მშენებლობას თავად მოვინახულებ"

*პირველი გვერდიდან*

საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელსაც შპს "ბაგები 2002" ახორციელებს, გასულ წელს დაიწყო. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე 6 საცხოვრებელი კორპუსი შენდება, რომელიც ერთ კომპლექსად ერთიანდება. დაბალსართულიანი კორპუსები სულ 60 ბინაზეა გათვლილი.

"ბაგები 2002"-ის ხელმძღვანელის ჯუმბერ ხატიაშვილის თქმით, პროექტი მცხოვრებთათვის საჭირო ყველა ობიექტს და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. კერძოდ, აქ იქნება შიდა ეზო, სპორტული მოედანი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომი, სუპერმარკეტი, პრესის ჯიხური და ა. შ. მშენებლობა მომავალი წლის სექტემბერში დასრულდება.

**"ეს არ არის ერთი სახლი, არამედ ექვსი არქიტექტორის მიერ შესრულებული ექვსი სხვადასხვა პროექტია ერთ ანსამბლში გაერთიანებული,"** – აღნიშნა ჯუმბერ ხატიაშვილმა.



*დედაქალაქის მერი მზადაა, ყველა მშენებლობის კანონიერება პირადად შეამოწმოს.*

# კონფლიქტის ზონის სოფლები დახმარებას სასწრაფოდ საჭიროებენ

*თეა თედლიაშვილი*
*გორიდან*

პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში მიხეილ ქარელი 21 მაისს კონფლიქტის ზონაში, პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ჭარებში ჩავიდა და მოსახლეობას ფქვილი და სხვა სურსათი ჩაუტანა.

სოფელი ჭარები მეწყერსაშიშ ზონაშია მოქცეული. წყალდიდობების გამო, სოფლამდე მისასვლელი და შიდა გზები მთლიანად ჩაიხრამა. მოსახლეობას არ ემსახურება ტრანსპორტი, მოსახლეობა ტელეგადაცემებს ვერ იღებს.

სოფელში სულ 47 ოჯახი ცხოვრობს, მათი საცხოვრებელი სახლები საგანგაშო მდგომარეობაშია, ყველა მათგანი 1991-1992 წლებში მომხდარი მიწისძვრების შედეგად სერიოზულად არის დაზიანებული. სოფელში ბავშვები კი მრავლად არიან, მაგრამ არ გააჩნიათ სკოლა, მის მაგივრობას მატარებლის ვაგონი უწევს.

მიხეილ ქარელი სოფლის მოსახლეობას 1 სექტემბრამდე სკოლის აშენებას შეჰპირდა, რათა ბავშვებს ცოდნის მისაღებად სხვა სოფლებში არ მოუწიოთ სიარული.

ხელისუფლება ერთ კვირაში სოფლისთვის ავტობუსსაც გამოყოფს, შეაკეთებს გზებს, რომელიც სერიოზული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს.

"ეს სოფელი კარგახანს იყო იზოლირებული დანარჩენი საქართველოსგან. აქ მეწყერმა გზები ისე დააზიანა, რომ მოსახლეობას გადაადგილების საშუალება არ ჰქონდა. ასეთი სახის აქციები გაგრძელდება. ჩვენ ყველანაირ პირობას შევქმნით იმისთვის, რომ ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეთ. დავდგამთ სატელევიზიო ანძას, რათა არ ჰქონდეთ კომუნიკაციების პრობლემა დანარჩენ საქართველოსთან. ჩვენ შევქმნით ისეთ პირობებს, რომ მოსახლეობას აქედან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეს," - განაცხადა მიხეილ ქარელმა.

მოსახლეობისთვის პრიორიტეტი სახლების შეკეთებაა, რომლებიც თავზე ენგრევათ.

# "საქართველოში კომერციული სექსბიზნესისა და ჰომოსექსუალიზმის "ბუმია"

**უფასო დიაგნოსტიკური აქცია რუსთავში**

*მაია მოსიაშვილი*

გასულ შაბათს რუსთავის ვენდისპანსერში საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტისა და კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტის ერთობლივი ერთდღიანი უფასო დიაგნოსტიკური აქცია მოეწყო. მოძრავი ლაბორატორიას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას" ეკუთვნის, მთელი დღის მანძილზე ასამდე ანონიმმა მიმართა.

მანანა ბერუჩაშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

-ამგვარი აქციები სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. ეს არის სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მათი პრევენცია-პროფილაქტიკა. რუსთავში მოძრავი ლაბორატორია პირველად იქნა ჩამოყვანილი. გარდა ამისა ჩამოსული არიან კანის ექიმები. უფასო გამოკვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისეთი დაავადებების შეთხვევაში, როგორიცაა გონორეა, სიფილისი, ტრიხამონია-ქლამიდიოზი და ა.შ., ექიმებთან მიმართვიანობა მცირეა.

გიორგი გალდავა, სს კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

- საქართველოში კომერციული სექსბიზნესისა და ჰომოსექსუალიზმის "ბუმია", ეს ბიზნესი სრულიად უკონტროლოა და წარმოუდგენელია, რომ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები არ იყოს. ჩვენი აქციის მთავარი მიზანია, მოსახლეობის ინფორმირება იმ პროგრამის თაობაზე, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს. მათ არ იციან, რომ შეიძლება ასეთი სამედიცინო სერვისის მიღება. ხშირია შემთხვევები, როცა მოსახლეობა სქესობრივად გადამდები დაავადებების გამოსაკვლევად მიმართავს არა ექიმვენეროლოგს, არამედ არაპროფესიონალს. გასულ წელს რუსთავში სიფილისის 12 შემთხვევა იყო გამოვლენილი, რაც აბსოლუტურად არარეალურია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთ ქუჩაზე გამოვავლინოთ ამდენი დაავადებული. ამიტომ უნდა მოხდეს ხალხის მოზიდვა, მათი დაავადებების წყაროებისა და კონტაქტების გამოვლენა, რათა შემდგომში გარკვეული პრევენციული და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები ჩატარება შევძლოთ. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

გოჩა ტაბატაძე, რუსთავის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერის დირექტორი:

- სტატისტიკა ძალიან განსხვავდება რეალობისაგან, რადგან ვისაც არ ეზარება ყველა მკურნალობს ამ დაავადებებს. იმის გამო, რომ ხშირად ხდება მათი დაფარვა და არ ხდება აღრიცხვა, რეალურ სურათს ვერ ვფლობთ. წელს რუსთავში ათაშანგის 9 შემთხვევა იყო გამოვლენილი. მოსახლეობის გაუთვითცნობიერებლობა ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისშემშლელი ძირითადი პრობლემაა. მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ გართულებული ათაშანგი იწვევს ფსიქიკურ აშლილობას და საქართველოში ამის მაგალითებიც არსებობს.

აქციის ორგანიზატორების ინფორმაციით, უკანასკნელ თვენახევარში, სხვადსხვა პროგრამის განხორციელების ფარგლებში, მარტო სიფილისის 20 შემთხვევა გამოვლინდა. მათივე თქმით, აღნიშნულ სფეროში შედეგების მისაღწევად აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც მოაწესრიგებდა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებათა აღრიცხვიანობის პრობლემას, წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია ძალიან მძიმე შედეგები მივიღოთ დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუარესების ჩათვლითაც კი.

რუსთავის შემდეგ დიაგნოსტიკური აქციები ბორჯომსა და აჭარაში გაიმართება.

# 30 ოქროს ზოდი და 10 მილიონით გამდიდრებული ბოლნისი

ქვემო ქართლის მხარეში ბოლნისი, თავისი ოქროს საბადოების წყალობით, ყველაზე მდიდარი რაიონია. მისი 13,5 მილიონ ლარიანი ბიუჯეტი, სადაც 8 მილიონი "მადნეულზე" მოდის, ცოტა ხნის წინ დაუგეგმავად გაიზარდა და სულ 21,5 მილიონი ლარი შეადგინა.

"მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, "ინვესტბანკიდან" ამოღებულ იქნა 30 ოქროს ზოდი, რომელთა ღირებულებაა 10 377 546 ლარი. ეს თანხა რაიონის ბიუჯეტს ეკუთვნის," - განუცხადა "24 საათს" ბოლნისის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი არევაძემ.

ზემოთ ნახსენები ოქრო ფართო საზოგადოებისათვის "ლევან მამალაძის ოქროს ზოდების" სახელით არის ცნობილი. რაში მოიხმარს ბოლნისი ამ თანხას უკვე ცნობილია. როგორც არევაძე აცხადებს, ისინი ამ ფულის დიდი ნაწილით ჰესის აშენებას აპირებენ, რომლის პრივატიზებაც შემდეგ მოხდება.

"3-4 მეგავატიანი სიმძლავრის ჰიდრო ელექტრო სადგური მდინარე კეტას შესართავთან აშენდება. თანხა 6 მილიონამდეა გათვლილი. საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, მაგრამ ჩვენ, ალბათ, მაინც რეკომენდაციას გავუწევთ ადგილობრივ ორგანიზაციებს. ქართველი ენერგეტიკოსები არც თუ ისე ხელწამოსაკრავები არიან. ჰესის პლატინაში გაიწმინდება ოქროს წარმოებიდან დაბინძურებული წყალი, გარდა ამისა დასაქმდება ხალხი და გვექნება საკუთარი ელექტროენერგია. ეს ყველაფერი ღირს ამ თანხად," - ამბობს არევაძე.

გამგებლის თქმით, ეკოლოგიური თვალსაზრისით ბოლნისში სავალალო მდგომარეობაა - დაბინძურებულია მდინარე მაშავერა, მოსახლეობაში კი ყოველწლიურად მატულობს მკვდრადშობადობა თუ ონკოლოგიური დაავადებების ფაქტები.

- "მადნეული" მილიონებს იხდის რაიონის ბიუჯეტში, თუმცა ეს კაპიკებია იმ ზარალთან შედარებით, რასაც ეს საწარმო გვაყენებს. ზიანის კომპენსირება, ფაქტობრივად, ვერ ხდება, - ასე ფიქრობეს არევაძე.

გასულ კვირას ბოლნისის რაიონის მოსახლეობის ონკოლოგიური შემოწმება დაიწყო. ამ საქმისთვის რაიონის ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი გამოიყო, გამოცხადდა ტენდერი, რომლის გამარჯვებულად დავით ტატიშვილის კლინიკა დასახელდა. ამ შემოწმებას ერთგვარი მონიტორინგის სახეც ექნება, რადგან მიუხედავად წლების მანძილზე არსებული ეკოლოგიური პრობლემებისა, იქ მაცხოვრებლების მასობრივი გამოკვლევა აქამდე არ მომხდარა და, შესაბამისად, არც იმ ზიანის მასშტაბებია ცნობილი, რასაც ბოლნისელებს ოქროს წარმოების გამო დაბიძურებული მდინარე მაშავერა აყენებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### რუსეთი თავის მოქალაქეებს ურჩევს, აჭარაში ჩასვლისგან თავი შეიკავონ

საქართველოში რუსეთის საელჩო 20 მაისს ბათუმში რუსი სამხედროების დაკავების ფაქტს აპროტესტებს და მორიგ პროვოკაციას უწოდებს.

„ისინი ყოველგვარი მიზეზის გარეშე დააკავეს. თანაც, ეჭვს არ იწვევს ის, რომ აღნიშნული აქციის შესახებ ქართული საინფორმაციო საშუალებები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი," - ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

საელჩო სამხედროების დაკავებას სამხედრო ბაზების შესახებ მოახლოებულ რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებს უკავშირებს, თითქოს რუსი სამხედროების დაკავების ფაქტი მოლაპარაკებების "ატმოსფეროს დაძაბვისათვის" გამიზნული იყო.

„ეს წინასწარ დაგეგმილი ინციდენტი, აგრეთვე, ბათუმში რუსეთის მეთორმეტე სამხედრო ბაზის წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციები ანტირუსული განწყობილების პროვოცირებისკენ არის მიმართული," - ნათქვამია განცხადებაში.

საელჩო რუსეთის მოქალაქეებს ურჩევს, ბათუმში და, საერთოდ, აჭარაში ჩასვლისგან თავი შეიკავონ;

საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის წევრის ირაკლი კენჭოშვილის განცხადებით, რუსეთი ნერვიულობს, რადგან გრძნობს თავის უხერხულ მდგომარეობას, რომ საერთაშორისო ვალდებულებებს არ ასრულებს.

„რუსეთი ხედავს, რომ სახელმწიფოსთან აქვს საქმე, რომელიც თავის დადგენილებებს პრინციპულად ასრულებს. რუსეთი ხედავს, რომ ქართული მხარე სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით დათმობას არ აპირებს და ამიტომაც გაღიზიანებულია. ის შეტევაზე სწორედ მაშინ გადადის, როცა საქართველო კომპრომისზე მიდის. ამ კომპრომისების ხილვას რუსები შევარდნაძის დროს მიეჩვივნენ, როცა პარლამენტის დადგენილებები არ სრულდებოდა. დღეს ისინი კომპრომისებს ველარ ხედავენ და ამიტომაც არიან განაწყენებულები," - აცხადებს ირაკლი კენჭოშვილი. მისივე თქმით, განაწყენებული რუსეთისაგან პროვოკაციები მოსალოდნელია, რაც შესაძლოა, სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებსაც შეეხოს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია უნგრეთის ქალაქ შიოფოკში სასაზღვრო პოლიციის რიგით მე-13 საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 22-დან 25 მაისამდე გაიმართება.

კონფერენციაზე ქართულ მხარეს დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე და სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი ეკა გიგაური წარმოადგენენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას განცხადებით, ეუთოს მიერ საქართველო-რუსეთის საზღვარზე მონიტორინგის მისიის შეწყვეტასთან ერთად, საზღვარზე არსებული ტექნიკის გატანის ინიციატივა რუსეთს ეკუთვნის.

მისი თქმით, რუსეთი ეუთოში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობს და წევრ ქვეყნებს აშანტაჟებს.

რურუას თქმით, ეუთოს მონიტორინგის მისიას საზღვარზე ღამის ხედვისა და მაღალი მგრძნობელობის აპარატურა ჰქონდა, რაც ქართულ მხარეს არ გააჩნია. ასეთი აპარატურის გარეშე საზღვრის კონტროლის ხარისხი გაუარესდება.

რურუას ინფორმაციით, 2 თვეა, საქართველოში იმყოფება ევროკავშირის სამი წარმომადგენელი, რომლებიც სხვადასხვა უწყებასთან, მათ შორის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან კონსულტაციებს მართავს ქართული სასაზღვრო ძალების განვითარების საკითხებზე.

რურუა იმედს გამოთქვამს, რომ საზღვრების გაკონტროლებაში საქართველოს, ეუთოს ნაცვლად, ევროკავშირი დაეხმარება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, საქართველოს მთავრობა პარლამენტში ლიცენზიების შესახებ კანონში ცვლილების პაკეტს წარადგენს.

ცვლილებები ლიცენზიების სისტემის გამარტივებას და ლიბერალიზაციას ითვალისწინებს.

ამ პროექტზე პარლამენტის ბიუროს სხდომა იმსჯელებს.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის ინფორმაციით, ბიუროს

დღის წესრიგში ასევე იქნება სარეგისტრაციო მოსაკრებლების კანონში ცვლილებების საკითხი, რომელიც პრესტიჟულ ნომრებზე გადასახადის დაწესებას ითვალისწინებს.

მიუხედავად პარლამენტის წინააღმდეგობისა, ხუროშვილი ისევ აპირებს, ბიუროს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონში ცვლილებები წარუდგინოს, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის და ფინანსთა მინისტრებს გრიფით "საიდუმლო" დოკუმენტების გამოცემის უფლება ენიჭებათ.

რაც შეეხება ბიუროს სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის დასწრებას, ხუროშვილი აცხადებს, რომ წერილობითი ფორმით მისთვის პარლამენტს არ მიუმართავს.

„ჩემთვის ამის შესახებ არავის უთქვამს, შესაბამისად, მე სალომე ზურაბიშვილი არც გამიფრთხილებია; თუ პირადად მისწერეს პარლამენტიდან, ამის შესახებ არაფერი ვიცი," - განაცხადა ხუროშვილმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჩუმი ექსპროპრიაცია

პირველი გვერდიდან

უკანონოდ აშენებული აგარაკები, მიტაცებული მიწის ნაკვეთები, კორუფციული გარიგებები - ეს ის ბრალდებებია, რომელსაც, ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას, მიხეილ სააკაშვილი სატყეო მეურნეობის მესვეურებს უყენებდა. თუმცა მოგვიანებით, როდესაც სკანდალი მეტ-ნაკლებად ჩაცხრა, გაირკვა, რომ წყნეთში მიწების მიტაცება კვლავაც გრძელდებოდა და ამ პროცესში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა როგორც დაბის გამგეობა, ასევე გარდაბნის რაიონული სასამართლო და ამ რაიონის მიწის მართვის დეპარტამენტის ადგილობრივი სამმართველო.

მართალია, ის ადამიანები, რომლებიც ამ კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობდნენ, დღეს თანამდებობებიდან გათავისუფლებულები არიან, მაგრამ წყნეთის მიწები დღესაც უკანონოდ არის გადაფორმებული ერთი მფლობელიდან მეორეზე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იმავე ადამიანებმა მიწის საკუთრების მოწმობები იმ ტერიტორიებზეც გასცეს, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილება იყო.

**პრეისტორია:**

1990-იან წლებში წყნეთში საკმაოდ ბევრი ნაკვეთი გაიყიდა. 2000 წლის ცხრა მარტს, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად, ამ ნაკვეთების მფლობელებზე, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობები გაიცა. შესაბამისად, ისინი სააგარაკე ნაკვეთების კანონიერი მფლობელები კიდევ ერთხელ გახდნენ. ასეთ ნაკვეთებზე, როგორც წესი, სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მიზნით, ისმებოდა ბეტონის ბოძები, ილობებოდა მავთულის ბადეებით. როგორც ჩვენ გავარკვიეთ, მიწის მესაკუთრეთა აბსოლუტური უმრავლესობა სრულად და დროულად იხდიდა მიწის სარეგისტრაციო მოსაკრებელს და, ამ მხრივ, მათზე დავალიანებები არ ირიცხებოდა.

ვითარება 2002-2003 წლებში შეიცვალა, როდესაც გარდაბნის რაიონული სასამართლო წყნეთელების სასარჩელო განცხადებებით, ფაქტობრივად, "დაიბომბა". წყნეთელები სასამართლო ხელისუფლებისაგან "მამაპაპეული მიწების" დაკანონებას ითხოვდნენ.

ამ პერიოდში, გარდაბნის რაიონულ სასამართლოში შესულია, დაახლოებით, ორმოცამდე სასარჩელო განცხადება, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. თითოეული მოსარჩელე ერთადერთ დამადასტურუბელ დოკუმენტად ლეგენდარულ ზონარგაყრილ წიგნს ასახელებდა, სადაც მითითებული იყო, რომ მათ მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მამაპაპეული იყო. თანაც, წყნეთელებმა პრეტენზია გამოთქვეს როგორც სხვის კუთვნილ, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

მოსარჩელე ზაურ გორგაძის სასარჩელო განცხადება:

**"მოგახსენებთ, რომ ჩემს ოჯახს მარავალი წლის მანძილზე შემოლობილი გვაქვს მამაპაპური მიწის ნაკვეთი თბილისი-წყნეთის გზის მეცხრე კილომეტრზე, წყაროს მარცხენა მხარეს, ე.წ. "ნატბეურას" ტერიტორიაზე 2000 კვ. მეტრი. ჩვენი ოჯახი განიცდის მიწის ნაკვეთის დეფიციტს. მამაპაპური ნაკვეთის შესახებ აღნიშნული იყო ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც გამგეობის ძველ შენობაში ინახებოდა. ეს შენობა 1993 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა. იქ არსებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად განადგურდა ზონარგაყრილი წიგნი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და საკუთრებაში გადმოგვცეთ ჩვენი მამაპაპური მიწის ნაკვეთი."** (აქაც და ქვემოთაც სტილი დაცულია).

მოსარჩელე გია მათიაშვილის სასარჩელო განცხადება:

**"მოგახსენებთ, რომ ჩვენი ოჯახი წლების მანძილზე ამუშავებდა თბილისი-წყნეთის გზის მეცხრე კილომეტრზე, წყაროს მარცხენა მხარეს ე.წ. "ნატბეურას" ტეორიტორიაზე 2000 კვ. მეტრს მამაპაპურ მიწის ნაკვეთს. ჩვენი ოჯახი განიცდის მიწის ნაკვეთის დეფიციტს. მამაპაპური მიწის ნაკვეთის შესახებ აღნიშნული იყო ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც ინახებოდა ძველი გამგეობის შენობაში, რომელიც 1993 წელს, ხანძრის შედეგად დაიწვა და იქ არსებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად განადგურდა ზონარგაყრილი წიგნით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და საკუთრებაში გადმოგვცეთ ჩვენი მამაპაპური მიწის ნაკვეთი."**

მოსარჩელე ნანა მათიაშვილის სასარჩელო განცხადება:

**"მოგახსენებთ, რომ ჩვენი ოჯახი წლების მანძილზე ამუშავებდა თბილისი წყნეთის გზის მეცხრე კილომეტრზე წყაროს მარცხენა მხარეს ე.წ. ნატბეურას ტერიტორიაზე 2000 კვ. მამაპაპური მიწის ნაკვეთს. ჩვენი ოჯახი განიცდის მიწის ნაკვეთის დეფიციტს. ჩვენს მამაპაპურ მიწის ნაკვეთის შესახებ აღნიშნული იყო ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც ინახებოდა ძველი გამგეობის შენობაში. ეს შენობა 1993 წელს ხანძრის შედეგად განადგურებულ იქნა. სხვა დოკუმენტებთან ერთად განადგურდა ზონარგაყრილი წიგნი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და საკუთრებაში გადმოგვცეთ ჩვენი კუთვნილი მამაპაპური მიწა."**

მოსარჩელე დავით მათიაშვილის სასარჩელო განცხადება:

**"მოგახსენებთ, რომ ჩვენი ოჯახი წლების მანძილზე ამუშავებდა თბილისი წყნეთის გზის მეცხრე კილომეტრზე წყაროს მარცენა მხარეს ე.წ. ნატბეურას ტერიტორიაზე 2000 კვ. მეტრს მამა-პაპურ მიწის ნაკვეთს. ჩვენი ოჯახი განიცდის მიწის ნაკვეთის დეფიციტს. ჩვენს მამაპაპურ მიწის ნაკვეთის შესახებ აღნიშნულ ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც ინახებოდა ძველ გამგეობის შენობაში. ეს შენობა 1993 წელს ხანძრის შედეგად იზოლირებული იქნა. სხვა დოკუმენტებთან ერთად განადგურდა ზონარგაყრილი წიგნი. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და საკუთრებაში გადამოგვცეთ ჩვენი კუთვნილი მამაპაპური მიწა."**

ზუსტად ასეთი შინაარსისაა სხვა სასარჩელო გაცნხადებებიც - იგივე სტილი, იგივე გრამატიკული შეცდომები.

შემდეგ კი მოვლენები ერთნაირი სცენარით ვითარდებოდა: ასეთი სახის სარჩელები, რომელიც სასამართლოში, როგორც წესი, ერთსა და იმავე დღეს შედიოდა, ერთიანდებოდა და მოპასუხე მხარედ გარდაბნის რაიონის სატყეო მეურნეობა გვევლინებოდა. პროცესს კი ერთი და იგივე პიროვნება - მოსამართლე ირაკლი კვეზერელი წარმართავდა.

ამ მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს:

ამონარიდი ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან, სადაც მოსარჩელე მხარედ კვლავ რამდენიმე წყნეთელი (ბეჟან ასტანაშვილი, მარგო თაულაშვილი, მალიკო აივაზოვი, გურამ ელიზბარაშვილი) გვევლინება:

**"მოვუსმინე რა მხარეებს, ანალიზი გავუკეთე შეკრებილ მტკიცებულებებს, მივედი დასკვნამდე, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც დასაბუთებული და საფუძვლიანი მოთხოვნა, შემდეგი გარემოებების გამო:**

**დაბა წყნეთში, გამგეობის შენობა ხანძრის შედეგად რომ განადგურდა 1993 წელს და მასთან ერთად ზონარგაყრილი წიგნი, დადგენილი და დადასტურებულია დაბა წყნეთის გამგეობის მიერ 2002 წლის 22 აგვისტოს გაცემული ცნობით, სადაც აღნიშნულია, რომ 1993 წელს დაბა წყნეთის ძველი საბჭოს შენობა ხანძრის შედეგად დაიწვა და ასევე ხანძარმა გაანადგურა ზონარგაყრილი წიგნი, სადაც რეგისტრირებული იყვნენ მოსარჩელეები, როგორც მიწის მფლობელები და დღემდე ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული მიწის ნაკვეთებით. მოპასუხე სატყეო მეურნეობის წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნა სცნო და აღნიშნა, რომ მათ მოსარჩელეების მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ... ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, ვის შემთხვევაში მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმცია დადგენილია გამგეობის მიერ გაცემული ცნობით, სადაც აღნიშნულია, რომ მოსარჩელეები ხანძრის გაჩენამდე რეგისტრირებული იყვნენ ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც დაიწვა: აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ მოსარჩელეების მიერ სასარჩელო განცხადებაში დაყენებული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს როგორც საფუძვლიანი და დასაბუთებული მოთხოვნა..."**

კიდევ ერთი მტკიცებულება, რომელიც ასეთ საქმეებში, როგორც წესი, აუცილებლად ფიგურირებდა - არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს საზოგადოებრივი გაერთიანება "წყნეთის სათემო"-ს მიერ შედგენილი აქტები, რომლითაც მოქალაქეებს უდასტურებდნენ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტს. ასეთი სახის ბეჭედდარტყმულ აქტს სასამართლო, როგორც წესი, იურიდიულ დოკუმენტად ცნობდა.

დამოუკიდებელი იურისტების შეფასება სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე ცალსახაა - ისინი ირაკლი კვეზერელის მიერ გამოტანილ განაჩენს არაკვალიფიციურს და იურიდიულად აბსოლუტურად გაუგებარს უწოდებენ. ასე, მაგალითად: იურისტ გიგა ამირანაშვილის თქმით, სრულიად გაუგებარია, რატომ არ გამოითხოვა სასამართლომ წყნეთის გამგეობიდან საკადასტრო რუკები და რატომ მიიღო უდავო ჭეშმარიტებად არარსებულ ზონარგაყრილ წიგნში მოყვანილი ფაქტები, რომლის სისწორის გადამოწმება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

თუმცა, როგორ უკვე ვთქვით, ირაკლი კვეზერელი ამ ზონარგაყრილ წიგნს ერთადერთ და ჭეშმარიტ მტკიცებულებად მიიჩნევდა და პროცესზე განაჩენი მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ გამოჰქონდა.

შემდეგი პროცედურა უკვე მარტივი იყო: სასამართლოს გადაწყვეტილებები ეგზავნებოდა გარდაბნის რაიონის გამგეობის მიწის მართვის სამმართველოს, რომელიც მათ საჯარო რეესტრში ატარებდა.

მთელ ამ დავებში სასამართლო ეყრდნობოდა მხოლოდ ლეგენდარულ ზონარგაყრილ წიგნს, რომლის არსებობას დაბა წყნეთის გამგეობა ადასტურებდა. თუმცა, თავად გამგეობის მიერ წარმოდგენილი ცნობა აშკარად ყალბი იყო. **"თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დაბა წყნეთის სადაბო საბჭოში არსებული ზონარგაყრილი წიგნი, რომელშიც გატარებული იყო ადგილობრივ ოჯახებისათვის მიცემული ცალკედგომი მიწის ნაკვეთები, დაიწვა 1993 წლის საბჭოს ძველ შენობაში მომხდარი ხანძრის დროს. ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც დღევანდელ დღემდე მოსახლეობას დაკავებული აქვს და ამუშავებს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონის ზონაში და რომელზეც თქვენთან არის მომართვა, ჩვენს მიერ არავიზე არ განაწილებულა,"** - ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს წყნეთის იმდროინდელი გამგებელი ე. ასათიანი აწერს და რომელიც გარდაბნის რაიონულ სასამართლოშია გადაგზავნილი.

ეს კი აშკარა სიცრუეა, რადგან ჩვენ ვნახეთ რამდენიმე დოკუმენტი და საკადასტრო რუკები, რომელიც ადასტურებენ, რომ მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც სასამართლოს მეშვეობით ასე ადვილად ნაწილდებოდა, უკვე ჰყავდა კანონიერი მფლობელები. მათმა ნაწილმა, მუქარის გამო, დათმო თავისი ნაკვეთები, რამდენიმე კი, კანონიერების აღსადგენად დღესაც იბრძვის.

საგულისხმო დეტალი: როდესაც 2003 წლის 8 აგვისტოს, უკვე ვარდების რევოლუციის შემდეგ, ერთ-ერთმა დაზარალებულმა გარდაბნის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართა და მას საკადასტრო რუკის ჩვენება მოსთხოვა, აღმოჩნდა, რომ რეგისტრატურას ამ ტერიტორიის საკადასტრო რუკა არ ჰქონდა. თუმცა, მას დიდი ხალისით წარუდგინეს 2003 წლის ივნისის თვეში შექმნილი მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა, რომელიც ერთ-ერთმა მომჩივანმა მიწის მართვის სამმართველოში მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის წარადგინა. ოღონდ - უკვე სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად. ამ დოკუმენტის შესწავლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ გარდაბნის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიერ მოსარჩელეს სასარგებლოდ აღრიცხული მიწის ნაკვეთი დაზარალებულის საკუთრებაში არსებული მიწის ფართი იყო, რომელსაც იგი 1996 წლიდან ფლობდა.

დღეს გარდაბნის რაიონის გამგეობაში მომუშავე თანამდებობის პირები საკუთარი წინამორბედების საქმიანობის თაობაზე ოფიციალურად არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა, "შინაურულ" საუბრებში ადასტურებენ, რომ ეს კორუფციული სქემა ზედმიწევნით მარტივი განსახორციელებელი იყო. შედეგად კი, წყნეთი ხელახლაა გადანაწილებული, ხოლო მისი მიწები - მიტაცებული. თანაც, დაზარალდნენ არა მხოლოდ მიწის ნაკვეთების კანონიერი მფლობელები. ფაქტობრივად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიაც ასე უმტკივნეულოდ, ჩალის ფასად განიავდა. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ნაკვეთებს უკვე სხვა პატრონები გამოუჩნდნენ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, წყნეთელებმა, გარდაბნის რაიონული სასამართლოს წყალობით, ხელში ჩაგდებული მიწები უკვე გაყიდეს. თანაც, საკმაოდ სარფიანად. თუმცა, ჯერჯერობით ამ ნაკვეთებზე არანაირი სამუშაოები არ მიდის. როგორც ჩანს, მიწის ახალი მფლობელები, ნაკვეთების დასამუშავებლად, უკეთესი დროის მოლოდინში არიან.





## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ



დილის სასამართლოში შემოვიდა სარჩელი სახალხო დამცველის ოფისიდან

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

დროის წამობრივი აღრიცხვა

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

მხოლოდ 30თ.

8-10

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ქუთაისში პრეზიდენტის პროგრამას საფრთხე შეექმნა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

პრეზიდენტის პროგრამა, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების თაობაზე, 26 მაისიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდება. მაგრამ, როგორც ირკვევა, ქუთაისში ამ პროგრამის განხორციელება საფრთხის ქვეშ დგას.

ადგილობრივი ბიუჯეტისა და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ერთობლივი დაფინანსებით, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა ქუთაისში გასული წლის სექტემბრიდან მოქმედებს.

**"ფედერალური პროგრამის ფარგლებში ჩვენი ფონდი არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელ საქართველოში, აფინანსებდა უფასო სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას მკაცრად განსაზღვრული ნოზოლოგიებისათვის, ანუ პროგრამით ფინანსდებოდა მხოლოდ ის შემთხვევები, რაც ადამიანის სიცოცხლისათვის იყო საშიში. ამ პროგრამით ქუთაისის სასწრაფოს ჩვენ ვურიცხავდით თვეში 12 900 ლარს,"** - აცხადებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იმერეთის რეგიონული ფილიალის უფროსი კახა ჩხარტიშვილი "24 საათთან" საუბარში.

უფასო სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სრული პაკეტის შესაქმნელად კი, ქუთაისის მთავრობამ გასული წლის ოთხ თვეში 48 000 ლარი გამოუყო ადგილობრივი "03"-ის სამსახურს. ამასთან, 2004 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის ხელისუფლებამ აღნიშნულ სამსახურს გერმანიიდან ჩამოყვანილი ორი რეანიმობილიც გადასცა საზეიმო ვითარებაში.

უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედებისთანავე ქუთაისის "03"-ში გამოძახების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და დღეში 10-დან 80-მდე ავიდა. მიუხედავად ამისა, ქუთაისში უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამის სრულყოფილად ამოქმედება გაჭირდა, რის მიზეზადაც ქუთაისის სასწრაფოს სოლიდური საბიუჯეტო დავალიანება სახელდება. 170 000 ლარიან ვალში 120 000 ლარი საურავების თანხაზე მოდის. წლების მანძილზე დაგროვილი ვალის გამო ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ სასწრაფოს ანგარიში დააყადაღა. ყადაღამ კი უფასო სასწრაფო დახმარებისთვის განკუთვნილი თანხა ბიუჯეტის შესავსებად მიმართა, ანუ მედპერსონალის ხელფასის, საწვავისა და მედიკამენტების შესაძენი თანხა საბიუჯეტო ვალის დასაფარად წავიდა. ამას თან დაერთო ქუთაისში ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილება და სასწრაფო დახმარების სამსახურისთვის ბიუჯეტიდან დაფინანსების შეწყვეტა, რაც ავტომატურად იწვევდა ქუთაისში ამ სამსახურის ლიკვიდაციას სწორედ იმ დროს, როცა პრეზიდენტის პროგრამით უფასო სასწრაფო დახმარების საკითხი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო.

პრობლემის გათვითცნობიერების შემდეგ ქუთაისის სასწრაფოსა და ქალაქის ხელმძღვანელობამ გამოსავლის ძიება დაიწყო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასწრაფოსთვის მიმდინარე წლის ოთხ თვეში 60 000 ლარი გამოიყო. საგადასახადო ინსპექციამ კი სასწრაფოს დავალიანების მზარდი ტემპით გასტუმრების გრაფიკი დაუწესა.

**"ეს გრაფიკი შედგა 2005 წლის თებერვალში და გულისხმობს ვალის მთლიანად დაფარვას ექვსი თვის განმავლობაში. მაგალითად, პირველ თვეში უნდა გადაგვეხადა 6000 ლარი, მეორეში - 12 000 და ა.შ. მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ არასწორად არის ჩვენზე ეს თანხები დარიცხული. აუდიტორმა ნახა ყველაფერი და უკვე მოვამზადეთ წერილი საგადასახადოს სახელზე, რომლის განხილვის შემდეგ შესაძლებელია, ეს ვალები საერთოდ ანულირდეს,"** - აცხადებს ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსი მალხაზ ძოწენიძე.

პარალელურად, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია და ქუთაისის მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებენ ფინანსთა სამინისტროსთან ქუთაისის სასწრაფოს ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე.

**"26 მაისამდე თუ არ მოიძებნა გამოსავალი ქუთაისის სასწრაფოსთან დაკავშირებით, დიდი საშიშროებაა იმისა, რომ ქუთაისში პრეზიდენტის პროგრამა ჩავარდეს,"** - აცხადებს კახა ჩხარტიშვილი.

ქუთაისის სასწრაფოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ისიც განაპირობებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "03"-ს სრულად არც გასული წელს მიუღია და არც მიმდინარე წელს. 2004 წელს ქუთაისის სასწრაფოს ქალაქის ბიუჯეტიდან 10 000 ლარი დარჩა მიუღებელი. წელს სასწრაფოს მხოლოდ 35 000 ლარი აქვს მიღებული. 26 მაისიდან კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქუთაისის "03"-ს დაფინანსება მთლიანად უწყდება, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელობას ამორტიზებული ოფისის გარემონტებისთვის 100 000 ლარის გამოყოფას ჯერ კიდევ გასულ წელს დაპირდა.

**"პრეზიდენტის პროგრამაში რემონტის თანხა გათვალისწინებული არ არის, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, აპირებენ, რომ ამ თანხის გამოყოფა ადგილობრივ ხელისუფლებას დაავალონ. იმისათვის, რომ ჩვენი შენობა მთლიანად გარემონტდეს, 300 000 ლარია საჭირო"**, - აცხადებს მალხაზ ძოწენიძე.

ახალი პროგრამით ქუთაისის სასწრაფოში რვა ბრიგადის მუშაობა დაფინანსდება. თითო ბრიგადის შემადგენლობა ერთი ექიმით, ერთი ექთნითა და ერთი მძღოლით განისაზღვრება, რომელიც იმავდროულად სანიტრის მოვალეობასაც შეითავსებს. ამჟამად ქუთაისის სასწრაფოში ხუთი ბრიგადა ფუნქციონირებს და თითოეულ მათგანში ორი ექიმი მუშაობს. ახალი პროგრამის ფარგლებში ქუთაისის სასწრაფოში დასაქმებული 53 ექიმიდან 36 დარჩება, მაგრამ შემცირების თავიდან ასაცილებლად, სასწრაფოს ხელმძღვანელობა უმცროსი ექიმების ექთნის სტატუსით დასაქმების საკითხს სვამს ზემდგომის წინაშე. ქუთაისის სასწრაფოს ხელმძღვანელის თქმით, ექიმები ქუთაისში კონკურსის წესით არ შეირჩევიან, რადგან აქ მომუშავე ექიმთა უმრავლესობას შესაბამისი სერთიფიკატები უკვე აქვთ შინაგან მედიცინასა და გადაუდებელ თერაპიაში. დედაქალაქელი კოლეგებისაგან განსხვავებით, ქუთაისსა და საერთოდ, რეგიონებში დასაქმებული სასწრაფოს ექიმები 100 ლარით ნაკლებ ანაზღაურებას მიიღებენ. მათი ხელფასი 300 ლარით განისაზღვრა.

პრეზიდენტის პროგრამის ამოქმედებისთანავე ქუთაისის სასაწრაფო ოთხი "ჰიუნდაის" და ერთ "უაზის" მარკის ავტომანქანის მიღებას ელოდება.

**"ქუთაისის სასწრაფოს მთლიანობაში რვა გამართული მანქანა ეყოლება, რაც სავსებით საკმარისი იქნება, რომ ქალაქში სასწრაფო დახმარების ბრიგადების გადაადგილების პრობლემა მოიხსნას"**, - აცხადებს კახა ჩხარტიშვილი.

ქუთაისის სასწრაფოს ავტოპარკში კიდევ 10-მდე ამორტიზებული მანქანა ინახება, რომლებიც, სამსახურის ხელმძღვანელობის თქმით, საბაზრო ღირებულების შესაბამისად გაიყიდება. თუმცა, დასახული გეგმების განსახორციელებლად ქუთაისის მთავრობამ ჯერ "03"-ის სამსახურის შენარჩუნება უნდა შეძლოს, რაც არსებული დავალიანების პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

# არასამთავრობოებმა ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალრები დააჯილდოვეს

## კიდევ ერთი წარმატებული პროექტი





გუშინ, სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეთიკის კოდექსის ბუთი ვერცბლის პრინციპის კავალერების დადილდოება გაიმართა.

ეთიკის კოდექსი მიზნად ისაბავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მბრიდან გარკვეული ქცევისა და მოქმედებების ნორმების დამკვიდრებას, საზოგადოებისადმი მაღალი პასუბისმგებლობის გამოცბადებას, ორგანიზაციის მმართველობის ნორმების დაბვეწას, ანგარიშვალდებულებისა და ფინანსური საქმიანობის გამავირვალობას.

დადილდოების ღონისძიებას ესწრებოდნენ ეთიკის კოდექსის ბელმომწერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, საბელმწიფოს წარმომადგენლები და სბვა ოფიციალური პირები.










# ლორა ბუშმა „გოდების კედელი" მოინახულა

### "კეთილი ნების მისია" და არა პოლიტიკური მნიშვნელობის ვიზიტი

ხათუნა გაბიევი

*აშშ-ს პირველი ლედის ისრაელში ვიზიტს ადგილობრივი მოსახლეობა საპროტესტო აქციებით შეხვდა. ლორა ბუშის ერთდღიანი ვიზიტი ისრაელში ახლო აღმოსავლეთში ქალთა უფლებებისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის მიზნით განხორციელებული ხუთდღიანი ტურნეს ნაწილი იყო.*



"ეს არის უწმინდესი ადგილი მსოფლიოში. ჩვენ გავიხსენეთ, თუ რა გვსურს ყველას ერთად და რისთვის ლოცულობს ყოველი ჩვენგანი... რაც ჩვენ ყველას გვსურს, ეს მშვიდობაა".

აღთქმულ მიწას აშშ-ს პირველი ქალბატონი იორდანიაში ვიზიტის დასრულების შემდეგ ეწვია, სადაც იგი საერთაშორისო ეკონომიკურ სამიტზე სახელმწიფოს მართვაში ქალთა მონაწილეობის შესახებ მომზადებული მოხსენებით გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლორა ბუშის ვიზიტი მხოლოდ "კეთილი ნების მისია" იყო და არა პოლიტიკური დატვირთვის მქონე მოგზაურობა, საპროტესტო აქციები ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან იერუსალიმის ქუჩებში მაინც მოეწყო. ებრაელმა და მუსლიმმა დემონსტრანტებმა პროტესტი საჯაროდ მაშინ გამოხატეს, როდესაც აშშ-ს პირველი ლედი "გოდების კედელთან" მივიდა და ტრადიციისამებრ, კედლის ნაპრალში მცირე ზომის ქაღალდზე დაწერილი გზავნილი დატოვა. უძველეს დასავლეთის კედელთან პლაკატებით გამოსული ათეულობით ნაციონალისტი ებრაელი აშშ-ს პრეზიდენტისაგან აშშ-ში პატიმრობაში მყოფი ისრაელის ჯაშუშის ჯონათან პოლარდის გათავისუფლებას ითხოვდა. უსაფრთხოების მიზნით, მათი ალყაში მოქცევა მოუხდათ ისრაელის პოლიციის თანამშრომლებსა და აშშ-ს საიდუმლო სამსახურის აგენტებს.

**"ეს არის უწმინდესი ადგილი მსოფლიოში. ჩვენ გავიხსენეთ, თუ რა გვსურს ყველას ერთად და რისთვის ლოცულობს ყოველი ჩვენგანი... რაც ჩვენ ყველას გვსურს, ეს მშვიდობაა,"** - განაცხადა მოგვიანებით დასავლეთ სანაპიროზე ბიბლიურ ქალაქ იერიქონში ყოფნისას ლორა ბუშმა. იერიქონში მან უძველესი სასახლე "ხიშამი" მოინახულა და პალესტინელ ქალბატონებს – დეპუტატებსა და პალესტინის ნაციონალური ავტონომიის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მნიშვნელოვან პოსტებზე მყოფთ შეხვდა.

**"ახლა უკვე მივუახლოვდით მშვიდობას. მართალია, ჯერ კიდევ მრავალი ნაბიჯის გავლა მოგვიწევს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობისაკენ სავალი გზის დიდი ნაწილი უკვე გავლილია... აშშ გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შეუძლია, თუმცა, უმთავრესი მაინც მოლაპარაკების მაგიდასთან ისრაელისა და პალესტინის მხარეების დასხდომაა,"** - თქვა "კეთილი ნების მისიით" არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჩასულმა აშშ-ს პირველმა ქალბატონმა.

იერუსალიმის ძველ ნაწილში "გოდების კედლის" მონახულების შემდეგ ლორა ბუში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალურ კომპლექსს "იად ვა-შემსა" და აბუ-გოშში ქრისტიანულ ტაძარს ეწვია.

ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილთა მონახულებამდე აშშ-ს პირველი ქალბატონი ისრაელის პრეზიდენტის მეუღლეს გილა კაცავს შეხვდა.

დღეს აშშ-ს პირველი ლედი ეგვიპტეში ჩადის.

# „დემოკრატიული ნარკოქვეყანა"

### ნარკობიზნესთან ბრძოლის არაეფექტურობა ავღანეთის პრეზიდენტს ბრალდება

ნიკა თარაშვილი

*ავღანეთის პრეზიდენტი ხელს უშლის ნარკობიზნესთან ბრძოლას – ასეთი, ერთი შეხედვით, სენსაციური განცხადებები ჰამიდ კარზაის აშშ-ში ჩასვლის წინ გაისმა. მაშინ, როცა თეთრ სახლს ავღანეთი მუსლიმურ აღმოსავლეთში დემოკრატიის წინსვლის მაგალითად მოჰყავს, ვაშინგტონის მიერ ლამის გმირად შერაცხული პოლიტიკოსის ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩენა, სერიოზულ ჩრდილს აყენებს ჯორჯ ბუშის საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიას.*



ქვეყანაში, სადაც ოპიუმის შემცველი ყაყაჩოს მოყვანა მოსახლეობის თითქმის ერთადერთი შემოსავალია, ბუნებრივია, დემოკრატიული პროცესები ნელი ტემპით განვითარდება.

ქვეყნის სათავეში პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგად მოსული ავღანეთის პრეზიდენტი დღეს თეთრ სახლში ჯორჯ ბუშს შეხვდება. წინასწარ გავრცელებული ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები ორივე მხარეს საკმაოდ დაუგროვდა. თუ ავღანეთის მმართველს ნარკობიზნესთან ბრძოლისას "არასაკმარისი" ნების გამოჩენაში სდებენ ბრალს, - ჰამიდ კარზაი ამერიკელებისგან ყველა ავღანელი პატიმრის გადაცემას მოითხოვს. ამას გარდა, ავღანეთის პრეზიდენტი შაბათს, აშშ-ში გამგზავრებამდე, ქვეყანაში ამერიკული სამხედრო შენაერთების უფლებების შეზღუდვის წინადადებით გამოვიდა.

შაბათს ამერიკაში ჩასვლამდე კარზაიმ საჯაროდ დაგმო ამერიკელ სამხედროთა მიერ ავღანელი პატიმრების შეურაცხოფის ფაქტი. ავღანეთის პრეზიდენტის პრესმდივანი აცხადებს, რომ კარზაი აუცილებლად მოითხოვს ბუშისგან ორი ავღანელი პატიმრის სიკვდილში დამნაშავე ამერიკელი სამხედროების დასჯას.

თუმცა, სანამ ჰამიდ კარზაი თეთრ სახლში პრეტენზიების წამოყენებას ეცდება, სავარაუდოდ, მას თავად მოუწევს უსიამოვნო კითხვებზე პასუხი.

კარზაის აშშ-ში ვიზიტის წინ გავლენიანი ამერიკული გამოცემა "ნიუ იორკ თაიმსი" აქვეყნებს სტატიას, სადაც ხაზგასმულია, რომ ავღანეთის პრეზიდენტი ხელს უშლის ამერიკელთა ბრძოლას ნარკობიზნესთან. გაზეთის თქმით, ამის შესახებ ქაბულში აშშ-ს საელჩოს მიერ სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილი ტელეგრამაშია საუბარი.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ვაშინგტონის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც ავღანეთიდან დასავლეთის ქვეყნებში ნარკოტიკების უზარმაზარი მასშტაბებით უკანონო გატანის შემცირებას ისახავს მიზნად და ოპიუმის შემცველი ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებას ითვალისწინებს, რბილად რომ ვთქვათ - არაეფექტურია. მიზეზი კი ის არის, რომ პრეზიდენტი კარზაი ამის დიდ სურვილს არ ამჟღავნებს.

"მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი კარზაი სრულად აცნობიერებდა (ნათესების) განადგურების ეფექტური პროგრამის განხორციელების სირთულეს, მან ვერ გამოავლინა ძლიერი ლიდერის თვისებები... მშობლიურ პროვინცია ყანდაჰარშიც კი," - თვლიან ქაბულში მყოფი ამერიკელი დიპლომატები.

ავღანეთის პროვინციების ლიდერები, ისევე, როგორც სხვადასხვა ტომის ბელადი, ღიად უშლის ხელს ყაყაჩოს პლანტაციების განადგურებას. ცენტრალური ხელისუფლება კი თითქმის არაფერს აკეთებს მათი წინააღმდეგობის დასაძლევად - ნათქვამია 13 მაისს ქაბულიდან ვაშინგტონში გაგზავნილ ტელეგრამაში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პოზიცია სტატიაში მოყვანილ ფაქტებს ეწინააღმდეგება – აშშ-ს საგარეო უწყება კარზაის მიმართ რაიმე პრეტენზიების არსებობას უარყოფს. პირიქით, ამერიკის საგარეო უწყების განცხადებით, კარზაი, რაც მის შესაძლებლობებშია, ყველაფერს აკეთებს - "მაგრამ მას ხელს უშლის ცუდი ამინდი, ლოჯისტიკის პრობლემები და პოლიტიკური წინააღმდეგობა".

"ნიუ იორკ თაიმს"-ის ცნობით, ავღანეთში მყოფი ამერიკელი დიპლომატები დიდ ბრიტანეთსაც ადანაშაულებენ. შეგახსენებთ, გაერთიანებული სამეფოს სამხედრო მოსამსახურეებს მთავარი როლი აკისრიათ ნარკობიზნესთან ბრძოლაში.

დოკუმენტის ავტორთა თქმით, ლონდონს "დიდწილად მიუძღვის ბრალი" ყაყაჩოს საწინააღმდეგო კამპანიის ჩავარდნაში. ბრიტანელი მოსამსახურეები ხშირად სულ სხვაგან გზავნიან პლანტაციების გასანადგურებლად და არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ყველაზე მეტი ნათესებია.

ავღანეთში ყაყაჩოს ნათესების განადგურების მასშტაბური კამპანია ერთი თვის წინ დაიწყო და ამ დროისთვის მხოლოდ 250 აკრ ფართობზე ნაკლებია განადგურებული. მაშინ, როცა თავდაპირველად, 37 ათასი აკრი ფართობის ნათესების განადგურება იყო დაგეგმილი. მოგვიანებით, ეს ციფრი 17 ათასამდე შემცირდა. მაგრამ ის ფაქტორი, რომ ოპიუმის შემცველი ყაყაჩოს მოსავლის აღება უკვე მიმდინარეობს, ანტინარკოტიკული კამპანიის ეფექტს კიდევ უფრო ამცირებს.

მარტში გამოქვეყნებულ ანგარიშში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებდა, რომ ავღანეთი "სადაცაა საბოლოოდ გადაიქცევა ნარკოტიკების ქვეყნად". თუმცა, თუ გაერო-ს მონაცემებს ვენდობით, ავღანეთი უკვე შეიძლება ჩაითვალოს ასეთად – იქ ხომ მსოფლიო ბაზარზე არსებული ჰეროინის 80 პროცენტს აწარმოებენ.

# ინდოეთის პრეზიდენტი მოსკოვს ეწვია

### ინდოეთის პრეზიდენტი რუსეთში სსრკ-ს დაშლის შემდეგ პირველად ჩადის



რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვს 22 მაისს ოთხდღიანი სახელმწიფო ვიზიტით ინდოეთის პრეზიდენტი აბდულ კალამი ეწვია. თუმცა, დიპლომატიური წყაროების თანახმად, სამუშაო პროგრამა დღეს დაიწყება, რასაკვირველია, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან შეხვედრით. გარდა ამისა, ინდოეთის პრეზიდენტი მოინახულებს კონსტრუქტორთა ბიუროს "სუხოი"; შეხვდება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებს. იგი ეწვევა ასევე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, სადაც მას საპატიო დოქტორის წოდებას მიანიჭებენ. დღის ბოლოს კი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდება.

ხვალ აბდულ კალამი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას "მაშინოსტროენიე" მოინახულებს, სადაც "ბრამოს"-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ზებგერითი ფრთოსანი რაკეტები მზადდება. აღნიშნული ტიპის რაკეტაზე ერთობლივ სამუშაოებს ატარებენ რუსი და ინდოელი სპეციალისტები.

ოთხშაბათს ინდოეთის პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში ჩავა, სადაც "ერმიტაჟში" ინდოეთის დარბაზის მონახულებაა პროტოკოლით გათვალისწინებული, რის შემდეგაც უცხოელ მაღალჩინოსანს არქტიკისა და ანტარქტიკის ინსტიტუტში წაიყვანენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასევე დაგეგმილია ინდოეთის პრეზიდენტის შეხვედრა სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორთან ვალენტინ მატვიენკოსთან.

რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან აბდულ კალამის შეხვედრისას მოლაპარაკებების თემა დღის წესრიგით უკვე განსაზღვრულია. როგორც რუსი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, "საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინდოეთის პრეზიდენტი პირველადაა რუსეთში. ორი ქვეყნის ურთიერთობების მაღალ დონეზე უკვე თავად ვიზიტის ფაქტიც მეტყველებს".

მოლაპარაკებებზე პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების განხილვის გარდა, შეხვედრის მონაწილეები ინდოეთისა და რუსეთის სამეცნიერო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებაც ისაუბრებენ.

ამასთანავე, ელიან, რომ შეხვედრაზე წინ წამოიწევს სამხრეთ აზიაში შექმნილი ვითარების საკითხიც. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებით, მოსკოვი მიესალმება ინდოეთ-პაკისტანის დიალოგს, რომელიც ორმხრივ ურთიერთობებში არსებულ პრობლემათა მთელ კომპლექსს ითვალისწინებს.

"ნიუ-დელისა და ისლამაბადის გაბედული გადაწყვეტილება შეუქცევადი სამშვიდობო პროცესის მყარ იმედებს იძლევა, რასაც ტერორიზმი ვერაფერს დააკლებს," - განაცხადა სააგენტო "რიანოვოსტ"-ისთან საუბარში ალექსანდრ იაკოვენკომ.

დაბოლოს, აბდულ კალამის ვიზიტი მხოლოდ რუსეთსა და ინდოეთს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობის გააქტიურებას არ ისახავს მიზნად. ორმხრივი ურთიერთობების განხილვის პარალელურად, საუბარი ინდოეთისა და რუსეთის ჩინეთთან პარტნიორობასაც შეეხება.

უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ მიმდინარე წლის 2 ივნისს ვლადივოსტოკში "სამეულის" საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდებიან ერთმანეთს.

# ერთი პრეზიდენტით ნაკლები

### რუსეთში "ნონსენსი" პრეზიდენტები აღარ იქნებიან



*ალექსანდრ ძასოხოვი ჩრდილოეთ ოსეთის უკანასკნელი პრეზიდენტი იქნება.*

*რუსეთში ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელთა ტიტულების გადარქმევის პროცესი დაიწყო. მათ ნებისმიერ სახელს დაარქმევენ, გარდა ერთისა – კრემლმა ჩათვალა, რომ ქვეყანაში, სადაც 89 ფედერაციის სუბიექტიდან ოცდაერთი რესპუბლიკის სტატუსს ატარებს (მათგან 14-ს პრეზიდენტები მართავენ), პრეზიდენტის "მაღალ წოდებას" მხოლოდ ვლადიმირ პუტინი იმსახურებს. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ჩრდილოეთ ოსეთის საკანონმდებლო ორგანომ გადადგა.*

ნიკა თარაშვილი

ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტმა შაბათს ერთხმად დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ალექსანდრ ძასოხოვს, პრეზიდენტის ნაცვლად, ამიერიდან "რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი–ალანიის მეთაური" ეწოდოს. "ქვეყანაში ძალიან ბევრი სამუშაოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველამ პრეზიდენტად იმუშაოს. ქვეყანას ერთი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. ათობით პრეზიდენტი ერთ სახელმწიფოში - პოლიტიკურ-სამართლებრივი ნონსენსია," - ასე მიმართა კენჭისყრამდე ჩრდილოეთ ოსეთის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ დეპუტატებს.

ბუნებრივია, კრემლის მიერ არჩეულ "სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერების" სტრატეგიაში არანაირად არ ჯდება ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაცია, როცა ერთ კონსტიტუციურ სივრცეში, ერთდროულად, მსგავსი უფლებამოსილებების მქონე რამდენიმე პრეიზდენტი არსებობს და, რაც მთავარია, მათი უფლებამოსილება კონსტიტუციით არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ჩნდება აზრი, რომ ერთ პრეზიდნეტზე მეტი ქვეყანაში არ უნდა იყოს – ანუ, როგორც ერთ-ერთი რუსი ექსპერტი აღნიშნავს: "სიტყვა "პრეზიდენტი" კონკრეტული შინაარსის მატარებელი უნდა გახდეს."

სხვათა შორის, ამ საკითხის წინ წამოწევა ჩრდილოეთ ოსეთში ჯერ კიდევ 1998 წელს მოხდა (მაშინაც ალექსანდრ ძასოხოვი იდგა რესპუბლიკის სათავეში). თუმცა, მაშინ "მთელ რიგ გარემოებათა გამო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა არ შეიძლებოდა," - იხსენებს ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერი.

ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობას ის ფაქტი ზრდის, რომ მას აუცილებლად ექნება "დომინოს ეფექტი" ფედერაციის სხვა სუბიექტებისთვისაც, სადაც რეგიონულ მმართველებს ასევე პრეზიდენტის სტატუსი აქვთ – ასეთი კი კიდევ ცამეტია.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელის სერგეი მირონოვის ცნობილი თეზისი გაისმა – "ძალიან ბევრი პრეზიდენტია – უნდა იყოს ერთი" – რუსეთის რესპუბლიკებში მისი სისრულეში მოყვანას არაერთგვაროვანი წარმატებით ცდილობენ. უკანასკნელად ერთ-ერთი ასეთი მცდელობა აპრილის ბოლოს უდმურტეთში ჩავარდა. ადგილობრივმა სახელმწიფო საბჭომ უარი თქვა რეფერენდუმის დანიშვნაზე პრეზიდენტის თანამდებობის გაუქმებასთან დაკავშირებით. უდმურტეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო კომისიის უფროსის ჟანა დვორცოვას თქმით, დეპუტატთა მიერ რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი ერთადერთი მოტივით აიხსნება – მათი აზრით, მოქალაქეთათვის გაუგებარი იქნებოდა, საერთოდ უქმდება პრეზიდენტის ინსტიტუტი რესპუბლიკაში, თუ მხოლოდ სახელი ეცვლება.

ჯერჯერობით ასევე წარუმატებლად მიმდინარეობს პრეზიდენტის ინსტიტუტის ლიკვიდაცია ადიღეის რესპუბლიკაშიც. პრეზიდენტმა ჰაზრეთ სოვმენმა დაასწრო ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოს და 20 მაისს თავად დაითხოვა იგი. დათხოვის ოფიციალური მიზეზი რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის დადგენილების შეუსრულებლობა გახდა. თუმცა, როგორც ამბობენ, საკანონმდებლო ორგანოსთან კონფლიქტში მყოფ პრეზიდენტს მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შიში უფრო ამოძრავებდა. მაგრამ, ცხადია, გადამწყვეტი სიტყვა ამ დავაში რუსეთის პრეზიდენტს ეკუთვნის – მისი აზრი კი ცნობილია: ადიღეის რესპუბლიკა კრასნოდარის მხარეს უნდა შეუერთდეს - ანუ თუ პუტინი გამოიწვევს სოვმენს, ადიღეა ახალ პრეზიდენტს, სავარაუდოდ, ვეღარ ეღირსება.

ასე რომ, ადრე თუ გვიან, ჩრდილოეთ ოსეთის ბედს სხვა რესპუბლიეკებიც გაიზიარებენ. თუმცა, შესაძლოა, ალექსანდრ ძასოხოვს ეს ცვლილება არც შეეხოს: შაბათს მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება 2006 წლის იანვრიდან შევა ძალაში. ამ დროისთვის კი ძასოხოვის მმართველობის ვადაც იწურება.

# გიორგი ღონღაძე - უკრაინის ეროვნული გმირი

შაბათს ცნობილი გახდა, რომ 2000 წელს მოკლულ ჟურნალისტი "ნარინჯისფერი უკრაინის" პირველი ეროვნული გმირი იქნება.

უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ჯილდოებისა და ჰერალდიკის კომისია რეკომენდაციით გამოდის, წარმოშობით ქართველ ჟურნალისტს სიკვდილის შემდეგ უკრაინის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭონ.

როგორც უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზეა აღნიშნული ვიქტორ იუშჩენკო მხარს უჭერს ამ ინიციატივას.

21 მაისს, დაღუპული ჟურნალისტის დაბადების დღეს, იუშენკომ განაცხადა, რომ გიორგი ღონღაძის სახელი უკრაინელებისთვის სიმამაცის სიმბოლოდ იქცა და ის გმირის წოდებას უდავოდ იმსახურებს. "გიორგი ღონღაძე უკრაინას ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა. იგი ნამდვილი გმირია", - ამბობს უკრაინის პრეზიდენტი.

იუშენკომ ხაზი გაუსვა, რომ იგი თავის მოვალეობად მიიჩნევს ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიების ბოლომდე მიყვანას და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა საზოგადოებამ გაიგოს ჟურნალისტის მკვლელების სახელები. "ამით ჩვენ ყველანი უკანასკნელ პატივს მივაგებთ მას," - განაცხადა პრეზიდენტმა.

კიევში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე 2000 წლის სექტემბერში გაუჩინარდა. ორი თვის შემდეგ მისი თავმოკვეთილი ცხედარი აღმოაჩინეს.

უკრაინაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ღონღაძის მკვლელობის ბრალდებით ორი ადამიანი დააკავეს, მესამეს კი სამართალდამცველები ეძებენ. ერთ-ერთი ვერსიით, ღონღაძის მკვლელობა უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ დაუკვეთა, თუმცა, თავად ექს-პრეზიდენტი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს. 21 მაისს გიორგი ღონღაძეს 36 წელი შეუსრულდებოდა.

*24 საათი*

## ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი საერთაშორისო ქსელში ჩაერთო

*შპს "საქართველოს რკინიგზის" ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი საერთაშორისო ქსელში ჩაერთო, რომლის მომსახურებით მალე სხვადასხვა ინტერნეტპროვაიდერები ისარგებლებენ. ეს კი ინფორმაციის უფრო ოპერატიულად და ხარისხიანად გადაცემის საშუალებას იძლევა.*

ამის შესახებ განცხადება "საქართველოს რკინიგზის" ფინანსურმა დირექტორმა არჩილ კონცელიძემ გააკეთა. მისივე ინფორმაციით, ივნისის თვეში კაბელში პირველი საერთაშორისო ტრაფიკები გაივლის. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მთელ პერიმეტრზეა გაყვანილი, შარშან უკვე შეერთებული იყო სომხეთსა და აზერბაიჯანთან, ხოლო მიმდინარე წლის მაისში თურქეთსაც შეუერთდა. ბათუმი-სარფის 21-კილომეტრიან მონაკვეთზე ხაზის გასაყვანად "საქართველოს რკინიგზამ" 60 ათასი ლარი გამოყო. გარდა ამისა, გამოყოფილია 1 მილიონი ლარი, რათა შეძენილი და დამონტაჟებული იქნეს ის დამატებითი ტექნიკა-მოწყობილობები, რომელიც ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში კომერციული საინფორმაციო ნაკადების გატარებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ კაბელი თავდაპირველად, რკინიგზის მომსახურებაზე იყო გათვლილი, თუმცა ივნისის თვიდან ის კომერციული მიზნებისთვისაც იქნება გამოყენებული. როგორც კონცელიძემ საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსს" განუცხადა, უკვე გაფორმდა ხელშეკრულებები რამდენიმე ინტერნეტპროვაიდერთან, რომლებიც ამ კაბელის მომსახურებით ისარგებლებენ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი სულ 600 კმ სიგრძისაა. იგი ინფორმაციის ოპერატიულ და ხარისხიან გადაცემას მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

აღნიშნული ქსელის მართვის მიზნით, გასული წლის აგვისტოში "საქართველოს რკინიგზამ შპს "რკინიგზის ტელეკომი" დააფუძნა, რომელშიც ის 100-პროცენტიან წილს ფლობს. როგორც შპს "რკინიგზის ტელეკომის" დირექტორმა გიორგი გოთოშიამ განაცხადა, **"არსებული ოპტიკური კავშირის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას რკინიგზისათვის მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია. გარდა ამისა, მისი ამუშავებით ხელი შეეწყობა ოპტიკური მომსახურების ბაზარზე კონკურენტული პირობების შექმნას. შპს "რკინიგზის ტელეკომის" დაბალი ტარიფებით გვინდა, ხელი შევუწყოთ მთელი მოსახლეობის ტელეფონიზაციასა და მათთვის სხვა საინფორმაციო მომსახურების მიწოდებას,"** - აცხადებს გოთოშია.

*24 საათი*

## აეროპორტის სკანდალი არ ცხრება

### ეკონომიკის სამინისტრო განმარტებას აკეთებს

ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა სეხნიაშვილმა გუშინ ოფიციალური განცხადება გააკეთა თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის – "ტაკომ გლორია პივდენის" წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე. შეგახსენებთ, რომ 20 მაისს კომპანიის გენერალურმა დირექტორმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი არაობიექტურობაში დაადანაშაულა. ამის საპასუხოდ, კახა სეხნიაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო ყველა ის დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც სატენდერო კომისიამ "ტაკომ გლორია პივდენი" გამარჯვებულად არ ცნო. კერძოდ, მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებების მიხედვით, კომპანია სახელმწიფოსგან ითხოვდა ფინანსურ გარანტიებს საბანკო კრედიტის მოძიებისთვის, "რაც ქართული მხარისთვის სრულიად მიუღებელი იყო," - განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილემ. მისივე თქმით, "ტაკომის" მიერ წარმოდგენილ საგარანტიო წერილში, რომელსაც არ ჰქონდა თავფურცელი და ბეჭედი, ჩამოთვლილია რამდენიმე სერიოზული ფინანსური ორგანიზაცია, თუმცა "ტაკომ გლორია პივდენის" ფინანსურ მხარდამჭერებად მოხსენიებულია იქ მომუშავე ინდივიდუალური პირები, რაც, სატენდერო კომისიისთვის სერიოზულ გარანტიად არ გამოდგებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ახალი აეროპორტის არქიტექტურული წყობა არ იძლეოდა მომავალში გაფართოებისა საშუალებას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ "ტაკომ გლორია პივდენის" წარმომადგენლები კომპანიის გერმანულ წარმომავლობაზე მიუთითებენ, ოფიციალურ დოკუმენტებში კი იურიდიულ მისამართად უკრაინა, კერძოდ, ქ. ოდესაა დასახელებული.

როგორც კახა სეხნიაშვილი აცხადებს, მიუხედავად ასეთი არასრულყოფილი წინადადებებისა, სატენდერო კომისიამ კომპანიას მიმართა წერილით, რომ გაეუმჯობესებინათ შემოთავაზებული პირობები და გაეგრძელებინათ მოლაპარაკება, რაზეც მათ უპასუხეს, რომ ქართული მხარის მხრიდან მიწოდებული ნებისმიერი სახის დოკუმენტი და კორესპონდენცია გადაეცემოდათ კომპანიის იურისტებს ინგლისისა და ჰააგის სასამართლოებში საქართველოს წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ასეთი მოტივი სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა ქართული მხარისთვის. ყოველივე ამის საფუძველზე სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და ტენდერის ბოლო ეტაპში მონაწილე სამი პრეტენდენტიდან გამარჯვებულად კონსორციუმი "ეი ჯი," "ჯი თი ეს," "ჩელები" დაასახელა, რომელმაც "ტაკომ გლორია პივდენისა" და კონსორციუმ "ტავი," "ურბანი"-სთან შედარებით, გაცილებით უკეთესი, გარანტირებული და ხელსაყრელი წინადადებები წარმოადგინა.

მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტენდერის შდეგებს ახლა უკვე კონსორციუმი "ტავი" და "ურბანიც" აპროტესტებს. ასე რომ, მომავალ კვირაში ამ თემის ირგვლივ ახალი აჟიოტაჟის მომსწრენი გავხდებით.

*24 საათი*

### მოკლედ

#### ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე კონკურსი გაიმართება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 25 მაისს ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გაიმართება და გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება.

ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად სამი კომპანია - შპს "ჯენტო სერვისი", შპს "იბერიატელი" და შპს "მაგთიკომი" იბრძოლებენ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი მიმდინარე წლის 25 იანვარს გამოაცხადა.

როგორც "ინტერ-პრესს" ეროვნულ კომისიაში აცნობეს, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 5 807 000 ლარია, თუმცა კომისიაში ვარაუდობენ, რომ აუქციონის წესით გამართული ვაჭრობის შედეგად, ლიცენზიის მოსაპოვებლად გადასახდელი თანხის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

#### აზერბაიჯანმა ქართული პორტების პრივატიზებაზე უარი მიიღო

საქართველო უარს ამბობს, ვალის სანაცვლოდ აზერბაიჯანს ქართული პორტების პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის უფლება მისცეს.

აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის ზურაბ გუმბარიძის განცხადებით, ქართული მხარე არ აპირებს, 16 მილიონი დოლარის დავალიანება ამ გზით დაფაროს.

ელჩი მიიჩნევს, რომ თუ აზერბაიჯანის მთავრობას ამ პორტების პრივატიზება სურს, შეუძლია, ტენდერში მონაწილეობა მიიღოს.

გუმბარიძის თქმით, საქართველოს ვალი აზერბაიჯანის მიმართ არც ისე დიდია და ოფიციალურ თბილისს მისი დაფარვა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციით შეუძლია.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრი ავაზ ალეკპეროვი აცხადებს, თუ საქართველოს მთავრობას არ სურს პრივატიზების პროცესში აზერბაიჯანის მონაწილეობა, მაშინ თბილისს ვალის სრულად და დაუყოვნებლივ დაფარვას მოსთხოვენ. **მედია-ნიუსი**

## ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ბედი ორ დღეში გაირკვევა

*ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ბედი, რომლებმაც საქმიანობა მიმდინარე წლის იანვრიდან შეწყვიტეს, უახლოეს დღეებში გაირკვევა.*

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარის ანდრო კოტეტიშვილის ინფორმაციით, 25 მაისს სააგენტოში განიხილება იმ შვიდი ქარხნის საკითხი, რომლებიც საქმიანობის ნებართვებზე ვადის გასვლის გამო, გაჩერებულნი არიან. ეს ქარხნებია: შპს "ვივა", შპს "გერო", შპს "განოილი", შპს "თერჯოლა-ოილი", შპს "ვირტუოზი", შპს "ალიანსი" და შპს "ვაზოილი".

მათ საქმიანობის ლიცენზიებზე ვადა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში გასდით, ხოლო საქმიანობის ნებართვაზე ვადა გასული წლის ბოლოს ამოეწურათ.

ლიცენზირება ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა, ხოლო ნებართვები - ერთი წლით.

როგორც კოტეტიშვილმა განაცხადა, აღნიშნულ ქარხნებს სააგენტომ გაუგზავნა წერილობითი გაფრთხილება, სადაც მათ იმ დარღვევების აღმოფხვრის საჭიროებაზე მიუთითეს, რაც საქმიანობის ნებართვების მოსაპოვებლად აუცილებელი პირობაა. ის 30-დღიანი ვადა, რომელიც მათ დარღვევების აღმოსაფხვრელად მიეცათ, 25 მაისს იწურება. ამის შემდეგ, სააგენტო განიხილავს მათ საკითხს და გადაწყვეტილებას მიიღებს.



*დღეისათვის საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი საქმიანობა მთლიანად გაჩერებულია.*

როგორც სააგენტოში განაცხადეს, იმ საწარმოებს, რომლებიც სანებართვო პირობებს დააკმაყოფილებენ, გაუგრძელდებათ ნებართვების მოქმედების ვადა, ხოლო დანარჩენებს სააგენტო, სავარაუდოდ, საქმიანობის ლიცენზიებს შეუჩერებს ან შეუწყვეტს.

როგორც კოტეტიშვილმა განაცხადა, სააგენტო ელოდება, აგრეთვე, ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის დასკვნას, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთოდ ამ ქარხნების ამუშავება.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინათ, აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, სააგენტოში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. თუმცა, სააგენტოში საკადრო ცვლილებების შედეგად კომისიის საქმიანობა გაუქმდა. ჯერ კიდევ მაშინ, აღნიშნული ქარხნის ხელმძღვანელებს დაჰპირდნენ, რომ მათი საკითხი დროულად გადაწყდებოდა, თუმცა ის კვლავ ღიად რჩება.

დღეისათვის საქართველოში ნავთობგადამამუშავებელი საქმიანობა მთლიანად გაჩერებულია, რადგან საქმიანობის წარმოების შესაბამისი ნებართვა არც ერთ ქარხანას არ აქვს.

ზემოთ აღნიშნული თითოეული ქარხანა დღე-ღამეში საშუალოდ 100-200 ტონა დიზელის საწვავს უშვებდა, რაც დღეს "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" ინფორმაციით, მთლიანად იმპორტირებულმა პროდუქციამ შეცვალა.

*24 საათი*

## კონფიდენციალური ხელშეკრულება

### რომელიც აფხაზური ბანკების რუსულ საბანკო სისტემაში ჩართულობას ადასტურებს

*გასულ კვირას, სებ-ის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელებისთვის გაგზავნილ წერილსა თუ საქართველოში ვიზიტით მყოფი რუსი ბანკირების წინაშე არაერთხელ დააყენა რუსული ბანკების აფხაზეთში უკანონო აქტივობისა და რუსულ საბანკო სივრცეში აფხაზური ბანკების საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფით ჩართვის საკითხი. "24 საათი" ამის თაობაზე უკვე წერდა. და წერდა იმასაც, რომ რუსულმა მხარემ, საქართველოში გამართული შეხვედრების დროს, აღნიშნული ინფორმაცია უარყო. თუმცა, "24 საათისთვის" გუშინ ხელმისაწვდომი გახდა კონფიდენციალური ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთის ბანკების რუსულ საბანკო სივრცეში ჩართულობას ოფიციალურად ადასტურებს.*

თამარ ივანიძე

შეგახსენებთ, რომ წერილში, რომელიც რომან გოცირიძემ რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის სახელზე გააგზავნა, აღნიშნულია: **„შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ელექტრონული ანგარიშსწორებისა და საკორესპონდენტო ანგარიშების სისტემების ქსელში ჩართვით ხდება რუსეთის მთელი რიგი კომერციული ბანკების მხრიდან აფხაზეთის ბანკების თავის სისტემაში ინკორპორირება, რაც აშკარად ეწინააღმდეგება როგორც დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს, ისე თავად რუსეთის შიდა კანონმდებლობას, მათ შორის, „არარეზიდენტებისთვის ანგარიშის გახსნის წესებს."**

შეგახსენებთ იმასაც, რომ საქართველოში ვიზიტით მყოფმა, რუსეთის ცენტრალური ბანკის წარმომადგენელმა მსგავსი ინფორმაციის არსებობა არ დაადასტურა.

თუმცა, გუშინ "24 საათისთვის" ხელმისაწვდომი გახდა ხელშეკრულება, რუსული სისტემა "ზოლოტაია კორონასადმი" აფხაზური "გარანტ-ბანკის" მიერთების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლის 24 ნოემბრით არის დათარიღებული.

ცხადია, რომ "ზოლოტაია კორონა"-სადმი მიერთება ნებისმიერ ბანკს არ შეუძლია და მსგავსი გარიგებები, როგორც წესი, ცენტრალური ბანკის ხელდასმით და მეთვალყურეობის ქვეშ ხდება.

საინტერესო დეტალი - მხარეების პასუხისმგებლობის ქვეთავის პირველივე პუნქტში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ **"ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია..."** მეტიც, მხარეებს ხელშეკრულების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის გაჟღერებისთვის საგანგებო პასუხისმგებლობა - 10000 დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაემუქრებათ.

ცხადია, ეს საგანგებო "კონფიდენციალურობა" სწორედ იმ კანონდარღვევით არის გაპირობებული, რომლებზეც მინიშნებები გასულ კვირას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მხრიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთხელ გაკეთდა.

ამ მინიშნებებს რუსული მხარისადმი კონკრეტული წინადადებებიც მოსდევს - გოცირიძე მოუწოდებს თავის რუს კოლეგას, მიიღოს შესაბამისი ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. თავის მხრივ, ქართული მხარე ეფექტური ერთობლივი ღონისძიებების განსახორციელებლად სრულ მზადყოფნას გამოხატავს და კოორდინირებული მუშაობისათვის, მზად არის, უზრუნველყოს თავისი სპეციალისტების, ასევე FATF-ისა (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი) და MONEYVAL-ის (ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი) ექსპერტების მივლინება ცენტრალურ ბანკში.

ოფიციალური პასუხი აღნიშნულ მიმართვაზე, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ეროვნულ ბანკს ჯერ არ მიუღია.

## აფხაზეთში რუსული კაპიტალის ექსპანსია გრძელდება

პირველი გვერდიდან

ამას ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიც ადასტურებს, რომელიც "24 საათს" შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარმა სამმართველომ მოაწოდა.

აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული დაძაბულობის მოხსნის შემდგომ, სეპარატისტთა ლიდერებმა რეგიონის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი დაიწყეს. რეგიონში ეკონომიკური და საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად, ისინი მაქსიმლურად ცდილობენ, საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ და რუსეთისა და თურქეთის ფინანსური წრეები მოიზიდონ.

აპრილის დასაწყისში, ბიჭვინთაში გამართულ მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე "აფხაზეთი - 2005", თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა რუსეთის ბიზნესის წარმომადგენლებს აფხაზეთში ინვესტიციების ჩადებისკენ ხმამაღლა მოუწოდა და მათ უსაფრთხოების გარანტიებიც მისცა. ამ კონფერენციაში მონაწილეობას 50-ზე მეტი რუსული კომპანიის წარმომადგენლები ღებულობდნენ. **"რუსეთი ჩვენი ძირითადი პარტნიორია. უკანასკნელ პერიოდში რუსეთმა აფხაზეთთან დაკავშირებით ძირფესვიანად შეცვალა დამოკიდებულება, რაც რუსულ კაპიტალს აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების თამამად ჩადების საშუალებას აძლევს,"** - განაცხადა სერგეი ბაგაფშმა. ის ინვესტორებს დაჰპირდა, რომ აფხაზეთის "ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს" რუსული კაპიტალისთვის უსაფრთხოების გარანტიების და მოქნილი, ლიბერალური საგადასახადო სისტემის შესაქმნელად.

■ ■ ■

სულ მალე, ერთ-ერთ გიგანტ რუსულ ნავთობკომპანია "ლუკოილს" საკუთარი ბენზინგასამართი სადგურები აფხაზეთშიც ექნება. ამ დროისთვის ბენზინ-გასამართი სადგურების მშენებლობა სოხუმი-სოჭის საავტომობილო ტრასის დაბა განთიადის მონაკვეთზე და დაბა ლესელიძეში დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს.

სეპარატისტთა ხელისუფლება აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს თურქ ბიზნესმენებთან რეგიონში ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებით. თუკი თურქი ბიზნესმენები აფხაზების წინადადებას დათანხმდებიან, ამ ფულით ოჩამჩირე-ტყვარჩელის მონაკვეთზე განზრახულია დაზიანებული რკინიგზის ლიანდაგების აღდგენა, რათა შემდგომში ტყვარჩელის საბადოებიდან მოპოვებული ქვანახშირის ტრანსპორტირება ოჩამჩირის ნავსადგურამდე გამარტივდეს. ამ საბადოზე, უკანასკნელი რამდენიმე წელია, ერთ-ერთი თურქული კომპანია მუშაობს. თუმცა, ამ ბოლო პერიოდში ტყვარჩელის ქვანახშირით განსაკუთრებულად რუსი ბიზნესმენები დაინტერესდნენ. მეტიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ სურთ, ტყვარჩელში ქვანახშირის მოპოვების სამუშაოებს ჩამოაშორონ თურქი კოლეგები, რისი განხორციელების შემთხვევაშიც, ამ სფეროში უფრო მეტი ინვესტიციების დაბანდებას გეგმავენ.

■ ■ ■

სულ ცოტა ხნის წინათ, სეპარატისტთა პარლამენტმა აფხაზეთის 2005 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც ისევე, როგორც გასული წლების, დეფიციტურია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბიუჯეტი იმდენად დეფიციტურია, რომ არ არსებობს საკმარისი სახსრები პენსიებისა და ხელფასების გასაცემად. ამ პრობლემის დროებით გადასაჭრელად სეპარატისტებმა აფხაზეთში მოქმედ უცხოელ ბიზნესმენებს და ფირმების ხელმძღვანელებს სესხების გამოყოფის თხოვნით მიმართეს, რომლებსაც საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ გაისტუმრებენ. თუმცა, გამოყოფილი სესხის რაოდენობა მთლიანობაში იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებისთვის არის საკმარისი.

მოსკოვში ერთ-ერთი ბოლო ვიზიტის დროს ბაგაფში აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა, რომელთა შორის იყო სოხუმის მკვიდრი, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენი არტურ ცატურიანი. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი წარმომავლობის ცატურიანი აფხაზეთში, ბოლო რამდენიმე წელია, აღარ ცხოვრობს, მას აქ რამდენიმე დასასვენებელი სახლი აქვს შეძენილი. გარდა ამისა, ცატურიანის საკუთრებაშია თამბაქოს გადამამუშავებელი მინი-ქარხანა და რამდენიმე საამქრო, რომლებიც სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო საქონელს აწარმოებენ. ახლო მომავალში ცატურიანი სოხუმში მდებარე თევზის ქარხნის შესყიდვას და მის რებილიტაციას გეგმავს. ამისათვის ცატურიანმა სეპარატისტთა ხელისუფლებას აფხაზეთში მის საქმიანობასთან დაკავშირებით უსაფრთხოების გარანტიები სთხოვა. სანაცვლოდ, მზადყოფნა გამოთქვა, აფხაზეთის ეკონომიკის აღმავლობისათვის სოლიდური თანხები გადარიცხოს. მეტიც, ის პირობას იძლევა, რომ რუსეთში მოღვაწე სომეხ ბიზნესმენებს აფხაზეთში ინვესტიციების განხორციელებისაკენ მოუწოდებს.

■ ■ ■

სულ ცოტა ხნის წინათ, ბაგაფში და ხაჯიმბა მოსკოვში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს, მერიის, საპატრიარქოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. თითოეულ ასეთ შეხვედრაზე "ორ ქვეყანას" შორის ურთიერთთანამშრომლობის ფართო სპექტრი განიხილებოდა. საბოლოოდ, მიღწეულია შეთანხმება აფხაზეთისათვის 20 მილიონი რუბლის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული თანხა რუსეთის ფონდების მეშვეობით ჩაიდება აფხაზეთში განსახორციელებელ მიზნობრივ პროგრამებსა და საბიუჯეტო სფეროში. პირველი ტრანში, 10-12 მილიონი რუბლის ოდენობით, სეპარატისტებმა მარტის დასასრულს მიიღეს, ხოლო დანარჩენ თანხას უახლოეს მომავალში ეტაპობრივად მიიღებენ.

რუსული ინვესტიციებით, ოჩამჩირის რაიონის სოფელ სკურჩაში, არაწიაღისეული მასალების (ქვიშა, ქვაღორღი) გადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია იგეგმება. პროექტის ღირებულება 600-700 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ანალოგიური ქარხნების აღდგენა იგეგმება ოჩამჩირესა და ბზიფშიც.

ახლო პერიოდში დაიწყება ციტრუსების შემფუთველი ქარხნის, წვენების დამამზადებელი საკონსერვო და ტეტრაპაკის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა სოხუმში. ასევე იგეგმება ციტრუსების მიმღები პუნქტების ქსელის შექმნა.

დაგეგმილია ფიჭური კავშირგაბმულობის ახალი ოპერატორების მოზიდვაც. ამ ეტაპზე კომპანიებმა "Билайн"-მა და "МТС"-მა საკუთარი ქსელის აფხაზეთში გაფართოების თაობაზე სურვილი გამოთქვეს. ამ კომპანიების წარმომადგენლებს აფხაზეთში ამ დღეებში ელიან, სადაც მათ საკუთარი ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია უნდა მოაწყონ. მომზადებულია პროექტები აფხაზეთში კავშირგაბმულობის ქსელის ახლით შეცვლის თაობაზე, რომლის ღირებულება, წინასწარი ინფორმაციით, 40-50 მილიონ დოლარს შეადგენს. განსახორციელებელი პროექტი ითვალისწინებს აქციათა 51 პროცენტის სახელმწიფოსთვის გადაცემას, ხოლო 49 პროცენტისას - შემსრულებელი ფირმისთვის.

ცოტა ხნის წინათ, მოსკოვის მერ ლუჟკოვთან ერთად განხილულ იქნა სოხუმის ქიმიურ ქარხანაში ინვესტირებისა და განვითარების საკითხი. განხილულ იქნა აფხაზეთის წარმომადგენლობისათვის მოსკოვის ცენტრში 300-400 კვადრატული მეტრის ფართობის გამოყოფა აფხაზური ცენტრისთვის. ორიოდე კვირის წინ, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში, 2005 წელს საავტომობილო გზის ვესიოლოე-ოჩამჩირის მონაკვეთის რემონტის საკითხი განიხილებოდა.

20 აპრილს, სეპარატისტული პარლამენტის მორიგ სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა ანქვაბმა დეპუტატებს მოსკოვში მისი და ბაგაფშის ბოლო ერთობლივი ვიზიტის შედეგები გააცნო. ანქვაბის თქმით რუსეთში მოიძებნა ინვესტორები, რომლებიც დააფინანსებენ მეფრინველეობის ობიექტების რეკონსტრუქციას ოჩამჩირის რაიონში და ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას სოხუმში, რაც აფხაზეთის მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემს, ნებისმიერი რაოდენობის ციტრუსი აფხაზეთიდან გაუსვლელად ჩააბარონ. სხვათა შორის, ანქვაბმა, "პარლამენტარების" კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, ინვესტორთა ვინაობა არ დაასახელა.

# „რატომ მფარველობენ მოძალადე ძალოვანებს"

ინგა ალავიძე

*ხავერდოვან რევოლუციას მიყოლებული მასობრივი დაპატიმრებების ტალღა და მეთოდი, რომელიც ხმაურიანი ანტიკრიმინალური ოპერაციებისას, უფრო ზუსტად, ეჭვმიტანილთა დასაკავებლად მასიურად გამოიყენებოდა, ევროსაბჭოს განსჯის საგანიც გახდა. იარაღისა და ნარკოტიკის ჩადების და დაკავებულთა ცემა-წამების შესახებ საქართველოს ხელისუფლების მისამართით ევროსაბჭოს ტრიბუნიდან გაკეთებულ შენიშვნას ის შედეგი მოჰყვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა ძალოვანმა მინისტრებმაც აიტაცეს და წამების საწინააღმდეგო ღონისძიებების არა ერთი ხმაურიანი პრეზენტაციაც მოაწყვეს. გენერალურმა პროკურორმა და შს მინისტრმა იმ პოლიციელებს, რომლებიც ძალოვან მეთოდებს გამოიყენებდნენ, მკაცრი გამაფრთხილებელი მესიჯიც კი გაუგზავნეს.*

თუმცა, ევროსაბჭოს კრიტიკაზე საქართველოს ხელისუფლების სიტყვიერ რეაქციას ლოგიკური შედეგი არ მოჰყოლია. ფაქტია, ჯერჯერობით არავის პასუხი არ მოუთხოვია ძალოვან უწყებათა არც ერთი ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსნისთვის, რომელთაც არა მარტო ირიბი კავშირი ჰქონდათ დაკავებულთა წამებასთან, იარაღისა და ნარკოტკის ჩადებასთან, არამედ უშუალოდაც მონაწილეობდნენ ამ ძალადობრივ ქმედებებში. სამწუხარო რეალობაა ისიც, რომ ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავინდებური სიხშირით ახმაურებენ ფაქტებს დაკავებულთა ცემა-წამების შესახებ. ანუ, გამოდის, რომ ქართველი სამართალდამცველები კვლავ ვიშინსკისეული საბჭოური პრინციპებით მოქმედებენ და, ზოგიერთმა კანონდამცველმა საქმის გახსნის ცივილიზებული მეთოდები ჯერ კიდევ ვერ აითვისა. სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენელმა, რომლის მოვალეობაც ადამიანის უფლებების დაცვაა, ჟურნალისტებთან შეხვედრისას "საიდუმლო ინფორმაცია" გასცა. მისთვის ერთ-ერთ ძალოვან მინისტრს უთქვამს: მას შემდეგ, რაც ევროსაბჭომ გაგვაკრიტიკა და იარაღისა და ნარკოტიკების ჩადების, ჩვენებების გამოძალვის ტრადიციულ მეთოდებს კვლავინდებური სიხშირით ველარ ვიყენებთ, საქმეების გახსნის სტატისტიკამ იკლოო.

ისტორია, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, გასაკვირი არავისთვის იქნება. ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვაში დადანაშაულებული პატიმარი ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ, 3 მაისს, ასპინძის სასამართლომ გამოძიების მიერ წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა, საქმის ძიება შეწყვიტა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლა. თუმცა, კრიმინალური ისტორია, რომელიც რუსთაველ გივი ჯანიაშვილს გადახდა თავს, ამით არ დამთავრებულა. იმის მაგივრად, რომ უშიშროების სამინისტროს მისი ერთწლიანი უკანონო პატიმრობის გამო ბოდიში მოეხადა და მიყენებული მორალური ზარალიც აენაზღაურებინა, ის კვლავ ძალადობის მსხვერპლი გახდა.

გივი ჯანიაშვილი ასპინძის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ გივი ლონდარიძემ პატიმრობიდან გაათავისუფლა და გამოტანილი განაჩენით დაადგინა, რომ ჯანიაშვილს ნარკოტიკული ნივთიერება დაკავებისას ჩაუდეს. პატიმრობიდან გათავისუფლების მეორე დღესვე, 4 მაისს გივი ჯანიაშვილს სახლში პოლიციელები ეწვივნენ, თუმცა მათ ჯანიაშვილი სახლში არ დაუხვდათ. 12 მაისს მას უკვე სპეცდანიშნულების 30-კაციანი რაზმი მიადგა და მძინარე ჯანიაშვილი მეორედ დააპატიმრეს. როგორც ჯანიაშვილის მეუღლე და მეზობლები აცხადებენ, სპეცრაზმელები სახლში ავტომატების სროლით შეცვივდნენ, მოკლეს ძაღლი და შევარდნენ საძინებელ ოთახში, სადაც ჯანიაშვილი იმყოფებოდა, წამოაგდეს ის საწოლიდან, ხელბორკილები დაადეს და ავტომატის კონდახებით და წიხლებით სასტიკად სცემეს. ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი მძინარე ჯანიაშვილს საცვალის ჯიბიდან ამოუღეს. როგორც მისი მეუღლე და მეზობლები აცხადებენ, ჯანიაშვილს წამალი სპეცრაზმელებმა ჩაუდეს. **"ავტომატების სროლითა და ხმაურით ისე შემოვარდნენ, რომ ბავშვისაც არ მორიდებიათ, მის თვალწინ დაცხრილეს ძაღლი. ვეხვეწებოდი, არ ისროლოთ, წინააღმდეგობას არავინ გიწევთ-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ, მსგავსი სისასტიკე არ მინახავს. ხმაური, რა თქმა უნდა, გივიმაც გაიგო, მაგრამ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია, ანდა, როგორ გაუმკლავდებოდა 30-მდე კბილებამდე შეიარაღებულ სპეცრაზმელს. ჩემი მეუღლე საძინებელი ოთახიდან გამოიყვანეს, ხელბორკილები დაადეს, ავტომატის კონდახებით სასტიკად სცემეს, შემდეგ ერთ-ერთმა, ყველაზე აქტიურმა სპეცრაზმელმა პატარა მოგრძო პარკი ამოიღო, დაგვანახა და თქვა, აი, ფაქტიც არისო. გივის წამალი ჩაუდეს, როგორ წარმოგიდგენიათ, მძინარე ადამიანს წამალი საწოლში, ჯიბეში ედებოდა? თანაც, მან გაიგო სროლის ხმა, გარდა ამისა, მე მოვასწარი საძინებელ ოთახში შესვლა და ვუთხარი, რომ სპეცრაზმი იყო მოსული. იმ შემთხვევაში თუ მას ნარკოტიკი ექნებოდა, თავისუფლად შეეძლო გადაგდება. ამ ყველაფერს ჩემი მეზობლებიც შეესწრნენ, თავის თვალით ნახეს ყველაფერი, მათ არ ეშინიათ, გამოძიებას ყველაფერს მოუყვებიან,"** – აცხადებს გივი ჯანიაშვილის მეუღლე.



გივი ჯანიაშვილი ორთაჭალის საპყრობილეში ჩატარებული ექსპერტიზისას.

ჯანიაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა ჯანიაშვილის უფასო სამედიცინო შემოწმებისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, გამოძიებამ არ დააკმაყოფილა. არადა, კანონით ადვოკატის მოთხოვნა გამომძიებელს დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებინა, თუმცა, შუამდგომლობაზე პასუხი ჯერაც არ გაუცია. მიუხედავად ამისა, ოჯახის მოთხოვნით, ჯანიაშვილს 16 მაისს ექსპერტიზა დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ჩაუტარა და დაადგინა, რომ გივი ჯანიაშვილს სხეულზე აღენიშნება ბლაგვი საგნით მიყენებული არაერთი დაზიანება. ჯანიაშვილი წინასწარი დაკავების საკანში მოინახულა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემაც.

**"ადამიანს, რომელიც სასამართლომ გაამართლა, რამდენიმე დღეში მიადგა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის შეიარაღებული სპეცრაზმი, ბავშვის თვალწინ ჩაცხრილეს ძაღლი, შეცვივდნენ სახლში, ჯანიაშვილი საწოლიდან წამოაგდეს და მძინარე ადამიანს აღმოუჩინეს ჰეროინი. ჯანიაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში მოვინახულე და, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრებისგან ვიცოდი მისი ცემის ამბავი, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ის სასტიკადაა ნაცემი. თქვეს, რომ წინააღმდეგობას გვიწევდა და ასე იმიტომაც მოვიქეცითო, ეს სასაცილოა. ადამიანი საწოლიდან წამოაგდეს და თანაც, 30 შეიარაღებულ სპეცრაზმელს წინააღმდეგობას ვერანაირად ვერ გაუწევდა, მეტიც, სახლის ჩხრეკის შემდეგ იარაღიც ვერ აღმოუჩინეს. არაადამიანური მოპყრობის ფორმა, სისასტიკე, რომელიც ჯანიაშვილის დაკავებისას გამოიყენეს, დაუშვებელია. მომხდარის თაობაზე მივმართეთ გენერალურ პროკურორს, ომბუდსმენის აპარატს და მოვითხოვეთ ჯანიაშვილის ცემის, არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მით უმეტეს, რომ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს იმ სისასტიკეს, რომელიც მის მიმართ გამოიყენეს. თუმცა, იმედი იმისა, რომ მომხდარს რეაგირება მოჰყვება, ნამდვილად არ მაქვს, რადგან ასეთ ფაქტს არა ერთხელ ჰქონია ადგილი და დამნაშავე არასდროს დაუსჯიათ. ამის თაობაზე უახლოეს დღეებში პრესკონფერენციის ჩატარებას ვგეგმავთ, სადაც კონკრეტულ ფაქტებს გამოვამზეურებთ იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ აფარებენ ხელს მოძალადე ძალოვანებს,"** – აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე.

რა თქმა უნდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა გამოძიების შუამდგომლობა და ჯანიაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ადვოკატის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომაც. არადა, გამოძიებამ არაერთი სერიოზული პროცესუალური დარღვევით შექმნა ჯანიაშვილის საქმე.

საქმე ისაა, რომ დაკავებისას ჯანიაშვილს არ მისცეს უფლება დაკავშირებოდა ადვოკატს, არ მისცეს უფლება სახლის ჩხრეკისას მოეწვია დამსწრე, მისი ოჯახის წევრებს ჩამოართვეს მობილური ტელეფონები, არ შეატყობინეს, თუ რომელი შეიარაღებული ფორმირებიდან იყვნენ, მეტიც, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა ჯანიაშვილის მოთხოვნა, რომლითაც იგი მასთან ბინაში მისულ სპეცრაზმელებთან დაპირისპირებას ითხოვდა, რათა ამოეცნო პირი, რომელმაც ნარკოტიკი ჩაუდო. ჯანიაშვილის ოჯახის წევრებს არ ჩაბარებიათ არც ჩხრეკისა და არც დაკავების ოქმი. ოქმის მიხედვით, გივი ჯანიაშვილი დააკავეს 14 საათსა და 20 წუთზე, პირადი ჩხრეკა დაიწყო 14 საათსა და 30 წუთზე და დასრულდა 14 საათსა და 40 წუთზე, ანუ, ჯანიაშვილი ჯერ დააკავეს, ეჭვმიტანილად გამოაცხადეს და შემდეგ გაჩხრიკეს, რაც საპროცესო კანონმდებლობის სერიოზული დარღვევაა. მეტიც, გამომძიებელმა ადვოკატს არ მისცა საქმის მასალების გაცნობისა და ქსეროასლების გაკეთების უფლება. როგორც ჯანიაშვილის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი აცხადებს, გამომძიებელმა მას განუცხადა, საქმის მასალები დანომრილი არ მაქვს, როცა მოვიცლი, მაშინ დავნომრავო. გამომძიებლის ამ ქმედებით დაირღვა ჯანიაშვილისთვის კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება და ასევე, შეეზღუდა დაცვის განხორციელების უფლება.

ჯანიაშვილის ოჯახის წევრები და ადვოკატები საქმეს სტრასბურგის სასამართლოში გასაგზავნად ამზადებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ უკანონობას, რომელიც მათ ერთი წლის წინ დაატყდათ თავს და ახლაც გრძელდება, ქართული მართლმსაჯულებით ვერ გაუმკლავდებიან.

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორი მოკლეს



იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექტორი 24 წლის ლევან სამხარაული გუშინ ყვარელში მოკლეს.

ლევან სამხარაული ორი დღის წინ ოჯახის მოსანახულებლად ჩავიდა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, სამხარაული თავის კლასელ ზეზვა ასაბაშვილთან ერთად ყვარელში ჭავჭავაძის ქუჩაზე ავტომანქანა "ფოლკსვაგენ პასატსით" მოძრაობდა. გზა "ვაზ 2107" მარკის ავტომანქანამ გადაუჭრა, რომელსაც სამხარაულისა და ასაბაშვილის თანაკლასელი დავით მჭედილიშვილი მართავდა. მანქანიდან გადმოსმულმა თანაკლასელებმა ერთმანეთი მოიკითხეს. თვითმხილველთა თქმით, მოულოდნელად დავით მჭედლიშვილმა სამხარაულს და ასაბაშვილს "ტე-ტე"-ს სისტემის პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნა. გავრცელებული ინფორმაციით, მჭედლიშვილმა გაქცეულ სამხარაულს იქამდე სდია, ვიდრე სიცოცხლეს არ გამოასალმა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, სამხარაულს თავში საკანტროლო გასროლაც აქვს გაკეთებული. ამის შემდეგ მჭედლიშვილი მანქანით სახლში დაბრუნდა და იმავე იარაღით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ასაბაშვილი მძიმე ჭრილობებით ყვარლის რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს.

რა გახდა ლევან სამხარაულის მკვლელობის და ზეზვა ასაბაშვილის დაჭრის მიზეზი, ამ დროისთვის უცნობია. თანაკლასელებს შორის დაძაბულ ურთიერთობას ვერც სამხარაულის ახლობლები იხსენებენ. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მკვლელობის მიზეზი დაჭრილი მეგობრის დაკითხვის შემდეგ გახდება ცნობილი.

*24 საათი*

### მოკლედ

### რევაზ ოქრუაშვილის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაუქმდა

უზენაესმა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვითაც გორის რაიონული გაზეთის "ხალხის გაზეთის" რედაქტორის, რევაზ ოქრუაშვილის მიმართ თვეების წინათ გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, გაუქმდა.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიზეზი თავად ყოფილი ბრალდებულის სარჩელი გახდა, რომლითაც ის მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სამართლიან გამოძიებას მოითხოვს. საპროცესო შეთანხმების გაუქმება ნარკოტიკის შენახვა-რეალიზაციაში ბრალდებულმა გაზეთის რედაქტორმა იმ მიზნით მოითხოვა, რომ საქმის ძიება განახლებულიყო. შეგახსენებთ, რომ რევაზ ოქრუაშვილის დაკავებამ დიდი ხმაური გამოიწვია. მის ინტერესებს აქტიურად იცავდნენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ახალგაზდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, ბრალდება უსაფუძვლო იყო და პროკურატურამ საკუთარი შეცდომის გამოსასწორებლად საპროცესო შეთანხმებას მიმართა. **24 საათი**

### ქურდობის ბრალდებით დაკავებულ მეძუძურ დედას სახალხო დამცველის აპარატი დაეხმარა

სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით, ქურდობის ბრალდებით დაკავებულ მეძუძურ დედას ბავშვის გამოკვების საშუალება მიეცა.

"სოზარ სუბარს დახმარების თხოვნით წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებული ანა საფოიანის ახლობლებმა მიმართეს. ანა საფოიანი 18 მაისს მობილური ტელეფონის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. იგი მეძუძური დედაა, იზოლატორში კი მას შვილის შეყვანისა და კვების საშუალებას არ აძლევდნენ. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსი გიორგი ონიანი პროკურორსა და გამომძიებელს დაუკავშირდა, რათა მათ საფოიანთან ბავშვის შეყვანაზე ნება დაერთოთ. პროკურორმა კი ვითარების გასარკვევად დრო მოითხოვა. ამის გამო, ონიანმა თავისი უფლება გამოიყენა და ბავშვი დედასთან მიიყვანა", - განმარტავენ ომბუდსმენის აპარატის წევრები.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სახალხო დამცველის აპარატის შუამდგომლობით, გამოძიებამ პატიმარი ქალისთვის, როგორც მეძუძური დედისთვის, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ნაცვლად, აღკვეთის ღონისძიებად არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. **24 საათი**

### სანდრა რულოვსისა და ბადრი პატარკაციშვილის სახელით მოქმედი თაღლითი

გუშინ ქუთაისში ცნობილი თაღლითი ბეჟან კოღუაშვილი გაასამართლეს. მას საოლქო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით და ექვსი თვით მიუსაჯა. კოღუაშვილი სამართალდამცველებმა სამი თვის წინ, ხონის რაიონში დააკავეს, როდესაც კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ოჯახებში 13-დან 16 წლამდე ასაკის გოგონებს არჩევდა თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში დასასვენებლად წაყვანის მოტივით. როგორც გამოძიებით გაირკვა, მანამდე, მან მსგავსი "შერჩევა" წყალტუბოში, ვანსა და სამტრედიაში ჩაატარა, რისთვისაც აფხაზეთიდან დევნილებს 30-30 ლარი გადაახდევინა.

კოღუაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის სანდრა რულოვსის სახელით მოქმედებდა და დევნილებს არწმუნებდა, რომ მათ ბავშვებს ანტალიაში დასასვენებლად სწორედ ქვეყნის პირველი ლედი ეპატიჟებოდა. საბოლოო ჯამში, თაღლითმა 100-ზე მეტი გოგონა "შეარჩია".

კოღუაშვილი ასევე აცხადებდა, რომ პროექტს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა და 30 ლარი მხოლოდ საბუთების მომზადებისთვის იყო საჭირო. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, ბეჟან კოღუაშვილი თაღლითურ საქმიანობას იმერეთში რამდენიმე წელი ეწეოდა. **ინტერ-პრესი**

### პოლიციელთა ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

იმერეთის შს მთავარმა სამმართველომ პოლიციელთა ცემისა და მათზე რიცხული მატერიალური ქონების განადგურების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე ეხება წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილისორში გუშინ მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც სამართალდამცველებმა ადგილობრივებს შურისძიების მიზნით შეპრყობილი სამი პიროვნების ჩაქოლვის შესაძლებლობა არ მისცეს და აღელვებულმა მოსახლეობამ იერიში პოლიციაზე მიიტანა.

როგორც იმერეთის პოლიციის უფროსი გია კაჭარავა აცხადებს, სასტიკად არის ნაცემი ათი პოლიციელი, მათ შორის ორი საავადმყოფოშია მოათავსებული. თითქმის ყველა პოლიციელს, რომელიც მძევლების გათავისუფლებაში მონაწილეობდა, აღენიშნება დაჟეჟილობა. მოსახლეობამ მათ ჯოხებით, ქვებითა და თოხის ტარებით სცემა.

კაჭარავას თქმით, ყველა დამნაშავე შესაბამისად დაისჯება. რაც შეეხება მამა-შვილ სულაბერიძეების მკვლელობის საქმეს, რის გამოც ცნობილი ინციდენტი მოხდა, წყალტუბოს პოლიციაში აცხადებენ, რომ დანაშაული თითქმის გახსნილია და დამნაშავეებს უკვე ეძებენ. **ინტერ-პრესი**

## ომბუდსმენი ლტოლვილთა უფლებებს იცავს

სახალხო დამცველის აპარატი უკმაყოფილებას გამოთქვამს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თბილისისა და ბაქოს ოფისების მიერ გამოჩენილი არაკოორდინირებული მუშაობის გამო და, ასევე - შს სამინისტროს მიმართ. ომბუდსმენის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აფერხებს საქართველოს საზღვარზე ლტოლვილთა გადმოსვლას, რის გამოც თავშესაფრის მაძიებელი ადამიანები იძულებულნი არიან, არალეგალურად გადმოლახონ საზღვარი.

საქმე ისაა, რომ ჩეჩენმა ლტოლვილმა მექა ხანჩუკაევამ, თავის ოთხ შვილთან ერთად, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი არალეგალურად გადმოკვეთა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ისინი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მიიყვანეს, სადაც დევნილებმა შესაბამისი სტატუსის მიღების თხოვნით განცხადება შეიტანეს. ცნობს თუ არა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მათ ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირებად, ორ დღეში გახდება ცნობილი.

სხვათა შორის, მექა ხანჩუკაევამ სახალხო დამცველს მარტის ბოლოს მიმართა და ბაქოში მყოფი ოთხი შვილის გადმოყვანაში დახმარება სთხოვა. ომბუდსმენმა ამის თაობაზე წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა ვანო მერაბიშვილისგან პასუხი დღემდე არ მიუღია.

*24 საათი*


უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი............

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი............

საკონტაქტო ტელეფონი............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვესტიბიული);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible] II". [illegible]
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77, იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

# თუ ხელისუფლების ნება იქნება

## ენერგეტიკამ, შესაძლოა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულოს

*აქსიომაა, რომ სახალხო მეურნეობის აღორძინება ენერგეტიკით იწყება. მტკვარს ვარძია-ახალციხის მონაკვეთზე ყველაზე დიდი დაქანება აქვს, რაც უკვე 50 წელია, ენერგეტიკოსების ყურადღებას იპყრობს. ადრე ნატო-ს წევრი თურქეთის მოსაზღვრე რეგიონისკენ გახედვაც კი იკრძალებოდა, ამიტომ ენერგორესურსების ათვისების კუთხით მთელი ყურადღება ჩრდილოეთიდან ჩამომდინარე რიონზე, ენგურზე, კოდორსა და არაგვზე იყო გადატანილი. ახლა ვითარება შეიცვალა, თურქეთი ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიკური პარტნიორია, ამიტომ მისი მოსაზღვრე რეგიონის განვითარებას თვითონ თურქეთი და ნატო-ს წევრი სხვა ქვეყნები ხელს უწყობენ - მზად არიან, გრძელვადიანი ინვესტიციები ჩადონ ჰიდროენერგეტიკაში, რომელიც ევრაზიის მომავალი ერთიანი ენერგოსისტემის აუცილებელი ნაწილი ხდება.*

*საქართველოს დღეს არ აქვს ფული, რომ მძლავრი ჰიდროსადგურები აშენოს, მაგრამ სახსრები აქვთ სტრატეგიულ მოკავშირეებს, რომლებიც ჩვენგან ელიან იმ წერტილების ჩვენებას, სადაც სადგურების ჩადგმა მაქსიმალურ მოგებას მოიტანს. ისინი ჩვენგან გამართულ, თანამედროვე ბიზნეს-გეგმებს ითხოვენ - აქ ქართველი ენერგეტიკოსების მიერ სოციალიზმის დროს შედგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები არ გამოდგება. ამიტომ ეს ბიზნეს-გეგმები თავიდანაა შესადგენი, რისთვისაც ენერგეტიკის სექტორის პროექტანტ ინსტიტუტებს მცირეოდენი საბიუჯეტო დაფინანსება ეყოფათ.*

დემურ კახურაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

სამცხე-ჯავახეთს საქართველოს ტერიტორიის 9 პროცენტი უკავია, მაგრამ აქ მოსახლეობის მხოლოდ 4,5 პროცენტი ბინადრობს, რადგან მაღალმთიანი მკაცრი გარემოს პირობებში ცხოვრება ჭირს – ზამთარში ყინვა 40 გრადუსს აღწევს, ზაფხულში კი ძალიან – საშუალოდ 38 გრადუსამდე ცხელა. ნოყიერი შავი მიწა ურწყავად მოსავალს არ იძლევა, მორწყვას კი წყალსაცავები, სარწყავი ქსელი და ელექტროენერგია სჭირდება. დღეისათვის აქ კომუნისტების დროინდელი საირიგაციო სისტემა გაპარტახდა, მოიშალა ისედაც სუსტი მრეწველობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ენერგეტიკა.

მთის ხალხს ხელისუფლებისგან მეტი დახმარება სჭირდება, ვიდრე ბარის მოსახლეობას. სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს 230 ათასიანი რეგიონის დასაქმებაზე, კეთილდღეობაზე, განსახლებაზე, ნოყიერი მიწების ათვისებაზე, საირიგაციო სისტემის ამოქმედებაზე, სახელმწიფო ენის სწავლებაზე და სხვა ყველაფერზე, რაც მხარეს აყვავებას სჭირდება. ჯერჯერობით ხალხი ამ ზრუნვას ვერ გრძნობს, ჩინოვნიკები კი რეგიონის პრობლემებით მანიპულირებენ, რომ ბიუჯეტს რაც შეიძლება დიდი ფული დასტყუონ.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხის ბედი, ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება ხელისუფლებას არ აინტერესებს. თითქოს მთავრობა ვერ ხვდება, რომ სამცხე-ჯავახეთში თუ ვითარება დაიძაბა, პრობლემა შინაგანი ჯარების შეყვანითაც ვერ გადაწყდება. ჯობდა, იქ მშენებლების ჯარი შეგვეყვანა, რისთვისაც ბიუჯეტიდან კაპიკები იყო საკმარისი, მაგრამ ხელისუფლებამ ზღვარი არ დაუდო ჩინოვნიკთა სიხარბეს და რეგიონისთვის ის კაპიკებიც კი ვერ გაიმეტეს, რომლებიც რეგიონს ასობით მილიონიან საქმეს მოუტანდა, ხალხს დაასაქმებდა და ყოფას შეუმსუბუქებდა. ერთი სიტყვით, ის, რაც ამ რეგიონის გარშემო ხდება, პოლიტიკური სიბეცე აღარაა – ეს უკვე ღალატია და მავნებლობა.

არადა, რეგიონში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უკვე კარგა ხანია, არსებობს იდეა: მტკვრის ზედა წელზე 3 ჰესია ჩაფიქრებული (იხ.ცხრილი). ხერთვისიჰესი ახალქალაქთანაა, აბანოჰესი – ასპინძასთან, აგარაჰესი – ახალციხის მახლობლად მტკვართან მდინარე ფოცხოვის მიერთებამდე (იხ.რუკა). სამივე ჰესის სიმძლავრე 148 მვტ-ია (შედარებისთვის: ზაჰესი - 44 მვტ.) , ენერგიის გამომუშავება (675 მლნ. კვტსთ) კი 11-ჯერ გადააჭარბებს ამჟამად რეგიონისთვის მიწოდებულ ენერგიას, რომელსაც სომხეთიდან ვყიდულობთ.

სპეციალისტების მრავალწლიანი მოკვლევით, მტკვრის აუზიის მდინარეების - ფოცხოვის, ურაველის, ფარავანის, ბორჯომულას და სხვათა ენერგოპოტენციალის ათვისებით რეგიონის სიმძლავრე გაორმაგდება და 300 მვტ.-ს მიაღწევს, ხოლო ენერგიის გამომუშავება – 1000 მლნ კვტსთ-ს (შედარებისთვის: ამჟამად საქართველო 7000 მლნ.კვტსთ-ს გამოიმუშავებს).

ჰესების აღნიშნული კასკადი შემდეგ სიკეთეს მოგვიტანს:

1. მარეგულირებელი ჰესებით პიკური დატვირთვები მოიხსნება;

2. გამომუშავებულ ენერგიას მიიღებს რეგიონის მოსახლეობა – გაუმჯობესდება ცხოვრების პირობები;

3. ამოქმედდება სახალხო მეურნეობა: მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი;

4. საფუძველი ჩაეყრება რეგიონის ენერგოპოტენციალის სრულ (300მვტ.) ათვისებას;

5. საფუძველი ჩაეყრება რკინიგზის ახალქალაქი-მარაბდის მონაკვეთის რეკონსტრუქციას, რკინიგზის ახალციხე-ახალქალაქი მონაკვეთით რკალის შეკვრას და გაჩნდება რეალური ახალქალაქიდან თურქეთის ქალაქ მეზრაანამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის შესაძლებლობები, რაც დღეს შუა აზია-ხმელთაშუა ზღვის მაკავშირებელი სატრანსპორტო მონაკვეთისთვის ერთგვარ უტოპიადაა მიჩნეული (სხვათა შორის ექსპერტები შორეული მომავლის პერსპექტივად ახალციხე-ბათუმის გოდერძის გადასასვლელით დაკავშირებასაც ხედავენ).

6. სამხრეთ კავკასია მდიდარია წიაღისეულით. ენერგეტიკა და რკინიგზა რეგიონში სამთო საქმის განვითარებას შეუწყობენ ხელს.

7. წყალსატევები და ელექტროენერგია საირიგაციო სისტემის აღდგენის საფუძველი გახდება, რაც გააორმაგებს მოსავლიანობას.

8. ჭარბი ენერგია საექსპორტოდ მიიმართება.

9. შეწყდება მტკვარზე წყალდიდობები, ნაპირების ჩამორეცხვა, მიწის სავარგულების გაოხრება, ხიდების წალეკვა და გზების დაზიანება.

10. გაიზრდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის მუშაობის საიმედოობა – ეს მილსადენები მტკვრის ზედა დინებას რამდენჯერმე გადაკვეთს.

სპეციალისტებმა ჩაიფიქრეს სამივე ჰესის ერთდროული მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს პროექტს. მშენებლობა სამ წელს გაგრძელდება და ერთდროულად 15 ათასამდე კაცს დაასაქმებს. შედეგად, ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზის აგენტებს ადგილობრივი მოსახლეობის მიტინგების პროვოცირების საფუძველი გამოეცლებათ (შეგახსენებთ: სწორედ იმის გამო, რომ ახალქალაქში რუსები დგანან, "ბი-პი"-მ თავისი მილსადენები ბორჯომის რაიონზე გაატარა და უნიკალური საკურორტო ზონისთვის, ბორჯომის წყლებისთვის ზიანის ასაცილებლად რამდენიმე მილიონი დამატებით დახარჯა).

მტკვრის ზედა წელის ათვისების იდეა რამდენიმე ავტორს ეკუთვნის. ის წლების განმავლობაში იხვეწებოდა. ალბათ, აქვე საჭიროა, ორი სიტყვა საპროექტო წინადადების ავტორებზეც ითქვას: ნოდარ თავართქილაძე პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატია, 10 გამოგონებისა და 60 სტატიის ავტორი. გიორგი ჭუმბურიძე – მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ამჟამად ენერგეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ჟურნალ "ენერგიის" პასუხისმგებელი მდივანი, 42 გამოგონებისა და 130 სამეცნიერო სტატიის ავტორია. იულია გაბრიჩიძე საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, ინსტიტუტ "ჰიდროპროექტის" ახალი ტექნიკის განყოფილების გამგე, 100 გამოგონებისა და 50 სამეცნიერო სტატიის ავტორია.

გასულ ათწლედში იდეის ავტორმა ენერგეტიკოსებმა რამდენჯერმე უშედეგოდ მიმართეს შევარდნაძის ხელისუფლებას. მათი წინადადება ჰესების აშენებით მდგომარეობის გამოსწორების მაშინაც კი უყურადღებოდ დარჩა, როცა სამცხე-ჯავახეთში ვითარებამ განსაკუთრებით საშიში ფორმები მიიღო.

2002 წლის 30 აგვისტოს ენერგეტიკის სამინისტრომ, მინისტრის მოადგილის ნუგზარ უფლისაშვილის თავმჯდომარეობით, მოიწონა წინადადება (ოქმი №30/08) და ეკონომიკის სამინისტროს სთხოვა, მიზნობრივ პროგრამაში გაეთვალისწინებინა მცირეოდენი თანხა – 0,49 მლნ.ლარი რეგიონის შესწავლაზე. ამ თანხიდან 0,12 მლნ. ლარი მტკვრის ზედა წელის შესწავლად უნდა მოხმარებოდა. წინადადებამ, მიღებული მხარდაჭერებითურთ, ფინანსთა სამინისტრში გადაინაცვლა, სადაც ფინანსთა მაშინდელმა მინისტრმა მიიჩნია, რომ ამ 0,49 მლნ. ლარს ბიუჯეტის მოშლა შეეძლო და ამიტომ ამ თანხის გამოყოფაზე ავტორებმა ცივი უარი მიიღეს - ჩანს, ძალა არ ჰქონდა არც ენერგეტიკის სამინისტროს "უმორჩილეს" თხოვნას (№02.241, 26.02.2003), არც პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის დადებით დასკვნას (№ კოლ-52, 70/60-1, 23.09.2002), არც ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მხარდაჭერას (№527-30, №-05 13.09.2002), არც ეკონომიკის სამინისტროს ღალადებას (№02/03/03, 10-10, 02.10.2002), რომ ენერგეტიკას ფეხზე დასადგომად თანხები სჭირდება, არც საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრს (09-15/4, 24.01.2003), რომ "ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს და ამ მიმართულებით ერთიანი, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სწორედ ის აუცილებელი პირობაა, რომელიც ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრების საფუძველი უნდა გახდეს".

შევარდნაძის დროს ნაღდი კაცი იყო საგზაო ფონდის ხელმძღვანელი ბ.სარალიძე, ამიტომაც შეუფერხებლად იღებდა თანხებს. ხომ არ მიუთითებს ეს, რომ ფინანსთა მინისტრები აფინანსებენ მხოლოდ მათ, ვინც წილის - "ატკატნოის" უკან დაბრუნება იცის? 2003 წლის 65,4 მილიონლარიან მიზნობრივი პროგრამიდან საგზაო ფონდისთვის გამოყოფილ 6 მილიონისთვის ფინანსთა სამინისტროს თითიც არ დაუკარებია. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს 8,5 მილიონი შეხვდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 13,4 მილიონი და სხვა, მხოლოდ ენერგეტიკა დაზარალდა და ენერგეტიკის სამინისტროს ფინანსთა სამინისტრომ 7,7 მილიონ ლარად ღირებული ოთხივე თემა ამოუგდო. სწორედ ამიტომ მოუწია ენერგეტიკის სამინისტროს ამ პროგრამის შემდგენელ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთვის სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად აქტუალური საკითხის - მტკვრის ზედა წელის ენერგოპოტენციალის ასათვისებლად საჭირო საპროექტო სამუშაოებისთვის 0,49 მილიონი ლარის თხოვნა (№02.241, 26.02.2003), რაც რამდენჯერმე განმეორდა (წერილებით №10903, 17.10.2003, მაგრამ უშედეგოდ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიმედებულმა ავტორებმა მოხსენებითი ბარათი აფრინეს ახალ პრეზიდენტთან (20.02.2004), მაგრამ ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ პასუხში (№04-02-04-15/2034, 19.03.04) ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გოგოლაშვილმა ისევ ძველებური პასუხი გაიმეორა – მიზნობრივ პროგრამას შეეშვით, თქვენს ტყავში დაეტიეთო... არადა, მოთხოვნილი თანხა მართლაც უმნიშვნელოა, როცა საუბარი ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ეხება და ეს საკითხი ეჭვგარეშეა.

უიმედო პასუხის შემდეგ ავტორებს იმედი ამერიკულმა გრანტების გამცემმა ორგანიზაციამ "მილენიუმ ექსჩეინჯ კორპორეიშენ"-მა ჩაუსახა. 2004 წლის 15 აგვისტოს ავტორებმა 300 ათას დოლარზე განაცხადი თავისუფლების მოედანზე მდებარე "მილენიუმის" ქართულ ოფისში, ყოველგვარი აღწერა-რეგისტრაციის გარეშე ჩააბარეს. ოფისში წინადადებები არავის დაურეგისტრირებია, რის გამოც ავტორების წინაშე პასუხისმგებლობაც მოიხსნა. ამის შემდეგ ქართველმა ავტორებმა დღემდე ვერ გაარკვიეს, რა ბედი ეწია მათ წინადადებას მტკვრის ზემო აუზის ენერგოპოტენციალის ათვისების შესახებ.

ჯერჯერობით არ ჩანს, რომ მთავრობას სამცხე-ჯავახეთის აღორძინების რაიმე რეალური გეგმა აქვს. "მილენიუმის კორპორაციის" ქართული წარმომადგენლობა საუბრობს ამ რეგიონში გზების რეაბილიტაციაზე, მაგრამ რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე - ენერგეტიკაზე საუბარი ჯერჯერობით ისევ არ არის. არადა, საინტერესოა, ელექტროენერგიის გარეშე რომელი დარგის აღორძინება და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაა დაგეგმილი?

ჯავახეთელი სომხები, სხვათა შორის, ისევე, როგორც იქაური ქართველები, ბერძნები და სხები, გაჭირვებაში დღეს არ ჩავარდნილან. მოსახლეობის მუქარა, გამოსვლები და დაპირებები შევარდნაძის დროსაც იყო. გამოდის, რომ მოსახლეობა რამდენჯერმე დარჩა მოტყუებული და მათი ნდობის ლიმიტიც ქართული ხელისუფლებისადმი ამიტომ ამოიწურა. შედეგად, ახლა ჯავახელი სომხების ნდობის მოპოვებას ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალული ერთიან სომხეთა ინტერესების დამცველი "დაშნაკ-ცუცუნი" ცდილობს, რაზეც ამ ორგანიზაციის ლიდერის კირო მანოიანის ღია ტექსტიც მიუთითებს, რაც 16 მარტის "24 საათში" გამოქვეყნდა.

რისი ბრალია ეს? სახელმწიფო მართვის მექანიზმი სამთვლიანი ველოსიპედი არ არის, რომ მისი წაყვანა გამოუცდელმა არაპროფესიონალებმა შეძლონ. ამ საქმეს მცოდნე, გამოცდილი პროფესიონალები სჭირდება, ვისზეც პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, უარი თქვა.

თუ ქვეყნის მართვის პრინციპი არ შეიცვალა, არაფერი გამოვა. ვითარება კატასტროფულია. ქვეყანა კრიზისშია. გამოსავალი ერთია – საქმე უანგაროდ და ცოდნით უნდა ვაკეთოთ.

*P.S. (მასალა იბეჭდება მცირედი შემოკლებით და შესწორებებით)*

### მტკვრის ზედა წელის ჰესების კასკადი

| N | ჰესის დასახელება | სიმძლავრე (მეგავატი) | ელექტროენერგია (მილიონი კილოვატსაათი) | ჰესის ტექნიკური მონაცემები | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაწნევა (მეტრი) | წყალსაცავი (მილიონი კუბური მეტრი) |
| 1 | ხერთვისი ჰესი | 37 | 180 | 148 | 92 |
| 2 | აბანო ჰესი | 33 | 155 | 75 | 122 |
| 3 | აგარა ჰესი | 78 | 340 | 113 | 300 |
| 4 | ჯამი | 148 | 675 | 336 | 514 |

### სამცხე-ჯავახეთის რეგიონი




# ენერგეტიკის სამინისტროს საბიუჯეტო თანხების არასწორ განკარგვაში ადანაშაულებენ

## ენერგეტიკის სამინისტროში მომჩივანთა მიღმა დაინტერესებულ ძალებს ხედავენ

*"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" მოაწოდეს მასალები, რომლებიც ენერგეტიკის სამინისტროს დოკუმენტაციას, მათ შორის - მაღალჩინოსანთა მიმოწერას შეიცავს. როგორც ცენტრს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ივანე აბესაძე ატყობინებს, "ამ დოკუმენტაციით კონკრეტული კორუფციული გარიგებების არსებობა დასტურდება". ენერგეტიკის სამინისტროში კი აბესაძის ვარაუდებს არათუ გადაჭარბებულად, არამედ მიზანმიმართულ კამპანიად მიიჩნევენ.*

მასალის მომწოდებელთა აზრით, ამ მიმოწერაში დაშვებული შეცდომები (რომელთა არსებობაც მართლაც ფიქსირდება), მიზანმიმართულია და კონკრეტულ კორუფციულ მიზნებს ემსახურება. კერძოდ, საუბარია ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობის დეპატრამენტის უფროსის თემურ ხუნწარიძის მიერ გატარებულ საკადრო ოპტიმიზაციაზე, რომელსაც შედეგად, თითქოსდა, კადრების შემცირება უნდა მოჰყოლოდა, სინამდვილეში კი პირიქით მოხდა, რამაც ენერგეტიკის სამინისტროს დაფინანსების ზრდა და, შედეგად, ბიუჯეტში სამინისტროსთვის გაწერილი თანხების ზრდა გამოიწვია.

ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ანგარიშით, ამ, და სხვა შეცდომებმა, ბიუჯეტი 80 ათას ლარამდე ოდენობის თანხით აზარალა. აბესაძე მიანიშნებს, რომ ეს ყველაფერი შეუძლებელია, ენერგეტიკის მინისტრისგან ფარულად ხდებოდეს.

აბესაძე აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც მან ამ საკითხზე ნიკა გილაურს ყურადღება წერილობით გაამახვილებინა, ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის საქმიანობამ ეჭვი თავად გილაურსაც აღუძრა. შედეგად, გილაურმა ა.წ. 10 მარტს აბესაძეს წერილობითვე აცნობა, რომ ხუნწარიძის საქმიანობაში დანაშაულის ნიშნებს თავადაც ხედავს და ეს საქმე შესაბამის უწყებებს – კონტროლის პალატასა და გენერალურ პროკურატურას მანაც გადასცა.

როგორც აბესაძის მიერ ცენტრისთვის მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, საქმეს ამჟამად პროკურატურა და ფინანსური პოლიცია სწავლობენ. "თუმცა, მეც, ჩემი მხრივ, ამ თემისთვის საგანგებო პრესკონფერენციის მიძღვნას ვგეგმავ," - განაცხადა აბესაძემ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" წარმომადგენელთან საუბრისას.

აბესაძის ვარაუდებს არათუ გადაჭარბებულად, არამედ მიზანმიმართულ კამპანიად მიიჩნევენ თავად ენერგეტიკის სამინისტროში. როგორც ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის გაუქმებით ამ პიროვნებამ არაკანონიერი შემოსავლის საკმაოდ სერიოზული წყარო დაკარგა და ამით აიხსნება მისი შემოტევებიც.

"აბესაძეს მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს. ის დამიწების საკუთარ კერძო სტრუქტურას ლობირებდა, რომელიც ობიექტებზე შედიოდა და ფულს აკეთებდა. ენერგოზედამხედველობის სამსახურის გაუქმებამ კი მას ამის საშუალება დააკარგვინა. მისი ბრალდებები სრული სისულელეა. რაც შეეხება თავად ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობას, ის სრული გამჭვირვალობით მიმდინარეობდა," – აცხადებს მინისტრი.

ამავე აზრს იზიარებს ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი თემურ ხუნწარიძეც, რომელიც მიიჩნევს, რომ დეპარტამენტში ყველაფერი კანონიერად კეთდებოდა და აბესაძის საჩივრები მხოლოდ მისი და მინისტრის კომპრომეტირებას ისახავს მიზნად.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური წყაროებიდან ცნობილია, რომ ენერგოზედამხედველობის სამსახურების საქმიანობაში კორუფციული გარიგებების მსგავსი შემთხვევები არაერთხელ დაფიქსირებულა. კერძოდ, წვრილი ობიექტებისთვის ამ სამსახურისთვის ყოველთვიურად არაოფიციალურად გადასახდელი "ფსონი" თუ 50-100 ლარს შეადგენდა, მსხვილი ობიექტებისთვის სამსახურის "კეთილგანწყობილი დასკვნები" ათასობით და ათი ათასობით ლარი ღირდა. თუმცა, ეკუთვნოდა თუ არა "წილი" ამ თანხებიდან აბესაძეს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ამდენად, მტყუან-მართლის გარჩევა დღეისთვის იოლი არ არის. ფაქტი ფაქტად რჩება – ენერგოზედამხედველობის სამსახურის კომპრომეტირებული სახელი ბევრი ეჭვის საბაბს მართლაც იძლევა.

რაც შეეხება პროკურატურას, ფინანსურ პოლიციას და კონტროლის პალატას, ამ უწყებებს "აბესაძის საქმე" (თავად აბესაძის ინფორმაციით - მის მიერ მოკვლეული მასალების პაკეტი) დიდი ხანი არ არის, რაც გადაეგზავნათ. ამდენად, უცნაური არ არის, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მათი დასკვნები, ჯერჯერობით, დაკონკრეტებული არ არის.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" მოწოდებული მასალები შესასწავლად ცენტრის ექსპერტებსაც გადაეცათ. მათი წინასწარი მონაცემებით, დოკუმენტაციაში დაშვებული შეცდომების მიზანმიმართულობაზე საუბარი გადაჭარბებულია.

იმის შესახებ, არის ეს მიზანმიმართული კორუფციული ქმედებები თუ მხოლოდ დაუდევრობით გამოწვეული საკანცელარიო შეცდომები, ოფიციალური სტრუქტურებისა და, აგრეთვე, ცენტრის ექსპერტთა დასკვნებს მომავალში შემოგთავაზებთ.

"პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს"



B2

როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



B3

ვაშლის შესაფუთ ქაღალდზე დაწერილი მოგონებები




B6

# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

გასულ შაბათს **ქეთევან იგნატოვამ** პროვინციალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. დასაფასებელია. მკითხველი უკვე ელის, რომ შემდეგ წინადადებას ასე დავიწყებ: "მაგრამ..."

მკითხველი არ ცდება:

მაგრამ სად უნდა ვეძებოთ პროვინციალიზმი? ყველაზე ადვილი მისი პოვნა სწორედ "იმერულ კილოშია". ყველა დამეთანხმება, რომ როცა დღეს საქართველოში იმერული კილოს შესახებ ლაპარაკობენ, მხედველობაში **ნიკა ქავთარაძე** ჰყავთ. განა ეს ქავთარაძის აშკარა გამარჯვება არაა? მის შოუს მხოლოდ მაშინ ვუყურებ, თუ სხვა რამ საქმე არა მაქვს და მაშინაც მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ვრჩები, მაგრამ მაინც მეცინება ხოლმე. დროთა განმავლობაში სულ უფრო იშვიათად. ასეც უნდა იყოს — სწორედ ეს ქმნის იმის იმედს, რომ მომავალში ყველაფერი უკეთესად იქნება.

მთლად გასაგებად ვერ გამოვთქვი აზრი. ამიტომაც პირდაპირ ვიტყვი.

იუმორს, ისევე როგორც ყველაფერს, გამოცდილება და ტრადიცია სჭირდება. საქართველოში დიახაც იყვნენ და არიან ენამახვილი ადამიანები, მაგრამ მათი მხიარული პროდუქცია სულ სხვა "ფორმატსა" და კონტექსტში იყო შექმნილი. მას თარგმნა სჭირდება ტელევიზიის ენაზე. სწორედ ამ საქმეს ემსახურება დღეს ის შოუები, რომელთა გამრავლების გამო უკმაყოფილებას ვერ მალავენ ჩვენი სამამულო წარმოების ესთეტები. მე უკმაყოფილებას არ გამოვთქვამ: რატომ? — მგონი, ოდესღაც უკვე ვთქვი, მაგრამ ახლაც გავიმეორებ:

ერთი მღვდელი ქორწილში ლობიოს ჭამდა. იმერელმა შემოდგომის აზნაურმა კი ქედმაღლურად ჰკითხა: "ეგი რაია, მამაო?". მღვდელმა მიუგო: ეს ისაა, რასაც სტუმრად მარხვაში უკადრისობ, შინ კი ხსნილშიც გენატრებაო. არ მინდა იმ აზნაურის მდგომარეობაში აღმოვჩნდე, რადგან, როგორც ვთქვი, ქართულ ტელეხუმრობებზე მეც მეცინება.

დიახ, ჯერ სამიდან ორზე მეცინებოდა, ახლა — სამიდან ერთზე: სწორედ ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გავა დრო და ვინმეს მოუნდება, რომ მეც და ჩემნაირებმაც უფრო ხშირად იცინონ. ასე ჩამოყალიბდება ნელ-ნელა ის ხარისხი (დონე-მეთქი არ ვიტყვი!), რომელსაც აგრერიგად ვესწრაფვით. თუ არ ჩამოყალიბდება და, რას იზამ, ყველა ხომ ჩვენნაირი არ იქნება. ღმერთმა ნუ ქნას. მით უმეტეს, თუ პროვინციალიზმის საფრთხობელა მაინცდამაინც არ გვასვენებს, სიტყვაზე დამიჯერეთ: ბევრი მომისმენია იტალიურ ტელევიზიაში ტოსკანურად თუ ნეაპოლურად მოშაყირე კომიკოსები, ისიც მინახავს, როგორ იცინის სტუდიაში მოწვეული ინგლისელების "მასოვკა" მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც კლოუნი ერთადერთ სიტყვას შოტლანდიური აქცენტით წარმოთქვამს. ამაზე ნაკლები სულაც არ არიან არც "რუსთავი 2"-ის და არც "იმედის" ოხუნჯები.

პროვინციალიზმი კი ერთობ ვერაგი რამეა.

ამბობენ, ხარს წინიდან არ უნდა მიუახლოვდე და ცხენს — უკნიდანო. პროვინციალიზმს თავზე რქებიც აბია და, თქვენ წარმოიდგინეთ, წიხლიც იცის. ბევრი მინახავს მასთან მებრძოლი, შუბლზე რომ მისი ჩლიქების კვალი ატყვია. მით უფრო საშური საქმეა მაგ ყბადაღებული პროვინციალიზმის ალგამვა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, სად ვეძებოთ. ამ მხრივ კი ჩვენი დალოცვილი ქვეყანა ნამდვილად ედემის ბაღია.

უბედურება კი ისაა, რომ ედემის ბაღში მშვიდობა და სიყვარული სუფევდა, ჩვენი პროვინციალიზმი კი ზოგჯერ შეიარაღებულია ამ სიტყვის არა გადატანითი, არამედ ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით...

არა გჯერათ?

19 მაისის ნომერში დაიბეჭდა **ნინო გომართელის** სტატია-რეპორტაჟი *შენიშვნები და იმედები*, რომელიც ეხება საქართველოს დელეგაციის სტუმრობას ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში. "**ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა — ხაზი გაუსვა ირაკლი ოქრუაშვილმა**". სტატიაც იგივე განწყობით იკითხება: ყველაფერი იდეალურადაა. მართალია, "**ნატო-ს მხრიდან იყო გარკვეული შენიშვნები, რომელთა ნაწილი საქართველოს დელეგაციის წევრებმა გაიზიარეს, ნაწილი კი არა**" (ეს **ოქრუაშვილმა** პრეს-კონფერენციაზე განაცხადა). ესეც იდეალური სურათის ერთი დეტალია — საქართველო ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, და რაღა დამოუკიდებლობაა, თუ ბრიუსელის ყველა შენიშვნა გაითვალისწინე!

მაგრამ უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ საქმის ვითარებას: "**იმ ფონზე, რომ თავდაცვის დაგეგმარების სისტემა დასრულებული ჯერ არ არის, შენიშვნა გამოითქვა ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ შესყიდვებთან დაკავშირებით**".

ვთარგმნოთ ეს ფრაზა ქართულად: "საქართველოს სახელმწიფოს არ გააჩნია უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონცეფცია, არ შემუშავებულა სამხედრო დოქტრინა და ამის მიუხედავად მიმდინარეობს სამხედრო შესყიდვები". ეს სერიოზული შენიშვნაა, შეიძლება ითქვას, კატასტროფაა. დემოკრატიულ, ან როგორც ჩვენში იტყვიან, "ნორმალურ" ქვეყანაში ჯერ ხდება კონცეფციის შემუშავება და დაგეგმვა და მხოლოდ ამის შემდეგ, ამ გეგმებიდან გამომდინარე — კონკრეტული ქმედებები, როგორიცაა იარაღის შესყიდვა თუ რეზერვისტთა გაწვევა და სხვა. მართლაც, თუ არ ვიცი, რა საფრთხე მემუქრება, თუ არ არსებობს არმიის მშენებლობის გრძელვადიანი გეგმა, რატომ უნდა შევისყიდო 70 ტანკი? იქნებ სხვა რამე მჭირდება.

რაღაც კონცეფცია კი ექნებათ, მაგრამ ის ჯერაც ერთი ან ორი ადამიანის გონებიდან არ გამოსულა, როგორც ეს ავტოკრატულ რეჟიმებს ახასიათებს, და არ არის ოფიციალურ (თუნდაც გასაიდუმლოებულ) დოკუმენტში ასახული. ბრიუსელში სწორედ ამაზე მიგვითითეს, რასაკვირველია, დიპლომატიურად, ევროპელებს ხომ აბორიგენთა ბელადებთან საუბრის დიდი გამოცდილება აქვთ.

სხვა შენიშვნა, რომელიც საერთოდ არ აისახა გომართელის სტატიაში, არის სამხედრო ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა და არასაბიუჯეტო ფონდები. ამაზე **დავით დარჩიაშვილი** საუბრობს, 20 მაისის მასალაში (**ვერიკო თევზაძე**, *ნატოს შენიშვნები სამოქალაქო საზოგადოების შენიშვნებს ემთხვევა*). ანუ, არათუ საზოგადოებამ არ იცის, რა გეგმით ხარჯავს მის ფულს თავდაცვის მინისტრი, არამედ რაში ხარჯავს და რამდენს! ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია.

ტექსტის სიღრმეში ჩაკარგული კიდევ ერთი შენიშვნა ან, უფრო სწორად, გაფრთხილება ეხება შიდა კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. მწირი ინფორმაციიდან გამგები გაიგებს, რა ითქვა ბრიუსელში. ნატოს ხელმძღვანელობამ ჩვენი მინისტრები გააფრთხილა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ომის გზით მოგვარება, სრულიად მიუღებელია. ვერავინ აგვიკრძალავს, ჩვენ ხომ დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა ვართ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ უნდა ველოდოთ არც ნატოს მხარდაჭერას და არც ნატოში გაწევრიანებას.

ცოტა დისონანსი ხომ არ შეიტანა ამ შენიშვნებმა ჩვენს მთავრობაში? ჩვენ ხომ თავდაცვის მინისტრი გვყავს, რომელმაც ამ პოსტზე აფხაზეთის დაბრუნებამდე უნდა დაჰყოს და რომელიც ძირითადად დაკავებულია სამხედრო შესყიდვებით და არა სამხედრო დოქტრინის შემუშავებით. რას იზამ, ალბათ გარეშე ძალის იმედზე უნდა ვიყოთ, მაგალითად დეიდა ნატოს იმედზე, რომელიც ომობანას თამაშით გართულ ბიჭებს თითს დაუქნევს.

კაცმა რომ თქვას, ერთი მინისტრის იმედი მაინც მაქვს. ის ადრე ნატოში (ბრიუსელში) მუშაობდა ფრანგი დიპლომატის ხარისხში. აი მან კი იცის, რა არის დემოკრატიული ქვეყნის სამხედრო მშენებლობა. შემთხვევითია თუ არა, რომ სწორედ ამ მინისტრთან აქვთ ყველაზე მეტი პრობლემა ჩვენი პარლამენტის მესვეურებს?

ამის ზუსტი გარკვევა არ გაგვიჭირდება, თანაც, პროვინციალიზმის მართლაც რეკორდულ მოსავალს მოვიწევთ, თუ პარლამენტის კედლებში შევაბიჯებთ. 21 მაისს **გიორგი ასანიშვილმა** მოგვითხრო, რომ ჩვენს კანონმდებლებს "სუსტი რგოლი" გამოუვლენიათ: "**ეს არის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი გომიაშვილი**". მახსოვს, პირველად ეს ყმაწვილი "რუსთავი 2"-ის დილის ეთერში გამოჩნდა — პრესის მიმოხილვა ევალებოდა მაშინ. მაგრამ ისევ 21 მაისის სტატიას მივუბრუნდეთ: პარლამენტმა მისი შვეიცარიაში ელჩად დანიშვნის საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღო. თურმე უმრავლესობის წევრები ამგვარ განწყობას უხალისოდ განმარტავენ და თანაც დაახლოებით ამგვარ აბდაუბდას ამბობენ: "**პარლამენტის თავმჯდომარის სტრასბურგში ვიზიტს დაემთხვა ევროკავშირში საქართველოს ელჩის გამოწვევა**". არის კიდევ ერთი ახსნაც: "**თავის დროზე გიორგი გომიაშვილმა გამოსცა შიდასაუწყებო ცირკულარი, რომლის თანახმადაც უცხოეთში არსებულ საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებს დიპლომატიურ უწყებებთან შეთანხმების გარეშე პარლამენტისთვის ინფორმაციის მიწოდება აეკრძალათ**".

ოდნავ მოვითმინოთ და კვლავ ასანიშვილის ტექსტს მივმართოთ: თურმე ეს მხოლოდ საფარველია, ნამდვილი მიზეზი კი ის ყოფილა, რომ გიორგი გომიაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის, **სალომე ზურაბიშვილის** ფავორიტია. არ ვიცი, ვის რა წარმოუდგება თვალწინ ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ მე სულ სხვა რამ მიკვირს. რატომ ჰგონიათ ჩვენს კანონმდებლებს, რომ ის, რითაც თავიანთ "ნამდვილ" მოტივებს ფარავენ ამ მოტივებზე ნაკლებად სამარცხვინოა?

ახსნა პირველი: სტრასბურგიდან საქართველოს ელჩის გამოწვევა. ეს ელჩი **ლანა ღოღობერიძე** გახლავთ. სხვათა შორის, ჩემთვის და, როგორც ვფიქრობ, ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის სულაც არაა უეჭველი ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ღვაწლის დადებითი ან საერთოდ რაიმე მნიშვნელობა. ერთადერთი სიტყვა, რომელიც აზრად მომდის, რუსულია: засиделась! უკვე უხერხულიც კია. უფრო სერიოზულად კი ეს ყოველივე იმას მაფიქრებინებს, რომ, როგორც ეტყობა, ევროპაში საქართველოს მაინცდამაინც სერიოზულად არ უყურებენ, თუ ამგვარი pro forma ამდენ ხანს გრძელდება. ეს, თავისთავად, ცალკე თემაა, მაგრამ პარლამენტარებისა კი ნამდვილად მიკვირს: რა კავშირია ლანა ღოღობერიძის პრეტენზიულობასა და გიორგი გომიაშვილის პროფესიულ ღირსებებს შორის?

თქვენ ნუ მომიკვდებით და კლეოპატრას ცხვირის სიგრძე უფრო იყო დაკავშირებული რომის იმპერიის ბედ-იღბალთან!

ახსნა მეორე: გიორგი გომიაშვილს გამოუცია რაღაც შიდა საუწყებო ცირკულარი, რომელიც პარლამენტის უფლებებს ლახავს. რაო, თვითონ გომიაშვილი იყო ამ ცირკულარის ავტორი? იდეაც მას მოუვიდა თავში? ალბათ რამდენი დღე არწმუნებდა მთელ სამინისტროს, მაინცდამაინც ასე უნდა ვქნათო! ასეც რომ იყოს, განა ეს საკმარისი და შესაბამისი მიზეზია მისი კანდიდატურის დასაწუნებლად? სწორედ ესაა პროვინციალიზმის ერთ-ერთი უკიდურესი გამოხატულება, როცა შეფასებისას შესაფასებელი ობიექტის არსებით თვისებებს კი არ ენიჭება მნიშვნელობა, არამედ შემფასებლის კერძო ინტერესებსა და ობიექტის მისდამი დამოკიდებულებას.

არა, საქართველოს პარლამენტი რომ "დააჩმორეს", ეს ჯერ კიდევ 2004 წლის თებერვლიდან ვიცით. ჰოდა, იქნებ თვით ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეზე** ივარჯიშოს პარლამენტის ნაწყენმა უმრავლესობამ — ივარჯიშოს, რადგან პასუხის მოთხოვნის მომენტი უკვე კარგა ხანია დაკარგულია. "დიდსა ვერ მოკლვენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა" — გიორგი გომიაშვილი აქ მხოლოდ უმცროსი მეისრეა. ამ ვითარების მთავარი შემოქმედი კი იღიმება და ფართო საზოგადოებას ციხიდან გათავისუფლებულ **კოზაევს** წარუდგენს.

ვინა თქვა, რომ სასწაულები არ ხდება?!

სალომე ზურაბიშვილიც მხოლოდ მეისრეა, თუმცა კი უფროსი. ოღონდ ისიც მსხვერპლია ჩვენს საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციისა, რომელსაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, ერთი მოკლე სიტყვა შეეფერება — "ბარდაკი". ამბობენ, ანტიკური ხანის ერთი ტირანი სახელმწიფო მართვის მთელ სიბრძნეს ასეთ მეტაფორაში ხედავდა: წარმოიდგინეთ მიწათმოქმედი, რომელიც აბიბინებულ პურის ყანაში დადის და ყველაზე მაღალ თავთავებს ნამგლით ჭრის. ჩვენი "მიზრეთით მოფრანგე" მინისტრიც ასეთი მაღალი თავთავია: ალბათ იმას უწუნებენ, რომ ბანტიან გიტარაზე დაკვრა არ უყვარს და ქუჩური გარჩევების ენაზე ლაპარაკიც უჭირს...

პროვინციალიზმი პროვინციაში, ესე იგი, საქმის არსისგან შორს მყოფებს სჭირთ. პროვინციალიზმი მუდმივი კმაყოფილებაა და საკუთარი წარმატებებით ტკბობა. აი, მაგალითად, სერიოზული გამოცდა, რომელიც ამ გაუთავებელ კმაყოფილებას თბილისის მერმა მოუწყო. კარგა ხანია სამამულო მედია ჩვენს მოსახლეობას რაღაც ბებიური ჭორებით კვებავს: გადადგება, მალე გადააყენებენ და ა. შ. **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** კი შაქრის წყალ-წყალა ხსნარზე მოფრენილ ბუზებს ქარვასავით თაფლი შესთავაზა: გადადგომის "სკანდალური" (რა სიტყვაა!) განცხადება კი არა, კონკრეტული მასალები **ზოდელავასა** და **შერაძის** ნამოქმედარზე. ჩააბარებს კი ჩვენი რევოლუციური ხელისუფლება ამ გამოცდას? თუ ისევ კირკიტაძის გმირობებსა და პატრულის ყოჩაღობაზე იგავ-არაკებით შემოიფარგლება? ამ ჭახანსაც მალე გავიგონებთ, თუმცა კი ჯერ არ ვიცი, კაკალი გატყდება, თუ კბილი.

მაგრამ პროვინციალიზმი განა მარტო მაღალ სართულებზეა! აი, თუ გნებავთ, 19 მაისს გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული პატარა მასალა: **ირმა კახურაშვილი**, *ნაძალადეველი ბავშვები წიგნების ფასმა დააფრთხო*. სტატიის შინაარსი შემდეგია: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ მე-11 საშუალო სკოლაში მოაწყო წიგნის ტრადიციული ორდღიური (ავტორი რატომღაც "ორდღეურს" წერს — ალბათ სხვა რაღაც ერითმება თავში), რომელიც თურმე წარუმატებლად დამთავრდა, რადგან სულ რაღაც ათიოდე წიგნი გაიყიდა, ბავშვებმა კი ცოდნის წყურვილი ვერ დაიკმაყოფილეს, რადგან ფასები მეტად მაღალი აღმოჩნდა.

საკვირველია, რატომ გავიდა ნომერში ასე ცუდად დაწერილი სტატია. ავტორმა ვერ გაარკვია, რომ ორ დღეში ათი წიგნის გაყიდვა სულაც არაა ცოტა (მე კი ის გავარკვიე, რომ ოცი გაყიდულა). ვერც ის გაიგო, რომ აქ გაყიდვა კი არა, აქცია იყო. ერთი სიტყვით, ეწყინა, რომ არაფერი აჩუქეს. მაგრამ განა მხოლოდ ესაა პროვინციალიზმი? — ბოლოს და ბოლოს ეს მისი პირადი პრობლემაა. უბედურება სხვაგანაა: რატომ სურს, ჩვენი შვილები მათხოვრებად გაიზარდონ? განა კარგი ნივთების სიძვირე ადამიანისთვის შემოქმედებითი სტიმული არაა? როდემდე უნდა ვიცხოვროთ წუმპეში და გვწყინდეს, რომ ცოტა გვაჩუქეს, ან არაფერი გვაჩუქეს. სანამდე უნდა ვიცოცხლოთ იმედით, რომ მოვა დრო და კიდევ რამეს გვაჩუქებენ!

ჰოდა, გამოდიან წერა-კითხვის უცოდინარი იდეოლოგები რექტორის გადადგომის მოთხოვნებით, შიმშილობენ გაზულუქებული ბავშვები იმიტომ, რომ პირდაპირ ჯიბეში არ უდებენ დიპლომებს, უფრო მაღლა მჯდომ ბიძიებს კი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანების ბოდვითი იდეები მოსდით თავში: თავკომბალებს დიდი წუმპე სჭირდებათ, რომ თავი კომფორტულად იგრძნონ... ჩვენი განებივრებული ბავშვები ამას აინუნში არ აგდებენ — რუსეთის საელჩოს წინ ბუტაფორიულ ტანკებს ამტვრევენ — ამის გამო არავინ გაჯავრდება.

ვიღაცამ თქვა, რომ სიმდიდრე ყველაფრის ყიდვა კი არა, იმის შეგრძნებაა, რომ ყიდვა შეგიძლია. მე დავამატებდი, რომ მონობა სიღარიბე არაა — მონობა სიძვირის შიშია.

ბოლოს კი პროვინციალიზმის ერთი უფრო მაღალი მაგალითი უნდა შემოგთავაზოთ, მით უმეტეს, რომ, ლიტურგიული კალენდრის მიხედვით, ამაღლების დღესასწაული ჯერაც წინ გვიდევს, მე კი **ჯორჯ ბუშის** ვიზიტს გადავყევი და დროზე ვერ მოგაწოდეთ სააღდგომო სიცილი — risus paschalis.

1847 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იერუსალიმში მისია დააარსა და მის სათავეში ეპისკოპოსი **პორფირი უსპენსკი** (1804 - 1885) ჩადგა. თავის მემუარებში მეუფემ დაწერა, როგორ ანთებენ ბერძენი მღვდლები სააღდგომო ცეცხლს ქრისტეს აღდგომის ხატის ქვეშ მარმარილოს მოძრავი კედლის მიღმა დამალული ლამპრით (Порфирий Успенский. Книга бытия моего. СПб, 1896. Т. 3. С. 299). 1914 წელს აღმოსავლეთმცოდნე **ი. კრაჩკოვსკიმ** შეაგროვა არაბული (ქრისტიანული) ცნობები სააღდგომო ცეცხლის ხელოვნურობის შესახებ. მართლმადიდებლური ლიტურგიის უდიდესმა მცოდნემ, **ა. დმიტრიევსკიმ** (1856-1929) კი აღწერა 1122 წლის ტიპიკონი, რომელშიც მოცემულია ლამპართა მომზადების წესი, საიდანაც შემდეგ სააღდგომო ცეცხლის ანთების ტრადიცია წამოვიდა. 1949 წელს, მისმა მოწაფემ, **ნ. უსპენსკიმ** (1900-1987) აღადგინა და აღწერა "ცეცხლოვანი მითის" წარმოშობის ისტორია, ანუ როგორ იქცა კერძო ლიტურგიული წესი ჯერ საიდუმლო ქმედებად, მერე კი რეგულარულ "სასწაულად", უფრო სწორად კი სათნო სიცრუედ. ეს სიცრუე რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1970 წლებიდან აიტაცა. ჩვენშიც იქიდან შემოვიდა.

რა თქმა უნდა, იერუსალიმის ტაძარში ანთებული ცეცხლი მორწმუნეთათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. მაგრამ როცა იერუსალიმის ეკლესია მის "ღვთაებრივ წარმომავლობას" აცხადებს და ლამის სამრეწველო მასშტაბებით ავრცელებს სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, როცა რუსეთის კულტურის მინისტრი ქადაგებს, რომ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ნაპერწკალი ხელს შეუწყობს "საზოგადოების ზნეობრივ აღორძინებას", როცა ჩვენს ირგვლივაც წამდაუწუმ ისმის მტკიცება ცეცხლის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ — ეს უკვე მხოლოდ ღრმა რელიგიური პროვინციალიზმი არაა, ეს უკვე ძალიან ჰგავს ღვთის გმობას.

მე 1987 წელს მოვინათლე 27 წლის ასაკში. მაშინ შეგნებულად წარმოვთქვი "მწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისამპყრობელი..." და არ მინდა ვინმემ მიმტკიცოს, თითქოს საქმე ეხება ფეიერვერკების ოსტატს, რომელიც წელიწადში ერთხელ ერთ განსაზღვრულ ადგილას ვიღაც-ვიღაცეების დაკვეთით ასრულებს თავის საქმეს. მე სხვა დარდი მაწუხებს: მიუხედავად ჩვენი საპატრიარქოს მიერ ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად შეგროვილი არცთუ სახუმარო სახსრებისა, რატომ არა ჩანს ქალაქში შესაბამისი შინაარსის ბილბორდები? ან რომელი ფულის წყალობით მოიფინა თბილისი თალხ და სევდიან ფონზე გამოყვანილი მოწოდებებით: "მოილოცეთ ჩვენთან ერთად!".

ჩვენი უვიცობის, სიღარიბისა და, რაც მთავარია, პროვინციალიზმის მიზეზად წიგნის სიძვირეს ნუ დავსახავთ. მიზეზი სხვაა: ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად **ვახტანგ მეექვსის** ნათლულის მამიდის შვილთაშვილიც რომ დაინიშნოს, მაინც არ ჩავიხედავთ წიგნში.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

# "ოქრომრავალი კოლხეთის" ახალი სიცოცხლე

ანა კლდიაშვილი

ჩვენს საზოგადოებას ერთი სენი სჭირს - უყვარს წუწუნი, რომ ყველაფერი ცუდადაა; თუ რამ კარგი გაკეთდა, იქაც წვრილმან ხარვეზებს ვეძებთ და მხოლოდ მათზე ვამახვილებთ ყურადღებას; მაგრამ თუ ისეთი რამ გაკეთდა, რასაც ხარვეზიც არ მოეძებნება, იქ დუმილს ვამჯობინებთ. საგაზეთო სტატიების წერა ჩემი ჰობი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ ამჯერად არ შემეძლო, არ გამოვხმაურებოდი ეროვნულ მუზეუმში მოწყობილ გამოფენას - "ოქრომრავალი კოლხეთი" მითი და რეალობა", რომელიც ვანში 2003-2004 წლებში აღმოჩენილ მასალას წარმოგვიდგენს. მართალია, გამოფენა თითქმის ორი თვეა მიმდინარეობს, მაგრამ ეს ექსპოზიცია და მისი სრულიად ახლებური კონცეფცია სერიოზული განსჯის საგნად არ ქცეულა და ჯეროვნად არ შეფასებულა. არადა, ეს გამოფენა ნამდვილად იმსახურებს ამას.



ვანის არქეოლოგიური მასალა თავისთავად უნიკალურია; სრულიად ბუნებრივია, რომ ახლად დაარსებულმა ეროვნულმა მუზეუმმა პირველი განაცხადი სწორედ ამ მასალით გააკეთა და პრაქტიკულად ძველი კოლხეთის საგანძური თავის სავიზიტო ბარათად აქცია. ეს გახლდათ მართებული ტაქტიკური ნაბიჯი. ზუსტად შეირჩა ყველაზე მომგებიანი და ეფექტური მასალაც - უნიკალური კოლხური ოქროს სამკაული (თუმცა, უკანასკნელი ორი წლის განათხარ მასალაში სხვა ნივთებიც მრავლად იყო).

ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც რა სიახლე შეიძლება შეიტანო საიუველირო ნივთების გამოფენაში? ეფექტურად და ლამაზად განალაგე ექსპონატები ვიტრინებში და საქმეც გაკეთებულია. მაგრამ ექსპოზიციის ავტორებმა სხვა გზა აირჩიეს. გამოფენის კონცეფცია ასეთია - მუზეუმში მოსული მნახველი უბრალოდ კი არ უნდა ათვალიერებდეს უნიკალურ სამკაულებს, არამედ იმ სამყაროში უნდა ხვდებოდეს, რომლის ორგანულ ნაწილსაც ეს ნივთები წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად გამოფენის ავტორებმა საზოგადობას შესთავაზეს ერთგვარი დრამატურგიული ქარგა, კარგად გააზრებული და მნახველზე ორიენტირებული დრამატურგიული ჩანაფიქრი - მნახველი ნელნელა შედის ძველი კოლხეთის შორეულ სამყაროში. ოქროს სამკაულები, რომლებიც ეროვნული მუზეუმის საგანძურის ერთ-ერთ დარბაზშია გამოფენილი, ამ ერთიანი სამყაროს მხოლოდ ერთი, ცხადია, ყველაზე არსებითი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სანამ მნახველი მათ "მიაღწევდეს", მუზეუმში შესვლისთანავე იწყება მისი "შემზადება". გამოფენის ავტორები მუზეუმის ჰოლში მნახველს არგონავტების მითს შეახსენებენ - დიდ კედელზე გადის ანიმაციური ვიდეორგოლი, რომელიც ლეგენდარული "არგოს" საბერძნეთიდან კოლხეთამდე მოგზაურობის მარშრუტს წარმოგვიდგენს. პირველი ნაბიჯი ძველი სამყაროსკენ უკვე გადადგმულია. ოდნავ ქვემოთ, საგამოფენო დარბაზში შესვლამდე, მეორე "გაჩერებაა". აქ კედელზე ახლად გახსნილი სამარხის უზარმაზარი ფოტოებია გამოფენილი. ჩვენს თვალწინაა დოკუმენტური მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ცხადლივ დავინახოთ, თუ როგორ და რა ვითარებაში იყო აღმოჩენილი ეს უნიკალური ნივთები. ანუ მნახველი ხედავს იმას, რასაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ აღმომჩენნი, არქეოლოგები ხედავენ ხოლმე. ეს ფოტომასალა ძალზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელიც კია.

გავიხსენეთ მითი, ვნახეთ უშუალოდ გათხრების ფოტოები და აი, ექსპოზიციის კულმინაციაც - დარბაზი, რომელშიც ოქროს სამკაულებია გამოფენილი. პირველი შთაბეჭდილება მეტად უჩვეულოა. დარბაზი წყვდიადშია ჩაძირული, მხოლოდ ვიტრინებში ბჟუტავს თბილი, ოქროსფერი სინათლე. ადამიანები, დამთვალიერებლები თითქოს რეალობას კარგავენ და ლანდებად აღიქმებიან; სამაგიეროდ აქ უსულო საგნები - სამკაულები - იძენენ რეალობასა და სიცოცხლეს. მახსენდება, ერთ-ერთ დამთვალიერებელს როგორ ჰკითხა თანმხლებმა ბავშვმა - ეს ჯადოსნური დარბაზიაო? ეს განცდა ამ დარბაზში შესვლისთანავე მართლაც ეუფლება ადამიანს.

თავად დარბაზში ნივთების განლაგების თანმიმდევრობაც კარგადაა გააზრებული და ერთგვარ დრამატურგიულ ჩანაფიქრს ემორჩილება - ექსპოზიციაში ერთგვარი "კრეშჩენდოები" და "დიმინუენდოები" მოქმედებს; ამავე დროს მას საკუთარი კულმინაციაც აქვს - ესაა ქალის უნიკალური ოქროს ჭვირული თავსამკაული, რომელიც ცენტრალურ ვიტრინაშია განთავსებული. ვინაიდან ეს თავსამკაული ორმხრივია, მოცულობითია, გამოფენის ავტორებს იგი უხილავ მბრუნავ ღერძზე დაუმაგრებიათ, რათა მნახველმა ყოველი მხრიდან იხილოს და სრულად დაიკმაყოფილოს ცნობისწადილი. ასევე გათვალისწინებულია მნახველის ინტერესი მართლაც უნიკალური, ძალზე პატარა ზომის ნივთების შემთხვევაში; მათ წინ გამადიდებელი მინებია დაყენებული. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ექსპოზიციის არც ერთი უმნიშვნელო დეტალი არ დარჩენილა ავტორთა ყურადღების მიღმა და მათ ყოველივე მნახველის ინტერესიდან გამომდინარე სრულად აქვთ გააზრებული. თითქოსდა, რა არის ყოველივე ამაში უჩვეულო, ეს ხომ ყოველი გამოფენის მიზანი უნდა იყოს? მაგრამ ვინაიდან ჩვენი მნახველი არაა მიჩვეული ამ "ფუფუნებას", მასზე ამგვარ საგანგებო ზრუნვას, ალბათ, ამიტომაც ჩემდაუნებურად ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას.

შემთხვევითი არც ისაა, რომ გამოფენის ბუკლეტში მითითებულია ჩვენი სამუზეუმო ექსპოზიციებისთვის მეტად უჩვეულო რამ - "სცენოგრაფია: გურამ მელივა". მაგრამ ვინც გამოფენა უკვე ნახა, დამერწმუნება, რომ ეს მითითება არც ზედმეტია და არც ფორმალური. მართლაც, თითოეულ ვიტრინაში სამ-სამი დამოუკიდებელი "სცენაა" შექმნილი. ესაა მუქი ძვირფასი ქსოვილით დრაპირებული, სიღრმეში შემავალი მცირე ზომის "ბაქნები", რომელზეც თითო ან ორი ნივთი, როგორც "მსახიობი" სცენაზე, ისე წარდგება მნახველის წინაშე; მათზე კონცენტრირებული ოქროსფერი, თბილი სინათლის ჭავლი კი თეატრის სოფიტების შუქს მოგვაგონებს. ამგვარი ანტურაჟი, თავად სამკაულების ზომათა სიმცირე, უდახვეწილესი ცვარას ტექნიკის უკეთ აღქმის სურვილი და დარბაზში გამეფებული წყვდიადი მნახველს ვიტრინასთან ძალზე ახლოს მისვლას აიძულებს. ადამიანს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს მხოლოდ მისთვის საგანგებოდ თამაშდება მცირე მიზანსცენა სამკაულების მონაწილეობით ანუ აღქმის პროცესი უკიდურესად პიროვნულია. ეს ხერხი სრულიად გამართლებულია, რადგან თუ ქალაქში მდგარი ქანდაკება ყველას "საკუთრებაა" და მას მრავალმა ადამიანმა შეიძლება ერთდროულად უყუროს, სამკაული ინტიმური ნივთია და მის უკეთ აღქმას სწორედ ასეთი, თითქმის ხელის შეხებამდე ახლო ურთიერთობა სჭირდება. ეს ფაქტორიც შესანიშნავად აქვს გააზრებული გამოფენის სცენოგრაფს ბ-ნ გურამ მელივას. აშკარად ჩანს, რომ იგი ბრწყინვალედ გრძნობს თითოეული ნივთის სპეციფიკას, მის ფორმას, ხასიათს, მასალასა და ინდივიდუალობას; კარგად იცის, რა შემთხვევაში რას უნდა გაესვას ხაზი და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ერთი სიტყვით, ამ ექსპოზიციას დახვეწილი გემოვნების მქონე პროფესიონალის ხელი ნამდვილად ატყვია.

გამოფენის შესახებ კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მის ავკარგიანობაზე თავად დამთვალირებელთა უწყვეტი ნაკადი მეტყველებს. პირადად მე ამდენი ხალხი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მუზეუმში არ მინახავს. ყოველ შაბათ-კვირას საგანძური მნახველს ვერ იტევს. ეს ნიშანია იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება გახსნილია სიახლეებისადმი, ინტერესი დიდია და თუ მუზეუმები მას საინტერესო ექსპოზიციებს შესთავაზებენ, თავადვე წაადგებათ, მნახველიც ბევრი ეყოლებათ და შემოსავალიც გაუჩნდებათ. სულ ცოტა ხნის წინათ ხომ სამუზეუმო ცხოვრება საქართველოში პრაქტიკულად ჩამკვდარი იყო. ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის საგანძურები პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა, მუზეუმს წლობით არ ჰქონდა შუქი, დაკეტილი იყო ოქროს ფონდები, საცავებში შეღწევა მეცნიერთათვისაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. დაცარიელებული, უკაცრიელი საგამოფენო დარბაზები მართლაც დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცალკეული გამოფენა და ინიციატივა კი სპონტანურ ხასიათს ატარებდა და ინერციით, ძველი, საბჭოური მიდგომით, ერთგვარი "სერიულობით" ხასიათდებოდა. არადა, ჩვენს მუზეუმებში დაცული მასალა მართლაც უნიკალური, ძალზე საინტერესო პერიოდული გამოფენების მოწყობის საშუალებას იძლევა. კოლხური სამკაულის ეს გამოფენა, რომელიც "ოქრომრავალი კოლხეთის" შორეულ და იდუმალ სამყაროს, ჩვენი წარსულის ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს გადაგვიშლის თვალწინ, ახალ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს სამუზეუმო პრაქტიკაში; ეს ყოველივე იმედს გვაძლევს, რომ სამუზეუმო ცხოვრება გამოცოცხლებას იწყებს და ახალ, თანამედროვე რელსებზე გადადის.

# "პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს"

## გოლი თარაყი ირანელი მწერალი ქალების, ლიტერატურისა და ჯორჯ ბუშის შესახებ

ვერა ნეფარიძე

*შაბათს "კავკასიურ სახლში" გოლი თარაყთან შეხვედრას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. იმის გარდა, რომ თავისთავად საინტერესო მოვლენაა საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი მწერლის მოწვევა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩვენთვის მეორე დეტალია; კერძოდ, ის, რომ ქვეყანაში ლიტერატურული პროცესები სწორად წარიმართოს. სწორად წარმართვაში აქტუალობას ვგულისხმობ. ამ მხრივ, გოლი თარაყის საქართველოში სტუმრობა ნამდვილად გამართლებულია. ჯაჭვი ამგვარად შეიკრა: ჯერ ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოჩნდა ირანელი მწერალი ქალბატონის ნაწარმოებების თარგმანები, შემდეგ გამოიცა წიგნი (გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ), რასაც მოჰყვა თავად მწერლის მოწვევა. შედეგად მივიღეთ საკმაოდ საინტერესო შეხვედრა მწერალთან; რაც შეეხება აქტუალობას - ეს "კავკასიურ სახლში" გამართულ საღამოზე დამსწრეთა რაოდენობამ და მოხსენების დასასრულს დისკუსიის ხანგრძლივობამ დაადასტურა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, "ჰაინრიჰ ბიოლისა" და "დიოგენეს" ინიციატივა სამაგალითოა.*



*გოლით თარაყი ესაუბრება მთარგმნელს გიორგი ლობჟანიძეს*

გოლი თარაყი ლიტერატურულ სარბიელზე XX საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა. მწერალს გამოქვეყნებული აქვს ხუთი კრებული: "მეც ჩე გევარა ვარ" (1969), "ზამთრის ძილქუში" (1973), "გაბნეული მოგონებები" (1994), "სადმე სხვაგან" (2001), "ორი სამყარო" (2003). გამომცემლობა "დიოგენემ" გამოსცა თარაყის მოთხრობათა კრებული "სახლი ზეცაში" (მოთხრობები სპარსულიდან თარგმნეს მზია ბურჯანაძემ და თეა შურღაიამ), რომელშიც ცხრა მოთხრობასთან ერთად შესულია ინტერვიუ ავტორთან.

70-იანი წლებიდან პარიზში გადასახლებული ირანელი მწერალი ქალბატონი საქართველოში რამდენიმე თვის წინათ უნდა მოეწვიათ; დაახლოებით იმ დროს, როდესაც მისი მოთხრობების კრებული "სახლი ზეცაში" გამოიცა, მაგრამ მიზეზთა გამო მწერალმა თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ ამ დროისთვის შეძლო. თუმცა, უნებურად, მისი ვიზიტი დაემთხვა ლიტერატურულ კონკურს "საბას" დაჯილდოების ცერემონიალს (პრემიაზე "დიოგენეს" ეს კრებული საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში იყო წარდგენილი). გოლი თარაყიც საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ლიტერატურულ დღეს შეესწრო.

"ეს ჩემი პირველი მოგზაურობაა საქართველოში. როდესაც გავიგე, რომ აქ უნდა ჩამოვსულიყავი, ძალიან გამიხარდა, რადგან ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ საქართველო საუკეთესო ქვეყანაა. ჩვენს ლიტერატურაში საქართველოზე ბევრია თქმული; ცნობილია ქართველი ქალების სილამაზე; ყველა წარმოდგენა და ინფორმაცია, რაც მე მქონდა საქართველოს შესახებ, იმის საფუძველი იყო, რომ, მითხრეს თუ არა, სასწრაფოდ დავთანხმდი ჩამოსვლაზე", - გვითხრა მწერალმა და საუბარი ჩვენი ინტერესის შესაბამის თემაზე განაგრძო: "სრულიად აპოლიტიკური მწერალი ვარ. არასდროს ვწერ პოლიტიკაზე, რადგან ის წარმავალია. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ბუშის, ერაყის ომის, ისრაელისა და პალესტინის მიმართ ამერიკის პოლიტიკისა და ბუშის შეხედულებების სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ბუშმაც და ტონი ბლერმაც ერაყში ატომური იარაღის არსებობის შესახებ ტყუილი თქვეს. მართალია, პოლიტიკოსები წარმართავენ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ოდესმე წარმმართველი პოლიტიკა იქნება პოზიტიური და სწორი. ისე, მართალია: პოლიტიკა სიცრუეზეა აგებული", - ეს ყველაფერი გოლი თარაყმა "კავკასიურ სახლში" გამართული მოხსენების დასასრულს პირადი საუბრისას გვითხრა, რადგან თავის მოხსენებაში მწერალი პოლიტიკას არ შეხებია. მისი საუბრის თემა ირანელი მწერალი ქალები და, ზოგადად, მწერლობისადმი საკუთარი დამოკიდებულებები იყო.

გოლი თარაყიმ თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ გათვალისწინებული თემის ("ქალი ლიტერატურაში") საზღვრებით არ შეიზღუდებოდა, რადგან: "მოხსენებისთვის წინასწარ არასდროს ვგეგმავ თემას, რადგან მე ვარ მთხრობელი. როდესაც წინასწარ გაქვს თემა მოცემული, ეს გზღუდავს და იძულებული ხარ, ინფორმაციებით შემოიფარგლო. ნება მიბოძეთ, დღეს ვისაუბრო ლიტერატურაზე და იმაზე, თუ რას ნიშნავს ჩემთვის მწერლობა".

გოლი თარაყის თხრობის ძირითადი ხაზი რევოლუციის შემდგომი ირანის მწერლობა და ირანულ ლიტერატურაში ქალ და მამაკაც ავტორებს შორის არსებული განსხვავება იყო. "...ჩემთვის შემოქმედების რომელიღაც ეტაპზე, სქესის - ქალისა და კაცის, დასავლელისა და აღმოსავლელის საკითხი საერთოდ აღარ დგას. ჭეშმარიტ შემოქმედებაში არ არსებობს ამგვარი დაყოფა, ნამდვილი ხელოვნება ამგვარ ცნებებზე მაღლა დგას... მე არ ვიცი, ეს შურისძიებაა თუ თავისუფლებისთვის ბრძოლა. ჩემი აზრით, მწერლობაში ირანელი ქალი გამოხატავს იმას, რაც რეალურად არ ძალუძს; ქმნის პერსონაჟებს: ძლიერ ქალს, სუსტ მამაკაცს; ირანელი ქალის მწერლობა გულწრფელია და უბრალო; მამაკაცები კი ცდილობენ, წერონ რაღაც დიადსა და მნიშვნელოვანზე. ისინი შენიღბულნი არიან. ის არ არის ინდივიდი, პიროვნება; ის პატარა კაცია, ეშინია და მალავს საკუთარ თავს", - გოლი თარაყიმ ბევრი ისაუბრა ირანელ მწერალ ქალებზე, რომელთა რაოდენობა, მართალია, რევოლუციის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ლიტერატურის ხარისხი დიდად არ ამაღლებულა. თარაყის აზრით, ამ ქალებს მეტი სითამამე ჰმართებთ. იქვე, ოფიციალურთან ერთად, თვითცენზურაც ახსენა, მოგვითხრო, რომ თვით ირანელი მწერალი ქალებისგანაც უპასუხოდ დარჩა შეკითხვა: დაწერდნენ თუ არა ისინი ეროტიკაზე, მათ ქვეყანაში ოფიციალური ცენზურა რომ არ არსებობდეს?..

საუბარი მხოლოდ ირანულ ლიტერატურას არ შეხებია. მოხსენების დასასრულს დისკუსიისას წამოჭრილ საკითხებს შორის აღმოჩნდა ლიტერატურის კომერციალიზაციაც, რაზეც სტუმარმა მოკლედ გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრება: "მდგომარეობა ერთნაირია საქართველოში, შეერთებულ შტატებში, ირანსა და საფრანგეთშიც. გამოიცემიან ავტორები, რომლებიც კარგად იყიდება. სწორედ ამიტომ კვდება ნამდვილი ლიტერატურა". ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საბედნიეროდ, ხანდახან მაინც, კომერციული ინტერესები კარგ ლიტერატურასაც უკავშირდება. მათ კი, ვინც გოლი თარაყის საინტერესო და სასიამოვნო საუბარი ვერ მოისმინა "კავკასიურ სახლში", ვაცნობებთ, რომ ორშაბათს მწერალი სტუდენტებს შეხვდება, საღამოს კი ეროვნულ ბიბლიოთეკაში საკუთარი მოთხრობების ქართული თარგმანის პრეზენტაციას დაესწრება.

# ცოცხალი პოეტებისა და მწერლების საზოგადოება

ლიტერატურული პრემია "საბა" რვა ნომინაციაში განაწილდა


ნუგზარ შატაიძე


ანდრო ბუაჩიძე


ირაკლი სამსონაძე


აკა მორჩილაძე

ია ვეკუა

წლევანდელი 23 აპრილი თბილისში თითქმის ჩვეულებრივ კალენდარულ დღესავით დასრულდა. მხოლოდ თითოოროლა უმნიშვნელო აქცია, პრეზენტაცია და ღონისძიება გაიმართა. უკმარისობა ერთმნიშვნელოვნად შესამჩნევი იყო - წიგნის საერთაშორისო დღემ საქართველოში ლიტერატურულ პრემია "საბას" გარეშე ჩაიარა. თუმცა, ერთი თვის შემდეგ სამი წლის "საბას" ზეიმი მაინც მოუწყვეს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ "დაბადების დღეების სადღესასწაულო ცენტრმა" მთიდან ბარში გადმოინაცვლა ანუ დაჯილდოების ცერემონიალი "TBC ბანკის" ახალი ცენტრალური ოფისის შიდა ეზოში გაიმართა.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია საბა სამი წლის წინ "TBC ბანკის", გაზეთ "24 საათისა" და "ქართული პენ კლუბის" ინიციატივით დაარსდა. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოში არ არსებობდა სტაბილური პრემია, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გამოავლენდა, შეაფასებდა და დააჯილდოებდა. დამფუძნებელთა სურვილს კონკრეტული იდეა მოჰყვა, იდეას - ორგანიზება და, რაც მთავარია, პრემიას სახელი უწოდეს - საბას ნათლიამ ასეთი სახელის დანათვლა, მწერლობასთან კავშირის გარდა, იმითაც ახსნა, რომ უცხოელებისთვის ადვილად გამოსათქმელი სიტყვაა. მართალია, "საბა" ჯერ ვერ გახდა საერთაშორისო (შესაბამისად, არც უცხოელებს უწევთ მისი წარმოთქმა), მაგრამ ყველაზე სტაბილური და მიუკერძოებელი პრემიის რეპუტაცია აშკარად დაიმკვიდრა.

ეს უკანასკნელი ფაქტორი "საბას", ტრადიციისამებრ, წელსაც ახლდა. ტრადიციული იყო თბილისის მუნიციპალური ორკესტრის საზეიმო მარშები, გამარჯვებულთა დაჯილდოებისთვის განკუთვნილი აივანი და წითელი ხალიჩა. უჩვეულო (და ძალიან კარგი!) კი ის იყო, რომ ცერემონიალი მშვიდ, თითქმის სალონურ ვითარებაში მიმდინარეობდა და სტუმრებს არც მთაწმინდის მუდმივმოქმედი ქარი აგრილებდა და არც ფუნიკულიორის გაქუცული ლანდშაფტის საცოდაობით იწვოდნენ.

საზეიმო ცრემონიალს საზეიმო მიზეზიც ჰქონდა - კომპეტენტურობითა და პატიოსნებით ცნობილ ჟიურის წლის საუკეთესო პროზაული და პოეტური კრებული, რომანი, თარგმანი, პიესა, დებიუტანტი და ლიტერატურული კრიტიკოსი უნდა გამოევლინა. ეს კი საკმაოდ ძნელია ქვეყანაში, სადაც ყველა პოეტი და მწერალია, ხოლო თუ მათ ეროვნებასაც გავითვალისწინებთ, ყველა ორჯერ პოეტი და მწერალი გამოდის (ოდნავ დამაბნეველი, თუმცა, ზუსტი ფრაზაა).

მაგრამ "საბას" ორგანიზატორები ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებენ და ჟიურისაც კომპეტენტურობის გარდა, გამძლეობის ნიშნით არჩევენ. წელს უმაღლესი ლიტერატურული არბიტრაჟის შემადგენლობაში მოხვდნენ მაკა ჯოხაძე, ვაჟა გიგაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ზაზა აბზიანიძე, მერაბ ღაღანიძე, გაგა ნახუცრიშვილი და მალხაზ ხარბედია. როგორც მაკა ჯოხაძემ ცერემონიალის გახსნისას აღნიშნა, პრემია მნიშვნელოვანია იმ ნიშნითაც, რომ იგი ქვეყნისთვის მძიმე წლებში დაარსდა. რაც შეეხება მუშაობის პირობებს, ამ მხრივ, სასაყვედურო არაფერი აქვთ: "ჟიურის ყველა წევრი თავისუფლად ვაკეთებდით არჩევანს. განსაკუთრებით ის გარემოება მახარებდა, რომ ჩვენი აზრი ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს და ზოგიერთ ნომინაციაში გამარჯვებული 6-7 ხმასაც იღებდა. ეს კი ჟიურის ერთსულოვნებაზე მეტყველებს".

ჟიურის ერთსულოვნების ერთ-ერთი შედეგი პირველსავე ნომინაციაზე გამჟღავნდა, როდესაც საუკეთესო დებიუტანტად გელა ჩქვანავა დაასახელეს მოთხრობების კრებულ "კოლორიტებისთვის". ვინც სისტემატურად ადევნებს თვალს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებს და "პენ მარათონის" შესახებაც სმენია, გელა ჩქვანავას სახელი უთუოდ ემახსოვრება. სწორედ მან, ყველასთვის უცნობმა ავტორმა მოიპოვა გამარჯვება პირველ სამწერლო რბოლაში და ყველას დაუმტკიცა, რომ მთავარია "ნიჭი, ძამიკო, ნიჭი" და არა ხმაურიანი სახელი. გელა ჩქვანავამ "საბას" წლევანდელ ცერემონიალზე ყველაზე მოკლე და სანტიმენტალური სიტყვით დაგვამახსოვრა თავი: "მიხარია, რომ ერთი "საბა" სოხუმშიც ჩავა!"

**გელა ჩქვანავა:** "ამ ნაწარმოებებს სწორედ ამ განწყობით ვწერდი. თითოეული მოთხრობა სოხუმსა და ჩემს თანამოქალაქეებს მივუძღვენი. მინდოდა, ყოველი სიტყვა, პირველ რიგში, მათთვის ყოფილიყო მისაღები. აღმოჩნდა, რომ ჟიურისაც მოეწონა. ამ მხრივ, აშკარად გამიმართლა. როგორც ჩანს, ნიჭის გარდა მწერალს იღბალიც სჭირდება".

იღბალთან დაკავშირებით ნუგზარ შატაიძეც საუბრობს, რომელმაც წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში გაიმარჯვა: "ნიჭზე მეტად გამართლება უფრო საჭიროა. "ნოემბრის წვიმაში" გაერთიანებულ მოთხრობებს წლების განმავლობაში ვწერდი, თუმცა, მხოლოდ წელს მოვახერხე მათი ერთ წიგნად გამოცემა (ესეც იღბალია). ამ რჩეულში ჩემი შემოქმედების საუკეთესო პერიოდში შექმნილი მოთხრობები შევიდა. ეს ერთგვარი შემაჯამებელი გამოცემაა, რომელმაც გაამართლა. ასეთი წარმატების მისაღწევად ეს მოთხრობები, ალბათ, აუცილებლად ერთ წიგნად უნდა შეკრულიყო".

შეგახსენებთ, რომ წელს ნუგზარ შატაიძე პირველად იყო წარდგენილი "საბაზე", თუმცა, "პენ მარათონის" ნებიერად ითვლება - ბოლო ორი წელია სტაბილურად იკავებს მეორე ადგილს.

წელს პირველად მოხდა, რომ "საბას" ლიტერატურული კრიტიკოსის ნომინაციაში არა კრიტიკული წერილების, არამედ ამ ჟანრის წიგნების ავტორები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამან ყველა სერიოზული კრიტიკის დაბრუნებაზე აალაპარაკა. ამჯერად კრიტიკოს ზაზა შათირიშვილს გაუმართლა, რომელმაც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ხანგრძლივი წიაღსვლების შედეგად "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" შექმნა. შათირიშვილს გალაქტიონთან შეჭიდება აშკარად დაუფასდა - "საბაზე" პირველივე წარდგენა მისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

**ზაზა შათირიშვილი:** "დიდი მადლობა გალაკტიონს! არ მახსოვს, პირველად როდის წავიკითხე მისი ლექსები, არც ის მახსოვს, რატომ მომინდა მის პოეზიაზე მუშაობა. ჩემს ნაშრომში ვხსნი, თუ რის შესახებ და რა საშუალებებით გვესაუბრება გალაკტიონი. მისი პოეზიის მთელი გენიალობა იმაშია, რომ ყველასთვის მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებზე წერს, მაგრამ ისეთი ენითა და გამომსახველობითი საშუალებებით, რომელიც იშვიათად გვხვდება მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. მისი შემოქმედება საუკეთესოდ გვაკავშირებს ძველ ქართულ პოეზიასთანაც, რომელთან მისვლა პირდაპირი გზებით შეუძლებელია. ვერ ვიტყვი, რომ ამ ნამუშევრით ახალი გალაკტიონი აღმოვაჩინე, მაგრამ ძალიან მინდოდა, მადლობა გადამეხადა იმისთვის, რაც თავისი პოეზიით მომცა".

შემდეგი ნომინაციის გამარჯვებული ჯემალ აჯიაშვილი თბილისში არ აღმოჩნდა. ამიტომ საუკეთესოდ შესრულებული თარგმანისთვის "საბა" მისი ოჯახის წევრმა ჩაიბარა. აღსანიშნავია, რომ მან ყველაზე მრავალრიცხოვან ნომინაციაში გაიმარჯვა - აჯიაშვილს ერთბაშად შვიდ მთარგმნელთან მოუხდა "შერკინება". საერთოდ, მთარგმნელთა სიუხვე "საბას" დამახასიათებელი ნიშანია, რაც ჩვენში უცხოური ლიტერატურისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

წლის საუკეთესო პიესის "ზებო მარიამის" ავტორი ირაკლი სამსონაძე კი ადგილზე აღმოჩნდა და მისთვის განკუთვნილი პრიზიც თავად მიიღო. ამასთან, აჯიაშვილსგან განსხვავებით, სამსონაძის გამარჯვება 50/50 იყო, რადგან მას მხოლოდ ერთი ავტორი - მანანა დოიაშვილი უწევდა კონკურენციას. საუკეთესო პიესის ნომინაციის ასეთი მოკრძალებულობა, ალბათ, მხოლოდ ამ ჟანრში არსებულ კრიზისზე მიგვანიშნებს. ჟიურის წევრ მალხაზ ხარბედიას თქმით კი, ალმანახ "დრამატურგიის" გამოსვლა რომ არა, ეს ნომინაცია, სავარაუდოდ, საერთოდ გაუქმდებოდა.

ნომინანტთა სიუხვე შეიმჩნეოდა საუკეთესო პოეტური კრებულის შემთხვევაშიც (ზევით უკვე გითხართ, რომ ყველა ქართველი პოეტი და ხანდახან ორჯერ პოეტია). რუსუდან კაიშაურის, ლელა სამნიაშვილის, შოთა იათაშვილის, გიორგი ლობჟანიძისა და დათო მაღრაძის ხუთეულს ერთმა ანდრო ბუაჩიძემ სძლია და სასურველ ჯილდოს დაეპატრონა. მისი ლექსების კრებული "ელნათურები" წლის პოეტურ მოვლენად იქცა და ამ ტიტულს მომავალ "საბამდე" ატარებს.

ის, რომ საუკეთესო რომანის ნომინაციაში აკა მორჩილაძე გაიმარჯვებდა, იმთავითვე მოსალოდნელი იყო. მისი "სანტა ესპერანსა" არა მხოლოდ თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერალს ეკუთვნის, არამედ საინტერესო ისტორიასა და გამოცემის ორიგინალურ ფორმასაც აერთიანებს. მწერლობაში აკა მორჩილაძედ წოდებულმა გიორგი ახვლედიანმა ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ირაკლი სამსონაძე და ბესო ხვედელიძე თითქმის თანასწორ ბრძოლაში დაამარცხა. "მე პრიზის მიღებამ გამახარა, ჩემი მევალეები - ფულადმა პრემიამ", - ასე მიესალმა საკუთარ გამარჯვებას "საბას" ორგზის მფლობელი (პირველი "საბა" 2003 წელს "შენი თავგადასავლისთვის" მიიღო) ახვლედიან-მორჩილაძე. აქვე შეგახსენებთ, რომ "საბას" მფლობელებს პრემიის სახით 2 ათასი ლარი გადაეცემათ, ხოლო ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულს - 5 ათასი ლარი. წელს ეს საპატიო ტიტული ოთარ ჩხეიძემ დაიმსახურა.

**საუკეთესო რომანის ნომინაციაში გამარჯვებული:** "არასდროს ვკითხულობ საკუთარ ნაწარმოებებს. სად შემიძლია მაგის წაკითხვა! ეს წიგნი შეგიძლიათ ფერების მიხედვით წაიკითხოთ, ან რვეულების ნუმერაციის მიხედვით. ან შეკვრიდან პირველივე რვეული ამოაძრეთ და დაიწყეთ კითხვა. მოკლედ, სულ ერთია! "სანტა ესპერანსას" ფორმაზე ბევრი არ მიფიქრია, წერისას იდეა თავისით მომივიდა. ვფიქრობ, მთვარია, მწერალს წიგნის წერისას არ მოეწყინოს, მკითხველს - კითხვისას. საშინელებაა, როდესაც კითხვისას იტანჯები. ზოგს ჰგონია, რომ სანტა ესპერანსა საქართველოა, ეს კი ასე არ არის. სანტა ესპერანსა სულ სხვა ქვეყანაა და საკუთარი სახელიც ჰქვია. და, საერთოდ, ასეთ ღონისძიებებზე სიარული არ მიყვარს, მაგრამ ამ ხალხს ხათრს ვერ ვუტეხ."

შეიძლება ითქვას, რომ "საბა" ქართული გამომცემლობების ერთგვარი ჰიტ-აღლუმიცაა, მაგრამ ოფიციალურად მათი მუშაობის აღნიშვნა ჯერ არ ხდება. თუმცა, ზოგადი დაკვნის გაკეთება მაინც შეიძლება. "საბას" კარი, ძირითადად, ცნობილი გამომცემლობებისთვის იხსნება და იშვიათად შეხვდებით მათ მცირე კოლეგებს. წელს აშკარა ლიდერი "კავკასიური სახლი" იყო. მან "საბაზე" ხუთი წიგნი წარადგინა და აქედან ოთხი პოეტური კრებულია. "დიოგენე" ოთხი გამოცემით მეორე ადგილზე გავიდა. სამ-სამი წიგნით გამოცხადდა "არეტე", "მერანი" და "ლოგოს პრესი", "სიესტა" და "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" ორ-ორი წიგნით დაკმაყოფილდნენ.

საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ქართულ გამომცემლობებს 26 მაისიდან - თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე შეეძლებათ. "საბა" კი მომავალი მაისის მიწურულს დაელოდება.

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

## როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



### DVD-პლეიერი

წესით, XX საუკუნის მიწურულს, კაცობრიობა დაცული უნდა ყოფილიყო ცრურწმენებისგან. ამის მიუხედავად, საზოგადოების ნაწილი ახალი ათასწლეულის დადგომას მისტიურ მოვლენებს უკავშირებდა. ამ ამბებში მეცნიერებიც ჩაებნენ: ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სფეროს - კომპიუტერული ტექნოლოგიების წარმომადგენლები. მათი ვარაუდით, როგორც კი საათები 2001 წლის დადგომას გვაუწყებდნენ, კომპიუტერული სისტემები მთელ მსოფლიოში მწყობრიდან გამოვიდოდნენ.

საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. ახალი საუკუნის დადგომამდე ერთი წუთით ადრე მეც ჩავრთე ჩემი ჯიბის ელექტრონული ორგანაიზერი და 60 წამის შემდეგ ოჯახის წევრებს სიამაყით ვაუწყე, რომ მან წარმატებით დასძლია ათასწლეულის სინდრომი და მასში შენახული ყველა ინფორმაცია დაცული აღმოჩნდა.

ორგანაიზერი რაღაცეებში კი მეხმარებოდა, მაგრამ მე სხვა ელექტრონული სათამაშოებით მერჩივნა თამაში; მითუმეტეს, რომ XXI საუკუნის დასაწყისი ასეთი გასართობების ფართო არჩევანს მთავაზობდა. მუსიკალურ ბიზნესში კომპაქტ-დისკების რევოლუციის შემდეგ რამდენიმე წელი იყო გასული. კომპაქტ-დისკების მწარმოებლებმა სამჯერ მოახერხეს მყიდველის დაგოიმება, ანუ დროის მოკლე მონაკვეთში ერთიდაიგივე ჩანაწერი სამჯერ აყიდინეს საზოგადოებას.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საქართველოში: კომუნისტურმა ისტებლიშმენტმა კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ მეორედ მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და XXI საუკუნის პირველ არჩევნებში მესამედაც აპირებდა ხალხის დაგოიმებას, მაგრამ დროს ჩამორჩა, ვერ გათვალა თანამედროვე ელექტრონული და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები და თვითონვე აღმოჩნდა დაგოიმებული. იგივე დაემართა მათ ლიდერს, რომელიც მესამე ვადით ლამობდა პრეზიდენტობას.

კომუნისტების არ იყოს, მესამე გაბრძოლების შემდეგ კომპაქტ-დისკებმაც ამოწურეს შესაძლებლობები პირველადი ფორმატით. ახალი ფორმატი კი იმით გამოიხატა, რომ ციფრული მეთოდით მოხერხდა არა მარტო ბგერის, არამედ გამოსახულების დაფიქსირებაც. ამ ფორმატს DVD ეწოდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა III სექტორის ფორმატმა საქართველოში. დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლებაში III მმართველობის მოსვლასთან ერთად, III სექტორის I თაობის რამდენიმე წარმომადგენელი საკანონმდებლო და აღმასრულებელ თანამდებობაზე გადაბრძანდა. მათ დატოვებულ ადგილებზე მოსვლის პრეტენზია მათივე დაგეშილ, უკმარისობის კომპლექსით შეპყრობილ თინეიჯერებს გაუჩინეს. მდგომარეობა დაემსგავსა მსოფლიო პოპ-მუსიკაში არსებულ სიტუაციას: ძველი თაობის შემსრულებლებმა ვარსკვლავების სტატუსი გაინაღდეს, აღარაფერს აკეთებდნენ და წარსულის დიდებას იმკიდნენ, ახალგაზრდები კი თავიანთი უსახურობას ვიდეოში გავის ქნევით მალავდნენ. მართალია, გამონაკლისებიც არსებობდნენ, მაგრამ მაინც გარკვეული ვაკუუმი შეიქმნა.

ამ ვაკუუმის შევსებას ისევ ახალი ტექნოლოგიებით შეეცადნენ. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში პოპ-მუსიკამ რამდენჯერმე განიცადა ტექნოლოგიების გავლენა. 80-ანების დასაწყისში მას კოსმეტიკა გაუკეთეს, მოხდა სიმღერების ვიზუალიზაცია: გაჩნდა MTV. და რომ არა ვიდეო კლიპები, ძალიან ბევრი დღევანდელი ვარსკვლავის "ნიჭი" საჯახო ფოტოალბომს ვერ გასცდებოდა. რომ არა ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიები, არ გაჩნდებოდა მუსიკალური ინფორმაციის შენახვის ახალი ფორმატი MP-3, რომელიც საშუალებას იძლეოდა ერთ კომპაქტზე 10-ჯერ მეტი ინფორმაცია ჩაწერილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ CD-ზე. მუსიკამ ისეთ ნივთთანაც კი გამონახა საერთო, 80-ან წლებში მხოლოდ ტექნომანიაკებს და ნარკოდილერებს რომ ჰქონდათ, დღეს კი ყველასათვის ისევე აუცილებელი რამაა, როგორც "მირაქლ ბლეიდის" დანების კომპლექტი: მობილური ტელეფონები ისეთი პოპულარობით სარგებლობენ, რომ მუსიკალურ ჟურნალებში აქვეყნებენ ყველაზე პოპულარული სატელეფონო ზარების მელოდიების ათეულებს.

III ათასწლეულის დასაწყისისთვის ყველაფერი ერთმანეთში აირია. ფილმი, მუსიკალური ვიდეო, კომპიუტერული თამაშები, ლიტერატურა, ხელოვნება... მწერლები წერდნენ სიუჟეტებს კომპიუტერული თამაშებისთვის, მხატვრები ამ სიუჟეტების ვიზუალიზაციაზე ზრუნავდნენ, მუსიკოსები - მუსიკალურ გაფორმებაზე. ხანდახან ამ თამაშების მიხედვით ფილმებს იღებდნენ. ხდებოდა პირიქითაც - ფილმი ხდებოდა თამაშის საფუძველი. ანალოგიური სიტუაციაა მუსიკალურ ბიზნესში: ცნობილი რეჟისორები იღებენენ ნაკლებად ცნობილი მუსიკოსების კლიპებს და შედეგად უნიჭო სიმღერებს ახლავს 3-4 წუთიანი ვიზუალური შედევრები. პირიქითაც: აღიარებული მუსიკოსები წერენ მუსიკას პოპულარული ფილმებისთვის. დღეს თითქმის აღარ არსებობს ფილმი, ეფექტური მუსიკალური თანხლების გარეშე.

ყველაფერი ისე აირია ერთმანეთში, როგორც საქართველოს ხელისუფლებაში, რომელმაც რეკორდები დაამყარა თანამდებობრივი კარუსელების ტრიალში. დასავლეთის შოუბიზნესის კარუსელს ერთადერთი მიზანი აქვს - უფრო მეტი ფული გააკეთოს, ვიდრე გუშინ.

იმედია, ჩვენს ხელისუფლებასაც ცდილობს რაც შეიძლება მეტი ფული იშოვოს ქვეყნის ბიუჯეტისთვის. და თუ ამ კარუსელებს სხვა მიზანი აქვს, საქართველო ძალიან მალე დაემსგავსება იმ თანამედროვე დისკოთეკას, სადაც მუსიკა ისე გაღარიბებულა, რომ მორზეს ანბანს უფრო ჰგავს, ვიდრე როკ-ენ-როლს, იმ ჟანრს, რომელსაც ეს ზღაპრები მივუძღვენით.



ფეხბურთი

# რევაზ არველაძე: "გვჭირდება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო"

მიხეილ აბაიშვილი

11 ივნისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. "24 საათი" აგრძელებს კანდიდატთა წარმოდგენას. დღეს ჩვენი სტუმარია რევაზ არველაძე.

**- ცნობილია, რომ დიდი მოცულობის სამუშაო გასწიეთ და სერიოზული პროგრამა მოამზადეთ. რა ძირითად პოსტულატებს ეყრდნობა თქვენი პროგრამა?**

- ერთი სიტყვით ჩემს პროგრამას რეფორმა ჰქვია. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ქართულ ფეხბურთში გამოვასწოროთ ყველაფერი, რისი გამოსწორებაც შეიძლება. ფეხბურთი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს - ბავშვთა, მასობრივი, საკლუბო და ამ დიდი საფეხბურთო პირამიდის მწვერვალი - ეროვნული ნაკრები. ჩემთვისაც მთავარი პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებია. სრულიად სამართლიანია გულშემატკივრის მოთხოვნა - მას სულ არ აინტერესებს, ვინ არის ფედერაციის პრეზიდენტი, რა გუნდი ჰყავს მას, რა მენეჯმენტი აქვს და ასე შემდეგ. გულშემატკივარს აინტერესებს შედეგი. შედეგამდე რომ მივიდეთ, ზუსტად უნდა გავითვალოთ დროშიც, პროგრამულადაც და პოლიტიკის თვალსაზრისითაც. პოლიტიკა უნდა იყოს ცალსახა და ერთგვაროვანი. ფედერაცია, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, უმაღლესი ლიგის კლუბები, ასაკობრივი ნაკრებები საერთო პოლიტიკას უნდა ატარებდნენ და ეს უნდა კეთდებოდეს კორპორაციულად, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის პირობებში. იგივე უნდა მოხდეს ბავშვთა ფეხბურთში. ეს ყველაფერი რომ გაკეთდეს, საკანონმდებლო ბაზა უნდა მოწესრიგდეს და შეიქმნას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. ინვესტორი ფეხბურთში ფულს არ დააბანდებს, თუ უკუგების პერსპექტივა არ ექნება.

**- რა პერიოდს მოიცავს შენი საარჩევნო პროგრამა?**

-ჩემი პროგრამა ორ წელიწადზეა გათვლილი. იმას ნამდვილად ვერავის დავპირდები, რომ ორი წლის შემდეგ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდება და ჩვენი კლუბები ევროპულ სარბიელზე ფურორს მოახდენენ. თუმცა, ეს დრო სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ განხორციელდეს კარდინალური რეფორმები როგორც საკანონმდებლო, ისე სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, ოთხწლიანი პერიოდი გაცილებით მეტ შესაძლებლობებს იძლევა რეფორმების განსახორციელებლად, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ 11 ივნისის არჩევნები გამარჯვებულ კანდიდატს ორწლიან მანდატს აძლევს. ამიტომ ჩემი პროგრამაც ამ პერიოდზეა გაანგარიშებული.

**- რამდენად შესაძლებლად მიგაჩნია რომელიმე კონკურენტთან ალიანსი?**

- არანაირ ალიანსზე საუბარი არ შეიძლება. მე ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვარ განწყობილი, რომ ვინმესთან გავერთიანდე და ასეთი გზით შევეცადო არჩევნებში გამარჯვებას. ჭორი შეიძლება ბევრი იყოს, ჩემამდეც აღწევს ხმები, თითქოს ერთ თუ მეორე კანდიდატთან ალიანსში ვარ. ზოგმა რაღაც ურთიერთობები იცის, ზოგმაც - კანდიდატების ურთიერთდამოკიდებულება და ეს ჭორაობისთვის საკმარის ნიადაგს ქმნის.

**- ვინ მიგაჩნია მთავარ კონკურენტად?**

- ვფიქრობ, კონკურენცია უნდა იყოს არა კანდიდატებს შორის, არამედ მათ პროგრამებს, განწყობებსა და აზრებს შორის. ამ თვალსაზრისით მე ჯერ არც ერთი კონკურენტის პროგრამა არ წამიკითხავს. როგორც ვიცი, ეს ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს. საფეხბურთო სამყარო უნდა იცნობდეს კანდიდატთა პროგრამებს, რათა არჩევანის გაკეთება შეძლოს. ჩემი პროგრამის პრეზენტაციაზე ნებისმიერ მსურველს შეეძლო მიეღო მისი ასლი და არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ სწორედ ჩემი პროგრამაა პანაცეა. მზად ვარ, ნებისმიერი შენიშვნა, შესწორება მოვისმინო და მივიღო, თუ საღ აზრს დავინახავ. რაც შეეხება კონკურენციას, ჩემი აზრით, კანდიდატთა შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ შანსი არა აქვს და ხმების გარკვეულ, თუნდაც მინიმალურ რაოდენობას ვერ დააგროვებს. თუმცა, ასევე მგონია, რომ საარჩევნო მარათონში არც ერთი კანდიდატი არ არის იმდენად დაწინაურებული, რომ გამარჯვება გარანტირებული ჰქონდეს. ვფიქრობ, დღეს მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსები გვაქვს. შესაძლოა, ვცდები. წესით, თქვენ, ჟურნალისტებს, უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გქონდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

**- მოარული ხმების თანახმად, ხელისუფლება აქტიურად ერევა წინასაარჩევნო პროცესებში. როგორ ფიქრობ, რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება ეს არჩევნები?**



რეზო არველაძე: "ვფიქრობ, კონკურენცია უნდა იყოს არა კანდიდატებს, არამედ მათ პროგრამებს შორის".

- თავად არჩევნები, დარწმუნებული ვარ, შესაბამისი ნორმების სრული დაცვით ჩატარდება. ფიფადან და უეფადან საგანგებოდ მოავლენენ დელეგატებს, რომლებიც ამ პროცესს გააკონტროლებენ და ამ ორგანიზაციების კანონმდებლობა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება არ დაირღვევა. რაც შეეხება წინასაარჩევნო პროცესს, ჭორები ჩემამდეც აღწევს, თითქოს ხელისუფლება ერევა ამ საკითხში. თუმცა, მე ეს არ მჯერა, რადგან, საინფორმაციო წყაროების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი. ასე რომ იყოს, აუცილებლად მეცოდინებოდა. თუ მომავალში, არჩევნებამდე დარჩენილ დროში მოხდება რამე ასეთი.. არ ვიცი.... ჯერჯერობით კი პროცესი ყველანაირი დიქტატის თუ სახელისუფლებო ჩარევის გარეშე მიმდინარეობს.

**- შენს პროგრამაში ბევრი საუბარია საკანონმდებლო ცვლილებებზე. რა გაძლევს იმის იმედს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლება შენთან ითანამშრომლებს?**

- ეს პროცესი ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ კეთილგანწობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. 11 ივნისს საფეხბურთო ოჯახი გადაწყვეტს, თუ ვისი პროგრამაა საუკეთესო, ვინ არის ღირსეული, ვინ უნდა უხელმძღვანელოს ქართულ ფეხბურთს. ამის შემდეგ გამარჯვებული კანდიდატის და მისი გუნდის მუშაობაზე, აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად განვითარდება ეს პროცესი. მომავალმა პრეზიდენტმა ხელისუფლებას, პარლამენტს უნდა დაუმტკიცოს, რომ მის მიერ შემუშავებული რეფორმების განხორციელება აუცილებლობაა, რის გარეშეც ფეხბურთი არ განვითარდება. მე ვიქნები ეს თუ რომელიმე ჩემი კონკურენტი, თუ პარლამენტი დაინახავს გამარჯვებული კანდიდატის სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერის აუცილებლობას, საქმე გამოვა.

**-მთელ მსოფლიოში ალკოჰოლისა და თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები უზარმაზარ ინვესტიციებს აბანდებენ ფეხბურთში და ზოგადად სპორტში. თქვენს პროგრამაში ამ საკითხზეც არის საუბარი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ყველანაირად ზღუდავს ამ პროცესს. რამდენად რეალურია, რომ ხელისუფლებამ მიიღოს შესწორება და ასეთი კომპანიები სპორტში ფულის დაბანდებით დაინტერესდნენ?**

- ევროკავშირის ქვეყნებშიც კი, რომლებიც, დამეთანხმებით, ფინანსების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან, ასეთ კომპანიებს სპორტთან თანამშრომლობის საშუალებას აძლევენ. თვით ევროპის "ჩემპიონთა ლიგის" სპონსორია ლუდის მწარმოებელი ცნობილი კომპანია. ესპანეთის სტადიონებზე, პერიმერადივიზიონის მატჩების ტრანსლირებისას, თამბაქოს ნაწარმის ბრენდის ვიზუალური გამოსახულება მუდმივად ფიგურირებს. ასეთი მაგალითი უამრავია სწორედ იმ განვითარებულ და ყველა თვალსაზრისით უზრუნველყოფილ ქვეყნებში, რომლებშიც ადამიანის ჯანმრთელობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა მთავარი პრიორიტეტია და სადაც ჯანდაცვაზე, სპორტის განვითარებაზე ბიუჯეტში მილიარდებია გათვალისწინებული. თუ ასეთი ქვეყნები არ აძლევენ თავს უფლებას, რომ უარი თქვან თამბაქოსა და ალკოჰოლის მწარმოებელი ფირმების მიერ სპორტში ინვესტიციების განხორციელებაზე, საქართველო რატომ უნდა იყოს გამონაკლისი? თან, თუ ამ პროფილის ფირმებს სპორტის დაფინანსების უფლება მიეცემათ, ეს ხომ ერთგვარი საზღაური იქნება იმ ზიანის სანაცვლოდ, რომელსაც საზოგადოებას საკუთარი ბიზნესით აყენებენ? ის ფული, რომელსაც ალკოჰოლისა და თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები გაიღებენ, ახალი სტადიონების მშენებლობას, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი სპორტული სექციების გახსნას მოხმარდება. ეს სერიოზული საკითხია და ვინც გახდება პრეზიდენტი, უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს.

**- რამდენად ელით ბიზნესწრეების მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პროგრამის მიხედვით განხორციელდა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები?**

- თუ ეს ცვლილებები განხორციელდა, შეიქმნება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, რაც თავისთავად არის გარანტი, რომ ბიზნესმენები ფეხბურთში ფულის დაბანდებით დაინტერესდებიან. მეორე მხრივ, გეთანხმებით, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება პირად კონტაქტებსა და ურთიერთობებს. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ასეთი კონტაქტების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი. სანამ კანდიდატურას წამოვაყენებდი, სწორედ ამ საკითხზე სოლიდურ ქართულ ბიზნესწრეებთან მქონდა კონსულტაციები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ წრეებიდან ერთგვარი კურთხევა მივიღე, გადავწყვიტე კიდეც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. ქართველი ბიზნესმენების მიერ წამოყენებული პირობაც სავსებით ლოგიკურია. შენ ჯერ საქმით დაგვიდასტურე, რომ ფეხბურთი განვითარების გზით მიგყავს და ბიზნესი ამ საქმეში ფულის დაბანდებით არ იზარალებსო. პირადად ჩემთვის დიდი პატივია, რომ ისეთი სოლიდური კომპანია, როგორიცაა "TBC ჯგუფი", გამარჯვების შემთხვევაში სრულ თანადგომას მპირდება. ეს არ იქნება რეზო არველაძის თანადგომა. პირად კონტაქტებს მხოლოდ საწყის ეტაპზე აქვს მნიშვნელობა. ეს იქნება იმ იდეებისა და პროგრამის თანადგომა, რომლის განხორციელების გზით ფეხბურთი განვითარდება. ეს მხოლოდ ერთი მაგალითი დავასახელე და ბევრი კომპანია თუ ბანკი აუცილებლად ითანამშრომლებს ჩვენთან. იმის იმედი მაქვს, რომ ფეხბურთის სამსახურში დადგება ისეთი ბიზნესიც, რომელსაც დღევანდელი კანონმდებლობა სპორტში ივესტიციების განხორციელებას უზღუდავს.

**- თქვენი პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს ეროვნული ნაკრები წარმოადგენს. გუნდი კი ამხანაგური თამაშების დეფიციტს განიცდის და შეთამაშება აკლია. როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის გადაჭრა?**

- ამ პრობლემის მოგვარების ორი გზა არსებობს. არის თამაშები, რომლებიც უნდა იყიდო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ანუ, მაღალი კლასის ნაკრებს, მაგალითად, კოლუმბიას ან პერუს, სპარინგ-მატჩში მონაწილეობისთვის ფული უნდა გადაუხადო. ამისთვის ფედერაცია მზად უნდა იყოს. არსებობს მეორე გზაც. ფედერაციაში უნდა არსებობდეს შტატი - დავარქვათ ეროვნული ნაკრების მენეჯერი ან აგენტი, რომელიც სხვადასხვა ფედერაციასთან მუდმივ კონტაქტში მოამზადებს რამდენიმე ვარიანტს და შემოგვთავაზებს. თან, ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი აქცია, ის მუდმივ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამ აგენტის ანაზღაურება პირდაპირპროპორციულად იქნება დამოკიდებული იმ ეფექტთან, რასაც თავისი მუშაობით მიაღწევს. სხვათა შორის, ამ საკითხის მოგვარებაში შეიძლება ჩავრთოთ უცხოური საფეხბურთო სააგენტოებიც, რომლებსაც სხვადასხვა ეროვნულ ფედერაციებთან კონტაქტი აქვთ. ყოველივე ამისთვის საჭიროა სერიოზული მუშაობა, ფული და მზაობა. ამ საკითხის მოგვარებაში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელიც უნდა ჩაერთოს. რატომ მოვიწვიეთ ჟირესი? მას თავისი კავშირები აქვს და ეს კავშირები ნაკრების წინსვლისთვის უნდა გამოიყენოს.

**- დაბოლოს, შენი აზრით, რამდენად გაამართლა საქართველოს პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ?**

პროფესიული ფეხბურთის ლიგას რომ აქვს პერსპექტივა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჯერ ერთი, კომერციალიზაცია უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. სპონსორებს უფრო კონკრეტულ თემებზე ელაპარაკები - ტელეტრანსლაციები, სარეკლამო უფლებები და ასე შემდეგ. არსებობის მცირე ხნის მანძილზე ლიგამ დაამტკიცა, რომ ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მისთვის ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზაცია-მართვის გადაცემა წინგადადგმული ნაბიჯია. ამას გარდა, ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა, რომ ეს საუკეთესო მოდელია.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 23 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბავარია"
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბორდო" - "მონაკო"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "პალერმო"
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ლევანტე" - "ვალენსია"
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. "ლივორნო" - "იუვენტუსი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:15, 16:20, 18:30 პრეს-ცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
11:15 ბილიარდი. გუნდური მსოფლიო თასი პირამიდაში
13:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში
16:35 ფიგურული სრიალი. კენი ლოგინსის შოუ
17:30 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი" პირველი ნაწილი
18:30 "სარკის წინ"
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ლემონ ბრიუსტერი - ანჟეი გოლოტა
21:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". დღის შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი" პირველი ნაწილი

**EUROSPORT**

10:30 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
11:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:30 ჩოგბურთი. როლან გაროსის 2004 წლის ფინალი
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ველორბოლა - იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ფეხბურთი - ევროგოლები
00:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 მულტისპორტი - "VIP საშვი". ტელეჟურნალი
02:15 ახალი ამბები
02:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
03:00 თავგადასავალი

# ჩემპიონი ბოლო ტურში გამოვლინდება



"თბილისმა" "ლოკომოტივი" გაანადგურა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გუშინ გამართულმა ბოლოსწინა, 35-ე ტურმა მხოლოდ ის გაარკვია, რომ გორის "დილასთან" ერთად უმაღლეს ლიგას იმ ქალაქის გუნდიც დატოვებს, სადაც დაირწა ქართული ფეხბურთის აკვანი. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ფოთის "კოლხეთი" ბათუმის "დინამოსთან" დამარცხდა და მომავალ სეზონში პირველ ლიგაში იასპარეზებს. არაფერი შეცვლილა ლიდერთა განლაგებაში, თუ არ ჩავთვლით, რომ თბილისის "ლოკომოტივი" დამარცხდა და მედლებისათვის ბრძოლას გამოეთიშა. ბოლო ტურში, რომელიც 30 მაისს გაიმართება, მედლების სამ კომპლექტს გაითამაშებენ თბილისის "დინამო", "თბილისი" და ქუთაისის "ტორპედო", რომლებმაც გუშინ მორიგი 3-3 ქულა მიითვალეს. ხოლო ვის რა სინჯის მედალი შეხვდება, წინასწარ ძნელი სათქმელია. თეორიულად ისიც კია შესაძლებელი, რომ შარშანდელივით "ოქროს მატჩის" გამართვა გახდეს საჭირო. ამისთვის "დინამო" საკუთარ მოედანზე უნდა დამარცხდეს ბათუმელ თანაკლუბელებთან, ხოლო "თბილისმა" სტუმრად უნდა მოუგოს "ტორპედოს", რაც ძნელი წარმოსადგენია.

სამი ქულის მოპოვება ლიდერთაგან ყველაზე მეტად გაუჭირდა "ტორპედოს", რომელმაც გასვლითი მატჩი ჩაატარა ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონთან, თბილისის "ვიტ ჯორჯიასთან". 24-ე წუთზე ვეტერინარები სახოკიას ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ, თუმცა, გაცილებით მეტად მოტივირებულმა ქუთაისელებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე, 47-ე (ბოლქვაძე) და 52-ე (კოშკაძე) წუთებზე გოლები გაიტანეს და ეს მინიმალური უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

თბილისის "დინამომ" გორში ჩატარებულ გასვლით შეხვედრაში პირველივე ტაიმში მოამთავრა საქმე. ორჯერ მელქაძემ და დვალიშვილმა სამი გოლი გაუტანეს მასპინძლებს. მატჩის მეორე ნახევარში "დინამოს" აღარ უაქტიურია და ამჯერად გორელებს ეს სამი ბურთი აკმარა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების წინა შეხვედრაში, რომელიც თბილისში გაიმართა და რომელშიც "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კახაბერ ცხადაძის დებიუტი შედგა, "დინამომ" 9 უპასუხო გოლი გაიტანა "დილას" კარში.

მიუხედავად იმისა, რომ "ლოკომოტივი" ზედიზედ 20 მატჩში არ დამარცხებულა, ამ გუნდთან გუშინ "თბილისის "გამარჯვება მაინც იოლად პროგნოზირებადი იყო. ორ დღეში "ლოკომოტივს" სეზონის უმთავრესი მატჩი ელის - დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი, რომელშიც ამ ჯილდოს "ზესტაფონი" შეეცილება. ამიტომ აკობიამ თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობის 5 ფეხბურთელი დაასვენა, რითაც ისარგებლა "თბილისმა" და ოთხი გოლი გაუტანა მეტოქეს. "დუბლი" შეასრულა ფიფიამ, ხოლო თითოჯერ ჟღენტმა და აფციაურმა გამოიჩინეს თავი. რკინიგზელებმა პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს, რომელიც ამ შეხვედრაში "ლოკომოტივის" რიგებიდან საუკეთესომ, ბრაზილიელმა ლეგიონერმა, 18 წლის რამონ დე ანაიამ მიითვალა.

ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა ბოლნისში, სადაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა "სიონმა" თასის ფინალისტ "ზესტაფონს" უმასპინძლა. ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემაც დაასვენა თავისი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები და ბოლნისში სათამაშოდ თითქმის სათადარიგო გუნდი გაუშვა. ვერ ვიტყვი რომ იოლად, მაგრამ "სიონმა" მაინც გაიმარჯვა და მხსნელი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში, რამაც უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა.

**35-ე ტური**

| | |
|---|---|
| **დილა - დინამო (თბ)** | **0:3** |
| **ვიტ ჯორჯია - ტორპედო** | **1:2** |
| **თბილისი - ლოკომოტივი** | **4:1** |
| **სიონი - ზესტაფონი** | **2:1** |
| **დინამო (ბთ) - კოლხეთი** | **2:1** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 35 | 22 | 6 | 7 | 70-27 | 72 |
| ტორპედო | 35 | 20 | 10 | 5 | 56-28 | 70 |
| თბილისი | 35 | 21 | 6 | 8 | 60-37 | 69 |
| ლოკომოტივი | 35 | 16 | 14 | 5 | 42-24 | 62 |
| ზესტაფონი | 35 | 16 | 5 | 14 | 37-45 | 53 |
| ვიტჯორჯია | 35 | 12 | 9 | 14 | 51-40 | 45 |
| დინამო (ბთ) | 35 | 9 | 12 | 14 | 35-30 | 39 |
| სიონი | 35 | 11 | 4 | 20 | 32-56 | 37 |
| კოლხეთი | 35 | 9 | 5 | 21 | 32-60 | 32 |
| დილა | 35 | 2 | 3 | 30 | 20-88 | 9 |

ფორმულა 1

# "მაკლარენ-მერსედესი" გაორმაგდა

ბიგა გურასაშვილი

*ერთნი "მონაკოს დიდ პრიზს" ფორმულა 1-ის ძვირფას ქვას უწოდებენ. სამეფო რბოლებში არც ერთი არ არის ისეთი უცნაური და წინააღმდეგობებით აღსავსე ეტაპი, როგორიც მონტე კარლოს ქუჩები. ალბათ ამიტომაა, რომ მონაკოში გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქალაქო რბოლა "მონაკოს დიდი პრიზის" სახით ჩემპიონატში ერთადერთია, ხოლო შედეგის წინასწარ გამოცნობა - მეტად რთული საქმე. წარმატებისთვის ნაკლებ როლს თამაშობს ბოლიდთა ძრავის სიძლიერე. ამასთან, გასასწრები ადგილიც არაა. ასე რომ, წარმატების ყველაზე მეტი შანსი კვალიფიკაციის მომგებს აქვს. მიუხედავად ამისა, გუშინდელ რბოლაში არაერთი გადაადგილების მოწმენი გავხდით. ერთადერთი, ვინც თავიდან ბოლომდე შეინარჩუნა პოზიცია, ამ შემთხვევაში ლიდერობა, "მფრინავი ფინელი" მაკლარენელი კიმი რაიკონენია.*



*რაიკონენმა შამპანურით წუწაობის პატივი ზედიზედ მეორედ დაიმსახურა*

რაიკონენმა საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება შაბათის კვალიფიკაციიდან დაიწყო. დააფიქსირა საუკეთესო შედეგი და იგივე გაიმეორა მეორე კვალიფიკაციისას, კვირას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძირითად რბოლას მოწინავის პოზიციიდან დაიწყებდა.

...სამეფო რბოლებმა მონაკოში ფორმულა 1-ის დაბადებისთანავე - 1950 წლიდან შეაბიჯა. მონაკოს სამეფო მიწაზე პირველი რბოლა ლეგენდარული არგენტინელი მრბოლის, შემდგომში მსოფლიოს ხუთგზის ჩეპიონის ხუან მანუელ ფანხიოსა და "ალფა რომეოს" გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მალევე, უფრო სწორად, იმავე წელს, ტრასა აითვალწუნეს - ზედმეტად სახიფათოაო და მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან ამოიღეს. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა 1952 წლის ტრაგედია, როდესაც ერთ-ერთი ვარჯიშისას აქ იტალიელი მრბოლი ლუიჯი ფაჯიოლი დაიღუპა.

ერთი სიტყვით, მონაკო სამეფო რბოლებს 1955 წლამდე გამოეთხოვა. მას მერე ფორმულა 1-ის არც ერთი ჩემპიონატი არ დარჩენილა მონაკოს გარეშე. თუმცა, უბედურებათა რიცხვი ფაჯიოლის დაღუპვით მაინც არ დასრულებულა. 50 წლის განმავლობაში მონტე კარლოს ქუჩებში კიდევ ორი მრბოლი დაიღუპა, ხოლო ორმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ტრასიდან ზღვაში გადაეშვა.

საერთოდ, "მონაკოს დიდი პრიზის" სარბოლო ტრასა ჩემპიონატის ყველაზე ნელ ასპარეზად ითვლება. პილოტები რბოლის მხოლოდ ნახევარს ატარებენ სრულ სიჩქარეში, ამიტომაცაა, რომ ძრავებზე ნაკლები დატვირთვა მოდის.

კვალიფიკაციის შედეგებისა და მონაკოს ტრასის მახასიათებლების გათვალისწინებით ცხადი იყო, რომ გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი მაკლარენელი უნდა ყოფილიყო და ასე მოხდა კიდეც. მისთვის მონაკოში გამარჯვება ზედიზედ მეორე გამოდგა მიმდინარე ჩემპიონატში.

"რამდენიმე წლის წინათ ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე მონტოიასთვის გამესწრო. ამჯერად ეს შევძელი და ბედნიერი ვარ, რადგან პირველობას არაფერი სჯობს", - გამარჯვებით კმაყოფილებას ვერ ფარავდა ფინელი.

არადა, კვალიფიკაციის შემდეგ ყველა ელოდა, რომ "მონაკოს დიდი პრიზი" დუნედ წარიმართებოდა, თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა. ორთაბრძოლები ძირითადად უკანა რიგებში მიმდინარეობდა. რაიკონენს იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ მისი დუელში გამოწვევა წარმოუდგენლად მოჩანდა.

რაც შეეხება რბოლის სანახაობრიობას, ამაზე ზრუნავდა რაიკონენის თანაგუნდელი მონტოია, რომელმაც მე-17 პოზიციიდან აიღო სტარტი და დროთა განმავლობაში მეტოქეებს ოსტატურად იცილებდა. ბოლოს კი იმდენი მოახერხა, რომ მეხუთე საფეხურზე დაამთავრა რბოლა და გუნდის დაწინაურებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

მაჩანჩალათა შორის ისევ არ გაუმართლა "ჯორდანის" ინდოელ მრბოლს ნარაიან კარტიკეიანს - ბოქსებში სამჯერ შევიდა, მერე კი ხელი ჩაიქნია და რბოლა შეწყვიტა.

მოგვიანებით, 23-ე წრეზე, კიდევ ერთი აუტსაიდერის კრისტიან ალბერსის "მინარდი" შუა გზაზე დატრიალდა, რამაც საცობი წარმოქმნა და მის უკან მდევრებს, რედბულელ დევიდ კულჰარდსა და მიხაელ შუმახერს დროზე რომ არ ეყოჩაღათ, შეასკდებოდნენ კიდეც მის ბოლიდს. თუმცა, მიხაელმა ბოლომდე დამუხრუჭება ვერ შეძლო და კულჰარდის ბოლიდს მაინც წასცხო, რაც მას წინა ანტი-ფრთის დაკარგვად დაუჯდა. მართალია, დალეწვას გადაურჩნენ, მაგრამ კულჰარდი იძულებული გახდა, რბოლა შეეწყვიტა, ხოლო "ფერარის" თვალისჩინი ბოლიდის შესაკეთებლად ბოქსებისკენ გაეშურა.

29-ე წრეზე იმავე ადგილზე მინარდელი პატრიკ ფრიზახერის ბოლიდი დამცავ ჯებირს შეასკდა და რბოლას გამოეთიშა. 59-ე წრეზე საბურავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო კიდევ ერთმა რედბულელმა ვიტანტონიო ლუციმ დატოვა ტრასა.

ერთი სიტყვით, რაიკონენმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო მეორე-მესამე ადგილები უილიამსელებმა დაიკავეს, შესაბამისად, ნიკ ჰაიდფელდმა და მარკ უებერმა.

ჩემპიონატის ლიდერმა, "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ კი, რომელიც ბოლო წრეებამდე მეორე პოზიციას ინარჩუნებდა, "მონაკოს დიდი პრიზი" მეოთხე შედეგით დაასრულა.

"მონაკოს დიდი პრიზი".
78 წრე

**პირადი პირველობა**

1. კიმი რაიკონენი ("მაკლარენ-მერსედესი")
2. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი")
3. მარკ უებერი ("BMW-უილიამსი")
4. ფერნანდო ალონსო ("რენო")
5. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი")
6. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")
7. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")
8. რუბენს ბარიკელო ("ფერარი")
9. ფელიპე მასა ("ზაუბერი") + 1 წრე
10. იარნო ტრული ("ტოიოტა") + 1
11. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერი") + 1
12. ჯანფრანკო ფიზიკელა ("რენო") + 1
13. ტიაგო მონტეირო ("ჯორდანი") + 3
14. კრისტიან ალბერსი ("მინარდი") + 5

**საერთო ჩათვლა**

1. ფერნანდო ალონსო - ესპანეთი ("რენო") 49
2. კიმი რაიკონენი - ფინეთი ("მაკლარენ-მერსედესი") 27
3. იარნო ტრული - იტალია ("ტოიოტა") 26
4. მარკ ვებერი - ავსტრალია ("BMW-უილიამსი") 18
5. ნიკ ჰაიდფელდი - გერმანია ("BMW-უილიამსი") 17
6. რალფ შუმახერი - გერმანია ("ტოიოტა") 17
7. ჯანკარლო ფიზიკელა - იტალია ("რენო") 14
8. ხუან პაბლო მონტოია - კოლუმბია ("მაკლარენ-მერსედესი") 14
9. მიხაელ შუმახერი - გერმანია ("ფერარი") 12
10. დევიდ კულჰარდი - დიდი ბრიტანეთი ("რედ ბული") 10
11. რუბენს ბარიკელო - ბრაზილია ("ფერარი") 9
12. ალექს ვურცი - ავსტრია ("მაკლარენ-მერსედესი") 6
13. ჟაკ ვილნევი - კანადა ("ზაუბერი") 5
14. პედრო დე ლა როსა - ესპანეთი ("მაკლარენ-მერსედესი") 4
15. კრისტიან კლიენი - ავსტრია ("რედ ბული") 3
16. ფელიპე მასა - ბრაზილია ("ზაუბერი") 2
17. ვიტანტონიო ლუცი - იტალია ("რედ ბული") 1

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. "რენო" | 63 |
| 2. "მაკლარენ-მერსედესი" | 51 |
| 3. "ტოიოტა" | 43 |
| 4. "BMW-უილიამსი" | 35 |
| 5. "ფერარი" | 21 |
| 6. "რედ ბული" | 14 |
| 7. "ზაუბერი" | 7 |

კრივი

# რინგწაღებული

ბიგა გურასაშვილი

*ცათამბჯენების, აფროამერიკელებისა და განგსტერების ქალაქი ჩიკაგო, სადაც კალათბურთთან ერთად კრივზეც გიჟდებიან, მნიშვნელოვანი ჩხუბის მოწმე გახდა. შეგვეძლო გვეთქვა, დიდი ორთაბრძოლის მოწმეო (მით უფრო, რომ დაპისრისპირება საჩემპიონო გახლდათ და, თანაც, მძიმეწონოსანთა) მაგრამ ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს და 21 მაისის შეხლას დიდი ბრძოლა უწოდო, როდესაც იგი სულ რაღაც 53 წამს გაგრძელდა. სეირის სანახავად მოსული 20 126 მაყურებელი კი გაწბილებული დარჩა. ყოველ შემთხვევაში, მათმა უმეტესობამ ნირწამხდარმა დატოვა ჩიკაგოს "იუნაითედ სენთერის" რინგი.*



*ბრიუსტერს ტიტულის შესანარჩუნებლად 53 წამი დასჭირდა*

იმისთვის, რომ ამერიკელ ლემონ ბრიუსტერს (32-2-0, აქედან 28 ნოკაუტით) პოლონელი ანჟეი გოლოტასთვის (38-6-1, აქედან 31 ნოკაუტით) მუსრი გაევლო, 53 წამი აღმოჩნდა საკმარისი! გაისმა თუ არა გონგის ხმა, კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონმა ლემონ ბრიუსტერმა ანჟეი გოლოტას მარცხენა ჰუკი შეაგება. პოლონელმა იატაკისკენ აიღო გეზი. ეტყობა, გოლოტა ასეთ დარტყმას არ ელოდა. დაბნეული და გვარიანად შეჯანჯღარებული წამოდგა. წამოდგომა და მეორე მარცხენა ჰუკი ერთი იყო. გოლოტა ჩვეულ პოზაში - ნოკდაუნში აღმოჩნდა... ისევ წამოდგა, ამჯერად უფრო დარეტიანებული. ბრიუსტერს ისღა დარჩენოდა, ჯიუტი პოლონელისთვის ბევრად გამეტებით მოედო ყბაში და ერთხელ და სამუდამოდ მოცილის შეტევა გაეუვნებელეყო. ბრიუსტერის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მატჩის რეფერი ჯენარო როდრიგესი მესამე ნოკდაუნის შემდეგ იძულებული გახდა, ბრიუსტერის გამარჯვება (ტექნიკური ნოკაუტით) დაეფიქსირებინა.

ხალხით გადაჭედილი დარბაზი მოვლენათა ასეთ განვითარებას და მეტადრე პოლონელის მარცხს ალბათ ვერ წარმოიდგენდა. იმიტომ კი არა, რომ გოლოტა ითვლებოდა ფავორიტად ან მისი ორთაბრძოლების ნუსხა გამოიყურებოდა შთამბეჭდავად. - არა! გოლოტა არ მიეკუთვნება იმათ რიცხვს, ვინც იმსახურებს ჩემპიონობას.

პოლონელ მძიმეწონოსანს ზედიზედ მესამედ მოუხდა საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლა. ბრიუსტერამდე IBF-ის ჩემპიონს კრის ბერდს შეხვდა. საყაიმო ანგარიშის გამო ტიტული მის მფლობელს დარჩა. და კიდევ, WBA-ს ჩემპიონთან ჯონ რუისთან ჩატარებულ თანაბარძალოვან დაპირისპირებაში მსაჯებმა გოლოტა ცნეს დამარცხებულად.

საერთოდ, ასე იოლად ჩემპიონობის შანსს არავის აძლევენ, თანაც, სამჯერ, მაგრამ როდესაც საქმეში ერთვება გაქნილი და ავტორიტეტული პრომოუტერი დონ კინგი, ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა უფრო მოკლდება. დონ კინგი ის კაცია, რომელიც გოლოტას უმაგრებს ზურგს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პოლონელს ბრიუსტერთან საჩემპიონო ორთაბრძოლის საშუალება მიეცა. რა როგორ იქნება მომავალში, ისევ და ისევ კინგზეა დამოკიდებული. წესით და რიგით, დროა, პოლონელი ჩამოიწეროს ზეპური კრივის სამყაროდან. ისე, ბრიუსტერთან შეხლამდე თქვა კიდეც, თუ ვერ მოვიგე, ხელთათმანებს გავიძრობო. ჩიკაგოელებმა კი, ჯობს, აქცენტი სხვა ვინმეზე გადაიტანონ.

ალბათ იკითხავთ, ასეთი რა დამსახურება აქვს გოლოტას ჩოკაგოელების წინაშეო? საქმე ისაა, რომ პოლონელი მოკრივე ჩიკაგოში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს. ამიტომ ამ ქალაქში ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს. ყოველ შემთხვევაში, სხვაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს.

ერთი სიტყვით, ბრიუსტერმა მეორედ დაიცვა ტიტული, რომელიც შარშან უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსთან ჩხუბში მოიპოვა (ლას ვეგასი, "მენდელეი ბეის კაზინო", 10 აპრილი, 2004წ. WBO-ს მიერ ვაკანტურად გამოცხადებული ქამარი).

"არ ვამბობ, რომ უდიდესი ვარ, რადგან ასეთი ლენოქს ლუისი იყო, - გოლოტაზე გამარჯვების შემდეგ განაცხადა ბრიუსტერმა. - ლუისამდე იყო მაიკ ტაისონი. ახლა მეც აქ ვარ. ვაპირებ, უფრო გავძლიერდე და გავხდე უდიდესი ჩემპიონი. აქ იმიტომ ვარ, რომ საკუთარი სიტყვა ვთქვა".

**P. S. 1981 წლის შემდეგ ჩიკაგოს მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ორთბარძოლისთვის არ უმასპინძლია.**

## ნაჭუჭები



ნინო ტიკარაძე

### კოლინ მაკლაფლინს ვიქტორია ბექჰემობა უნდა!

დამეთანხმებით, ვიქტორია ბექჰემს ბევრი მოშურნე ეყოლება. მისი მეუღლე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. როგორც ამბობენ, დევიდი შესანიშნავი მამა და მეუღლეა. მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ. თანაც, არც გარეგნობა აქვთ ურიგო.

ჰოდა, მოშურნეებს რა გამოლევს?! თქვენ წარმოიდგინეთ (თუმცა, ამაში წარმოუდგენელი რა არის!) მათ შორისაა ასევე ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინი. გოგონამ განაცხადა, რომ ძალიან უნდა ჰგავდეს დევიდ ბექჰემის მეუღლეს ვიქტორიას (გარეგნობით კი არა, ცხოვრების სტილით!)

აღსანიშნავია, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კოლინი და უეინი, დევიდისა და ვიქტორიას მსგავსად, პატარა ფეშენებელურ სახლში დასახლდნენ. მომავალში კოლინი შვილების გაჩენასაც აპირებს, თუმცა, საქმეები ისე კარგად მაინც ვერ მისდის, როგორც ბექჰემების წყვილს. დასამალი არ არის, რომ უეინ რუნს მეტად ფიცხი და ფეთქებადი ხასიათი აქვს, რაც ხშირად, უფრო სწორად, ძალიან ხშირად, განსჯისა და გაკიცხვის საგანი ხდება. მისი გაუწონასწორებლობა მჟღავნდება არა მხოლოდ საქმეში, არამედ კოლინთან ურთიერთობაშიც.

"საუბედუროდ, ხდება ისეც, რომ უეინი უკმაყოფილოა ჩემი ჩაცმულობით. მაგალითად, ამას წინათ ლამაზი ქვედაბოლო ჩავიცვი. ჩემი აზრით, ძალიან მიხდებოდა. უეინმა კი მკაცრად მომთხოვა გამეხადა. მითხრა, "მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ჰგავხარო", - განაცხადა მაკლაფლინმა. იგი იდეალურ წყვილად დევიდსა და ვიქტორიას ასახელებს. "პოში, მაგალითად, იმას იცვამს, რაც თავად მოსწონს. ამის გამო მეუღლესთან პრობლემები არ ექმნება. მეტიც, იგი სამოსს დევიდსაც ურჩევს. მეც ასე მინდა", - დაამატა გოგონამ.

როგორც ხედავთ, მეტად დაჩაგრულია კოლინი უეინის ხელში. რა გასაკვირია, საქმეში ფიცხი და ფეთქებადი ფეხბურთელი საცოლესთან ურთიერთობაშიც რომ არაა მშვიდი და გაწონასწორებული. მთავარი ის გახლავთ, რომ კოლინს მისი გამოსწორების დიდი იმედი აქვს. ალბათ, მაშინ მოახერხებს გახდეს მეორე ვიქტორია ბექჰემი - სამაგალითო მეუღლე და დედა. თუმცა, მანამ მათი დაქორწინებაა საჭირო. თუ საქმეები ისე არ წავიდა, როგორც ეს კოლინ მაკლაფლინს სურს, არა მგონია, წყვილის ქორწილი არათუ უახლოეს პერიოდში, არამედ, საერთოდ, ოდესმე გაიმართოს.

მომავალი გვიჩვენებს!

### ლამპარდი ფეხით სიარულს გადაურჩა

მოგეხსენებათ, ქურდების სამიზნე ხშირად ხდებიან ცნობილი ფეხბურთელები (სიმართლე რომ ითქვას, ისინი არავის ერიდებიან და რაღა ფეხბურთის ვარსკვლავებზე დაუშვებენ გამონაკლისს!).

გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე ხნის წინათ ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის რონალდოს მამის ბინა რომ გატეხეს და, სხვა უამრავ ნივთთან ერთად, მადრიდის "რეალის" ვარსკვლავის მაისურების კოლექცია და მისი ჯილდოებიც გაიყოლეს თან. ამჯერად ქურდების ობიექტი მიმდინარე სეზონის საუკეთესო ინგლისელ ფეხბურთელად აღიარებული, ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი გახდა.

გასულ ოთხშაბათს ფრენკს, როგორც ყოველთვის, მშვიდად ეძინა თავის ორსულ საცოლესთან ელენ რივზთან ერთად. თუმცა, გამთენიისას მათი მყუდროება ნაცნობი ავტომობილების ასევე ნაცნობი ძრავების ხმამ დარღვია. ლამპარდი მიხვდა, რომ მის თავს კარგი ამბავი არ ხდებოდა. თავქუდმოგლეჯილმა ჩაირბინა სამსართულიანი სახლის კიბეები. გარაჟთან მისულმა კი რა დაინახა? არც "მერსედესი" და არც "ასტონ მარტინი" იქ აღარ იყო.

როგორც ჩანს, ლონდონის ერთ-ერთ რაიონში ჩელსიში, სადაც ჩვენი დაზარალებული ფეხბურთელი ცხოვრობს, მასობრივი ძარცვა მომხდარიყო - ლამპარდის გარდა, მის მეზობლებს ქურდებმა კომპიუტერები და ტელევიზორები მოპარეს.

ფეხბურთელმა მაშინვე ფეხზე დააყენა პოლიცია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა სამძებრო მუშაობას. დამნაშავეთა დაკავება ძნელი არ აღმოჩნდა. მათ შორს წასვლა ვერ მოახერხეს. ერთ-ერთი მოპარული ავტომობილი თავად ჩელსიში დააკავეს, მეორე კი - სხვა რაიონში, კერძოდ, ბეტერსში, ტემზის მეორე მხარეს.

მოკლედ, "ჩელსის" ფეხბურთელს დაზარალებულის ამპლუაში დიდხანს არ მოუხდა ყოფნა. სამართალდამცავთა ოპერატიულობამ საქმე მშვიდობიანად მიიყვანა ბოლომდე. ლამპრადიც ფრიად გახარებული და ნასიამოვნები დარჩა.

მართლაც, ხუმრობა ხომ არაა, ფეხით სიარულს გადაურჩა ადამიანი. გაუხარდებოდა, აბა რა?

### ბელუჩის მკერდი ადრიანოს მუხლზე იაფად ფასობს

თურმე ნუ იტყვით და, მილანის "ინტერის" ბრაზილიელი თავდამსხმელის ადრიანოს მუხლი გაცილებით უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე იტალიელი მსახიობის მონიკა ბელუჩის მკერდი. სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდა იტალიური გამოცემა Il Resto del Carlino-ს ერთ-ერთი ჟურნალისტი სათანადოდ ჩატარებული კვლევის შედეგად.

რეპორტაჟის მიზანი გახლდათ იმის გარკვევა, თუ რა თანხას მიიღებენ დაზღვევის სახით ცნობილი სპორტსმენები და კულტურის მოღვაწეები ტრავმების მიღების შემთხვევაში. შედეგებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ სპორტსმენების სხეულის ნაწილები გაცილებით უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე მუსიკასა და კინოში მოღვაწე ადამიანებისა.

მაგალითისთვის ავიღოთ ზემოხსენებული ადრიანოს მუხლი - იგი 15 მილიონ ევროდაა შეფასებული. მარტივად რომ ვთქვათ, სწორედ ამ თანხას გადაუხდიან ფეხბურთელს იმ შემთხვევაში, თუ ის მუხლის ტრავმას მიიღებს. "ფორმულა 1"-ის შვიდგზის ჩემპიონის შუმახერის ხელი სადაზღვეო კომპანიას 12-14 მილიონი ევრო დაუჯდება. ოდნავ იაფია პილოტის - MotoGP კლასში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ვალენტინო როსის ხელი - 12-13 მილიონი ევრო.

ახლა კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებსაც მივხედოთ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვერც ერთი მათგანის სადაზღვევო თანხამ ვერ მიაღწია 10 მილიონ ევროს. ასე, მაგალითაც, იტალიელი ტენორის ლუჩანო პარავოტის ხმა 7-8 მილიონ ევროდაა დაზღვეული, მონიკა ბელუჩის მკერდი - 6-8 მილიონად, ადრიანო ჩელენტანოს ფეხები კი - 5-6 მილიონად.

არა მგონია, ამ მონაცემებს კომენტარი სჭირდებოდეს.

### უცხოპლანეტელი სტუმარი

ბუნებრივია, გაინტერესებთ, ვის შესახებ ვსაუბრობ. ვისზე და თქვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობ ლეგენდარულ არგენტინელ ფეხბურთელ დიეგო მარადონაზე. იგი ბრაზილიაში მეტად პოპულარულ კომედიურ სერიალში "სპეციალურ ოჯახში" გადასაღებად მიიწვიეს. სერიალი მოგვითხრობს უცხოპლანეტელთა მთელ ჯგუფზე, რომელიც დედამიწაზე მეტად საპასუხისმგებლო მისიით არის მივლენილი - ადამიანის გარეგნობით შენიღბულებმა ჩვენი პლანეტის ცხოვრება უნდა შეისწავლონ.

მათ ჩვეულებრივი ოჯახების გვერდით უხდებათ ცხოვრება. თავის მხრივ უცხოპლანეტელი, რომელსაც მარადონა განასახიერებს, დიდი ხანი ცხოვრობს არგენტინაში და ოჯახის ახალ წევრებს ასწავლის მოპყრობას იმ განსაკუთრებულ გენერატორთან, რომელიც მათ ენერგიით ამარაგებს.

მარადონამ შესანიშნავად მოირგო უცხოპლანეტელის როლი. ფრიად კმაყოფილი ჩანს.

ცნობილია, რომ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ახლახან კუჭის ოპერაცია გადაიტანა. შედეგად წონაშიც საგრძნობლად დაიკლო - 129 კილოგრამიდან 100-ზე ჩამოვიდა. ახლა მარადონა მომავალზე ფიქრობს. ამ დროს სწორედ რომ მისწრება იყო სერიალში მონაწილეობა - გადაღებები ერთგვარი განტვირთვა გამოდგა მისთვის. "ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობამ მას სამწვრთნელო მუშაობის დაწყება შესთავაზა, თუმცა, დიეგო ჯერჯერობით არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას.

საჩქაროც არაფერია!

# ვაშლის შესაფუთ ქაღალდზე დაწერილი მოგონებები

ლევან თაქთაქიშვილი

ჩვენი საყვარელი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს შორის გამოირჩევა "მეეზოვის პორტრეტი", რომლის მიხედვითაც ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე, კონკასთან, მეეზოვის ძეგლიც კი დადგეს.

დააკვირდით პორტრეტს. მაქვს ერთი შეკითხვა: რა უჭირავს მეეზოვეს ხელში?

ხელკეტი?! რატომ ცოცხი არა?

ბატონებო, ცოცხი რომ სჭეროდა, ამ წერილს არ მოვამზადებდი. სურათზე გამოსახულ მეეზოვეს ხელკეტი უჭირავს და ეს ლოგიკურიცაა - ფიროსმანი ამ სურათში წარმოადგენს არა დაძონძილ, საბრალო და დაჩაგრულ მეეზოვეს, არამედ მჩაგვრელ, უეროვნებო, "სტუკაჩ" სომხური წარმოშობის "დვორნიკს", რომელსაც ქუდზე ნომერიც აქვს მიმაგრებული (აბა, იხილეთ ამავე ნომერში ეს სურათი და ისევ გავაგრძელოთ ამ თემაზე საუბარი). აი, ასე. მეც თქვენსავით შევცბი, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩემი დიდი პაპის არქივი დავათვალიერე. ჩემი დიდი პაპა - გიორგი თაქთაქიშვილი (1876-1965) ცნობილი სელექციონერი და მებაღე იყო. რევოლუციამდე საზოგადოებრივ მოძრაობაში იყო ჩაბმული, სტატიებსაც აქვეყნებდა "ცნობის ფურცელში", რუსულ გაზეთ "ვოზროჟდენიეში". 1924 წლის აჯანყების შემდეგ თავი დაანება საზოგადოებრივ მოღვაწეობას, თბილისიდან ბორჯომის რაიონის სოფელ რველში გადავიდა საცხოვრებლად და მთლიანად მებაღეობა-სელექციონერობას მიჰყო ხელი. მეგობრობდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან: თედო სახოკიასთან, გერონტი ქიქოძესთან, ივანე ჯავახიშვილთან, დავით კასრაძესთან და სხვ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იგრძნო თავისუფლების სიო და რამდენიმე გაზეთში გამოაქვეყნა საზოგადოებრივი ხასიათის წერილი. ამავე პერიოდში დაიწყო მოგონებების წერა, ოღონდ უსისტემოდ. ზოგიერთი მოგონება ვაშლის შესაფუთ ქაღალდზეც კი აქვს დაწერილი. აი, ასეთმა ერთმა ფურცელმა ეს მოგონება შემოგვინახა სათაურით "მეეზოვის ინსტიტუტი", რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ:

"მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა მეფისნაცვლის განკარგულებით თბილისისთვის მეეზოვეთა ინსტიტუტი. ქალაქ თბილისის თავმა სომხეთიდან გადმოიყვანა ორი ათასი კაცი, რომელთაც მოაყოლეს მათი ოჯახები, ოჯახზე რომ ხუთი კაცი ვიანგარიშოთ, ათიათასამდე სული დააწვა ქალაქს და საქართველოს სარჩენად.

მეეზოვეებს ევალებოდათ - ყოველ საღამოს გამოცხადებულიყვნენ პოლიციის ნაწილში და მოეხსენებინათ პოლიციის ზედამხედველისთვის სახლის მცხოვრებთა შესახებ, ვინ რას აკეთებდა, რას საქმიანობდა, ვინ მოსვლოდათ, ასე რომ, მეეზოვეები ჯაშუშის როლს ასრულებდნენ, ამაში პოლიცია არაფერს სასყიდელს არ აძლევდა, რადგან მეეზოვეების ხელფასს სახლის პატრონები იხდიდნენ.

1906-1907 წლებში რევოლუცია ჩააქრეს და სასტიკი რეაქცია გამეფდა. ვინაიდან რევოლუციონერი ახალგაზრდები საქართველოს სოფლებში ვერ გაჩერდებოდნენ, დიდ ქალაქებს, უმთავრესად თბილისს, მიატანეს. აქ კი ჯაშუში მეეზოვეები პოლიციას ატყობინებდნენ და დიდძალი ახალგაზრდობა გაიგზავნა ირკუტსკში, არხანგელსკში და ჩრდილოეთის სხვა რეგიონებში. რადგან ახალგაზრდა რევოლუციონერებს ცხოვრების სახსარი არაფერი ჰქონდათ, ხუთი-ექვსი კაცი ერთიანდებოდა და ხაზინებს, ფოსტებს და სხვა დაწესებულებებს აყაჩაღებდნენ. ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა თუ საგამომძიებლო სასამართლოებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს - თუ უსისხლოდ იყო ჩადენილი ძარცვა, ეს ქართველების საქმე იყო, ხოლო თუ სისხლით - რუსებისა. სომეხი (დვორნიკის) მეეზოვის სურათი შესანიშნავად, პირდაპირ გენიალურად აქვს შესრულებული მხატვარ ფიროსმანაშვილს." გიორგი თაქთაქიშვილი. რველი. 1962 წ.

ეს წერილი რომ წავიკითხე, მაშინვე ფიროსმანის ალბომს ვეცი. იმ დღიდან მეცინება ძველ თბილისში მდგარ მეეზოვის ძეგლს რომ ჩავუვლი - თბილისი ხომ ერთადერთი ქალაქია, სადაც სისხლისმსმელი, "ცერბერი", უეროვნებო "სტუკაჩის" ძეგლი დგას.

ჩემი ინტერესი ამ საკითხზე არ დამცხრალა, პირიქით, დავიწყე მასალების მოგროვება ამ თემაზე:

თბილისის თვითმმართველობის 1905 წლის დადგენილებათა ქექვისას მრავალ დოკუმენტს მივაგენი და მათი მიხედვით აღვადგინე 100 წლის წინანდელი სურათი. ეს სურათი ასეთია:

1905 წლის 7 თებერვალს შედგა თბილისის თვითმმართველობის სხდომა ქალაქის თავის **ვერმიშევის** თავმჯდომარეობით ქალაქ თბილისის მეეზოვეთა განთავისუფლების შესახებ საპოლიციო მოვალეობათა შესრულებისაგან (წარმოიდგინე, მკითხველო: სომხური წარმოშობის მეეზოვეებმა ისეთი საშინელი სიტუაცია შექმნეს თბილისში, რომ თვით ქალაქის საკრებულოს სომხები დაუპირისპირდნენ).





კრების გახსნის შემდეგ ქალაქის თავმა მიმართა დარბაზში შეკრებილ ხალხს უმორჩილესი თხოვნით, რათა კამათის დროს დაეცვათ სრული სიწყნარე.

- ასეთი მოქცევა კამათის დროს, - ლაპარაკობდა ქალაქის თავი, - უკეთ დაუმტკიცებს ყველას, რომ ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი მზად არიან, მხურვალედ შეუწყონ ხელი საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხების თავისუფალი და საჯარო განხილვის საქმეს.

ხმოსანმა (ხმოსანი - ხმის უფლების მქონე საკრებულოს წევრი) **არღუთინსკი-დოლგორუკოვმა** კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ "მეეზოვეებმა უკანასკნელ ხანებში სისუფთავის მშვიდობიანი იარაღი - ცოცხი შეცვალეს ჯოხებითა და კეტებით და ამ იარაღებით ვარჯიშობენ ქალაქის უდანაშაულო მცხოვრებთა ზურგზე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ ვხედავთ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში მეეზოვეთა მთელ რაზმებს. პოლიციის წარმომადგენლების მეთაურობით და კეტებით შეიარაღებულნი ისინი დასეირნობენ ტფილისის ქუჩებში და მუდამ მზად არიან, შეეტაკონ უიარაღო მცხოვრებთ, ან კიდევ შეგროვილნი არიან სადმე ეზოებში და მზად არიან პირველ დაძახებაზევე გამოცვივდნენ საფარიდან მცხოვრებლებზე თავდასასხმელად. ქუჩების მდგომარეობა სისუფთავის მხრით სავალალოა, ვინაიდან მეეზოვეთა სახით ჩვენ 3 ათასი უფროსი შევიძინეთ; და როდესაც ჩვენ მათ წინადადებას ვაძლევთ, დაგავონ ქუჩები და ეზოები და დაიცვან საჭირო სისუფთავე, ისინი უარზე არიან და თავს იმართლებენ იმით, რომ პოლიციის მიერ მათ დიდი დავალებები აქვთ დაკისრებული, სახელდობრ - დემონსტრაციების ჩაშლა". დასასრულს არღუთინსკი-დოლგორუკოვმა მოითხოვა, აღიძრას შუამდგომლობა, რათა მეეზოვენი განთავისუფლებული იქნენ საპოლიციო სამსახურისგან.

ხმოსანმა **ბაბოვმა** სავსებით გაიზიარა არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოსაზრება და თავის სიტყვაში თქვა:

- "მეეზოვენი პოლიციელთა ხელმძღვანელობით სცემენ კეტებით არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსა და ბავშვებსაც - სხვა და სხვა სკოლების მოსწავლეებს. ასეთი შემთხვევები ხშირია ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისის ქუჩებში. სკოლებში ბავშვებს ასწავლიან ქრისტეს მცნებებს მოყვასისადმი სიყვარულის შესახებ და ქუჩებში კი ყოვლად უდანაშაულოდ უწყალოდ სცემენ კეტებით".

ხმოსანმა **სვეშნიკოვმა** თავის სიტყვაში ყველაფერს დაამატა, რომ "პოლიცია უსევს მეეზოვეებს მცხოვრებლებზე არა უბრალო დაძახებით, არამედ წინასწარ აგროვებს მათ ეზოებში და ასწავლის მათ, როგორ უნდა სცემონ მცხოვრებლებს; პირდაპირ წვრთნიან მათ, რომ მეტი სიმკვირცხლე და უნარი გამოიჩინონ მცხოვრებთა ცემაში, ისე, როგორც მონადირეები წვრთნიან მეძებრებს, ან მხედრები - დოღში გამოსაყვან ცხენებს. უბედურება იმაშია, რომ თვით სახლების მეპატრონენი ხელს უწყობენ ამ უმსგავსობას იმით, რომ სამსახურში ჰყავთ ისეთი მეეზოვენი, რომელნიც პირველ დაძახებაზევე გარბიან პოლიციისთვის დასახმარებლად, რასაც არაფერი საერთო არა აქვს ქუჩებისა და ეზოების დასუფთავებასთან".

ხმოსანმა **კიურაჩიანცმა** ასე წარმოადგინა თავისი აზრი: "ბოკლმა ერთი ბრძნული აზრი გამოსთქვა, რომ უხეირო და უნიჭო ხალხი ჩვეულებრივად ან პოლიციის მოხელეებად მსახურებენ, ან სასულიერო პირებადო. ჩვენ ვინახავთ და ვარჩენთ პოლიციელებს, ისინი კი ჩვენვე გვცემენ. ეს კიდევ არ იკმარეს და თავზე მოგვახვიეს მეეზოვეებიც. ჩვენ ამ უკანასკნელებსაც ვინახავთ, ვარჩენთ, ისინი კი ჩვენვე გვცემენ. ამრიგად, ჩვენ არსებითად გოგოლის გმირ უნტერ-ოფიცრის ცოლს წარმოვადგენთ, რომელმაც თვითონვე გაიწკეპლა თავი. თუ ასეთია გაძლიერებული დაცვის პირობები ქალაქში, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი მდგომარეობა იქნება სოფლებში, სადაც "სტრაჟნიკების" თარეშს საზღვარი არა აქვს. მოვითხოვოთ, რომ მოგვაშორონ ეს ძალად თავზე მოხვეული მეურვეობა. რითი ვართ სხვებზე უარესი? დაგვანებონ თავი. ბოლოს და ბოლოს, არც იმდენი ბობოლები ვართ, რომ საჭირო იყოს ჩვენი გაძლიერებული დაცვა..." (ეხ, ნეტავი ასეთი ხმოსნები დღევანდელ საკრებულოში მანახა, რომლებსაც ან ბოკლი, ან გოგოლი ექნებათ წაკითხული. ლ.თ.).

ხმოსანმა **ხუდადოვმა** საჭიროდ მიაჩნია, აღძრულიყო საერთო ხასიათის შუამდგომლობა - საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების პირობების შეცვლის სურვილის შესახებ.

ხმოსანმა თავადმა **ბარათაშვილმა** აღნიშნა, რომ "თურმე სახლის მეპატრონეებს არა აქვთ უფლება - დაითხოვონ სამსახურიდან მეეზოვენი, რომელთაც თავი ისახელეს პოლიციის სამსახურში. აბა, სცადეთ, დაითხოვოთ მეეზოვე იმისთვის, რომ იგი გულმოდგინედ და მხნედ სცემდა მცხოვრებლებს. იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა სახლის მმართველმა დაითხოვა სამსახურიდან მეეზოვე, მაგრამ რომელიღაც უბნის ბოქაულმა უკანვე მიაღებინა მეეზოვე და სცემა კიდეც სახლის მმართველს". (ხმოსნებიდან ვიღაცას დაუძახია: "ეს მეოთხე უბნის ბოქაული იყო").

დასასრულს ქალაქის თავს მიუჩნევია, რომ საკითხი მეეზოვეთა შესახებ არ უნდა ჩაითვალოს სრულიად უიმედოდ: "ჩვენ აღვძრავთ შუამდგომლობას კანონის სასტიკი დაცვის შესახებ."

62 ხმოსნის თანდასწრებით თვითმმართველობამ ერთხმად დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ტფილისის მეეზოვეთა განთავისუფლების შესახებ საპოლიციო მოვალეობათაგან იმ პირობით, რომ სახლის მეპატრონეს მიეცეს უფლება, თავისუფლად დაიქირავოს მეეზოვე თავის შეხედულებისამებრ, მიუხედავად მეეზოვის ეროვნებისა.

ამ "შუამდგომლობას" არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პოლიცია ამის შემდეგაც ფართოდ იყენებდა მეეზოვეებს თავიანთი კეტებით დემონსტრანტების გასაფანტავად, დასაპატიმრებლად და სხვა. 3 ათასი მეეზოვე ბრმა იარაღს წარმოადგენდა თვითმპყრობელობის ხელში.

აი, ასე. მეეზოვეთა ინსტიტუტი 1914 წლამდე მოქმედებდა. ბოლოს ყველამ მიივიწყა. საბჭოთა პერიოდში იგი უბნის რწმუნებულთა ინსტიტუტმა შეცვალა. ეს ყველას გვახსოვს. ნიკო ფიროსმანმა კი თავისი სურათით საკუთარი ზიზღი ასახა "ცერბერობის" ინსტიტუტის მიმართ. რას იფიქრებდა, რომ შემდგომში უეროვნებო "დვორნიკს" ძეგლს დაუდგამდნენ. მეეზოვეთა ინსტიტუტიც ისტორიას ჩაბარდა.

**P.S.** ვფიქრობ, ეს ამბავი მოსაწყენი არ იყო. ერთმა ძვირფასმა მეგობარმა მთხოვა, მოგროვილი მასალა შემეკვეცა, მკითხველი რომ არ გადაღლილიყო, მაგრამ ვამჯობინე, დოკუმენტები სრულად წარმომედგინა საზოგადოებისთვის, რადგან დღევანდელ თბილისელებს ეს ამბავი მივიწყებული აქვთ, არადა. ძველი თბილისი იცნობდა ასეთ "მეეზოვეებს".

# კიდევ ერთი უკანასკნელი მეფაიტონე

ნინო სტავრიდი

დოლიძის ქუჩა, საბჭოთა პერიოდის დამახასიათებელი სტანდარტული მრავალსართულიანი კორპუსი. საქართველოს სახალხო არტისტის, სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ "საიათნოვას" ხელმძღვანელის მუკუჩ კაზარიანის ბინა. გადააბიჯებ ზღურბლს და უკვე სულ სხვა სამყაროში ხარ. აქ ყველაფერი ძველ თბილისს გახსენებს. მის ვიწრო ქუჩაბანდებს, ხმაურიან მეიდანს, შუა ბაზარს, ვიწრო რიგებში ჩაწყობილ ამქართა სახელოსნოებს, დუქნებს, მოედნებს, სადაც პირველ ნაბიჯებს დგამდა და იზრდებოდა ქალაქური ფოლკლორი...

უძველესი თბილისური საკრავების კოლექციას ძველი თბილისის და ფოლკლორული ჯგუფების ფოტოები ენაცვლება, რომლებიც გვახსენებენ თბილისური ფოლკლორის ისტორიას, ქალაქური ბოჰემის იმ ულამაზეს შტრიხებს, რომლებიც თანდათან დავიწყებას ეძლევა. გასული საუკუნის 30-იანი წლების ფოტოებში იმ დროს ქალაქში პოპულარული მუსიკოსების გვერდით სრულიად ახალგაზრდა მუკუჩ კაზარიანს ვხედავთ. მხოლოდ მერე გვახსენდება, რომ ჩვენი ხალისიანი, სპორტული აღნაგობის მხნე მასპინძელი 80 წლისაა. მუკუჩი ქალაქური და აღმოსავლური საკრავების დიდოსტატია, ძველი თბილისის უკანასკნელი მოჰიკანი, თბილისში შემორჩენილი ერთადერთი მეთარე.

- ათი წლისა ვიყავი, ბიძაჩემმა თარი რომ მომიტანა. შეგირდად მეთარე არშაკას მიმაბარეს. უსინათლო კაცი იყო, მაგრამ შესანიშნავად უკრავდა. ბავშვობაში პურის მოედანზე ვცხოვრობდი. სკოლაშიც იქვე, 71-ე სასწავლებელში დავდიოდი. ჩამოვაყალიბე ანსამბლი, რომელშიც მოწაფეებთან ერთად პედაგოგებიც გაერთიანდნენ. ფიზიკის მასწავლებელი ვიოლინოზე უკრავდა, ხაზვისა - თარზე. მე მუსიკალური განათლება მივიღე. ვუკრავ ფორტეპიანოზე, ყველა აღმოსავლურ საკრავზე, ძალიან მიყვარდა დუდუკი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში მარჯვენა ხელის თითები დამიზიანდა და მას შემდეგ ველარ ვუკრავ. თარი ჩემი უსაყვარლესი საკრავია. ნახეთ, როგორი მელოდიური და ტკბილი ჰანგები აქვს, მოუსმინეთ... უძვირფასესი ინსტრუმენტია. ფორტეპიანოს 52 კლავიში აქვს. თარს კი - 11 სიმი. თითო ნოტზე მეოთხედი ტონალობის აღება შეიძლება. თარი და ქამანჩა საქართველოში არაბეთიდან შემოვიდა. საიათნოვა ქამანჩაზე უკრავდა. მაშინ ეს ინსტრუმენტი სამსიმიანი იყო, თბილისში მას მეოთხე დაუმატეს. დუდუკიც არაბეთიდან წამოვიდა, ქანონიც და უდიაც, მაგრამ ეს უკანასკნელი საკრავი უკვე დაიკარგა. საიათნოვა თბილისელი იყო, მაგრამ სპარსეთში ცხოვრობდა. სწორედ იქ შეხვდა მეფე ერეკლეს, რომელსაც ძალიან უყვარდა აზიური ჰანგები. საიათნოვა სიმღერის ტექსტს ქართულად თხზავდა, სომხურად წერა მოგვიანებით, უკან დაბრუნებულმა დაიწყო. სპარსეთიდან მეფე ირაკლიმ მგოსანი ინდოეთში წაიყვანა, მერე კი საქართველოში ჩამოიყვანა და ხალათი უბოძა. სასახლეში მეჯლისი არ იმართებოდა მის გარეშე. მერე საიათნოვას მეფის ასული შეუყვარდა. ერეკლე იძულებული გახდა, სახალხო მომღერალი მონასტერში გაეგზავნა. როცა შაჰ-აბასი თბილისს შემოესია, საიათნოვა უკვე აქ, სუბ გეორქის ეკლესიაში იყო. მეომრებმა ქამანჩით ხელში რომ ნახეს, თავისიანად ჩათვალეს, მან კი უპასუხა - თბილისელი სომეხი ვარო. მერე სიცოცხლის სანაცვლოდ რჯულის შეცვლა შესთავაზეს. საიათნოვამ უპასუხა: მე ჩემი ხალხის ნოხარი ვარო. ეს თბილისური გამოთქმაა. იცით რას ნიშნავს? მონას. საიათნოვა ხალხის მსახურად დარჩა, ამიტომაც მოკლეს. მაშინ სიმღერები ნოტებზე არ გადაჰქონდათ. მისი ლექსი კი დარჩა, მაგრამ მელოდია გაქრა. 1913 წელს თბილისში ოვანეს თუმანიანმა სახალხო მგოსნის საიუბილეო საღამო ჩაატარა. დაუძახა ჰაზირას და საიათნოვას ლექსების ამღერება დაავალა. ჰაზირა აშუღების ბოლო უსტაბაში იყო, საიათნოვას ყოშებიან კაბას ატარებდა და მისი ნამდვილი მემკვიდრე იყო. ხუთი-ექვსი სიმღერა გააკეთა, ერთ-ერთია "სიზმრად გნახე". მე და ჰაზირას ფოტო გვაქვს გადაღებული საიათნოვას საფლავთან. ბევრი რამ უკვე დაიკარგა. საკრავები კი დარჩა, მაგრამ კარგი დამკვრელები აღარ არიან.. დუდუკს უკრავენ, მაგრამ ისე არა, როგორც ადრე. მეჭიანურე ერთი კაცი შემორჩა, ერთიც ქამანჩის დამკვრელი, თარზე კი მე ვუკრავ.



**- მოწაფეები არ გყავთ?**

- რამდენიც გინდათ, მაგრამ თარი, საზი და ჭიანური არავის უნდა. ფორტეპიანოზე, გიტარაზე, იონიკაზე დაკვრის სწავლა - კი ბატონო... გული მტკივა, ასეთი უნიკალური ტრადიცია რომ იკარგება. 75 წლის რომ გავხდი, იუბილე გადამიხადეს. გამოვედი სცენაზე და ახალგაზრდებს მივმართე, ოღონდ მოდით და უფასოდ გასწავლით თარზე დაკვრას-მეთქი. არავის უნდა... კარგი მუსიკოსები მიმოიფანტნენ. ჩემი მოწაფეებიდან ზოგი ნიუ იორკშია, ზოგი ლოს ანჯელესში, ზოგი მოსკოვში, ზოგიც ერევანში. როგორ კონცერტებს ვატარებდით ადრე... მარო თარხნიშვილთან ერთად მთელი კახეთი მაქვს მოვლილი... ახლაც მოვამზადე ერთი პროგრამა რაიონებისთვის, სულ ქართული სიმღერები შევიტანე, ბევრი უცნობი და მივიწყებულია. კარგარეთელის სიმღერები გაგიგონიათ? - თარს აჟღერებს და ღიღინებს: "რა ვქნა, რა ვქნა..." ეს სიმღერა ქართველებმაც არ იციან. ბევრი ვეძებე, მაგრამ ნოტებს ვერსად მივაგენი. იცით, რა ტკბილი მელოდიაა...

ახალ პროგრამაში საიათნოვას, იეთიმ-გურჯის, მიხეილ ჩირინაშვილის სიმღერები შევიტანე. ჯგუფი მზად არის. სპონსორი გვაკლია - ელიმება. - მე მდიდარი კაცი ვარ, ომის მონაწილის პენსიას ვიღებ, კიდევ ხუთ ადგილზე ვმუშაობ. არც ერთი კაპიკი არ მინდა, მაგრამ მგზავრობის ხარჯს და ჯგუფის ჰონორარს ვინ გადაიხდის?

ქალაქურ ფოლკლორს გაფრთხილება სჭირდება, ისე როგორც ქართულ სიმღერას. ჰამლეტ გონაშვილი რომ მღერის, ტანში ჟრუანტელი მივლის. მარო თარხნიშვილი როგორი იყო, დები იშხნელები... ახლაც არიან კარგი შემსრულებლები, მაგრამ სცენაზე უფრო ხშირად ისეთი მომღერლები გამოდიან, რა უნდა გითხრათ...

ახალგაზრდებს მინდა ვთხოვო: გადაშალეთ თქვენთვის უცნობი ქალაქური ხალხური პოეზიის ფურცელი, სადაც ტკბილად მოღუღუნე საოცარი ჰანგები გელოდებათ!

სახელი ____________ მისამართი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

სიმაღლე ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible] "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible], 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოგზავნილ უნდა იქნას ორი კვირის განმავლობაში.

TV პროგრამა




TV პროგრამა

22 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "სანაპირო დაცვა" (18) **02.00** პატრული

### [1-ლი არხი]

ორშაბათი **08.00** დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -ჯორჯ ბუში **16.30** დოკ. ფილმი "ლეო ფერე - უსაზღვრო ბედნიერება" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი **23.30** მხ. ფილმი "წვეულების ბოლოს" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ექო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "შეუმჩნეველი ადამიანი" (15) (ალბერტ ფინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** "ცოცხალი სურათები" **20.30** მულტსერიალი "ამბები ბავშვობის შესახებ" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "ზერიკაცები"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** სათავ. ფილმი "როგორც მაიკი" **12.40** ბოევიკი "გმირი" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.05** ვესთერნი "რაზმი" **18.10** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "სილამაზის ხელოვნება" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** თრილერი "იდეალური მკვლელი" **22.40** "პროექცია" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მისტიკა "გემი-მოჩვენება" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Фантастический фильм **"ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ: АТАКА КЛОНОВ". 12.20** Наталья Гундарева в фильме **"ОДНАЖДЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ" 13.50** "Писатель и вождь. Шолохов - Сталин". Фильм 1-й. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Последний узел". **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 22.40** Док. фильм "Че Гевара. "Я жив и жажду крови...". 1-я серия. **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Черное солнце Михаила Шолохова". **00.50** Джин Хэкмен в триллере **"ФРАНЦУЗСКИЙ СВЯЗНОЙ". 02.20** Камерон Диас в фильме **"ЖЕНСКИЕ ТАЙНЫ".** Несколько новелл о женщинах интеллигентных, самостоятельных и весьма достойных. Все они проживают в Лос-Анджелесе, тщательно следя за тем, чтобы их имидж соответствовал образу умиротворенной и преуспевающей дамы. Вероятно, по этой причине так трудно представить, что за маской благополучия скрываются невероятная сердечная боль и... глухое одиночество. Но чего бы стоила наша жизнь без всепобеждающей надежды на то, что все еще изменится, устроится и судьба улыбнется? **04.10** Кесли Грэммер в комедии **"СПОРТИВНЫЕ СТРАНИЦЫ".** Один известный философ полагал, что каждому человеку свойственно приукрашивать однажды услышанный им рассказ. "Спортивные страницы" - яркая тому иллюстрация. Среди историй, составляющих "страницы", многие - плод фантазии, но есть среди них и те, что позаимствованы из реальной жизни.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.50** Квартирный вопрос. **13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ХАЛТУРКА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЛЕВЫЙ ГРУЗ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Премьера. Сериал **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ОДИНОЧНЫЙ ВЫСТРЕЛ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Роб Лоу в детективе **"МАСКАРАД".** Мирную жизнь курортного городка будоражит огромное наследство красавицы Оливии, вынужденной жить с мужем недавно умершей матери. Ее отчим, отъявленный негодяй, решает убить падчерицу и завладеть богатством. Нанятый им убийца влюбляется в свою жертву и устраняет самого злодея. Но тут появляется некий "друг детства" - новый охотник за миллионами... **03.10** Жаклин Смит в фильме **"КАЛЕЙДОСКОП". 1**-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

# "ლეონარდო" თუ "მონა ლიზა". კაცი თუ ქალი?

გიგა გურასაშვილი

*მარსზე ვინ უნდა გაფრინდეს პირველი - ქალი თუ მამაკაცი? არადა, ასტრონავტობაზე ერთგვარი მონოპოლია კაცებს აქვთ აღებული, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ფიზიკური მონაცემების გამო, მაგრამ როდესაც საქმე წითელ პლანეტას ეხება, ორად გაყოფილი მეცნიერება საკუთარი არგუმენტების მართებულობაში გვარწმუნებს. ერთნი ქალებს ანიჭებენ უპირატესობას, მეორენი - კაცებს. მართალია, მარსზე პირველად ქალის გაფრენის იდეა გარკვეული კვლევა-ძიების შედეგად, ერთი შეხედვით უფრო მტკიცედ და გამართლებულად მოჩანს, მაგრამ სჯა-ბაასი რომ კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს. მანამდე კი ექსპერიმენტების დროა. პროექტის თაოსნებმა ამისთვის ლეონარდო და ვინჩის "მიმართეს" - ჯერ დიდი ხელოვანის სახელს და მერე მის ფერწერულ ტილოს. საუბარია პროექტებზე "ლეონარდო პროჯექტ" და "მონა ლიზა პროჯექტ". "ლეონარდოს" პროექტში კაცები მონაწილეობდნენ, ხოლო "მონა ლიზაში"...*





მარსიანული გატაცება არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. წითელი პლანეტის შესწავლით მეცნიერება დიდი ხნის მოწამლულია, მაგრამ მასზე დაკვირვებები ჯერჯერობით გიგანტური ტელესკოპებისა და კოსმოსში გაშვებული თანამგზავრების მეშვეობით ხდება. NASA-მ (აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სამმართველო) ამ მიზნით ორი მარსმავალი - "სპირიტი" და "ოპორტუნიტიც" კი გადასხა საიდუმლოებით მოცულ პლანეტაზე. თანმიმდევრობის მიხედვით ახლა მარსზე ადამიანის გაფრენის ჯერია. ამბობენ, პიონერი სუსტი სქესის წარმომადგენელი იქნებაო. ყოველ შემთხვევაში, ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით, უპირატესობა "მონა ლიზას" ენიჭება, რომლის ექვსი წევრისგან შემდგარი ჯგუფიც ახლახანს იუტას შტატის სამხრეთ უდაბნოში მოდელირებული წითელი პლანეტიდან დაბრუნდა.

პროექტის მიზანი მარსზე ერთსქესიანი ჯგუფების უპირატესობისა და მასზე შესაძლო, მოსალოდნელი პრობლემების გარკვევა გახლდათ.

"მონა ლიზას" გუნდმა, რომელიც 39-40 წლის ქალბატონებისგან შედგებოდა "მარსზე" ორი კვირა გაატარა. მისი მიზანი რამდენიმე სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება გახლდათ - სკაფანდრებით უდაბნოს გამოკვლევა და რიგი ამოცანების შესრულება, რომელთა განხორციელებაც სავარაუდოდ ნებისმიერ გუნდს მარსზე გადაჯდომის პირველივე წუთებიდან მოუწევს.

მიუხედავად იმისა, რომ "მონა ლიზას" წევრები წარმატებით გაუმკლავდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, თავად მიაჩნიათ, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელებთან პაექრობის შანსები მაინც ნაკლები აქვთ.

"არაერთი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ ქალებსაც ისევე წარმატებით შეუძლიათ გაუმკლავდნენ მიკროგრავიტაციას, კოსმოსის სხვა გამოწვევებს, ხოლო რიგ ამოცანებში ძლიერი სქესის წარმომადგენლები დაჯაბნონ კიდეც, მაგრამ კოსმოსური სააგენტო მაინც მიიჩნევს, რომ ქალები "ძალზე სუსტები" არიან მარსზე მისიისთვის, - საკუთარ მოსაზრებასა თუ დასკვნას გვამცნობს გუნდის ფსიქოლოგი შერილ ბიშოპი. - თუმცა ვინ იცის? შესაძლოა, მაინც ქალი აღმოჩნდეს პირველი, ვისაც წითელ პლანეტაზე მოუწევს ფეხის დადგმა".

ამასობაში ევროპის კოსმოსურ სააგენტოში (ESA) მიაჩნიათ, რომ პირველი ქალი მარსზე 2030 ან 2035 წელს დააბიჯებს.

და მაინც, ოჰაიოს სამედიცინო კოლეჯში თვლიან რასაც ხმამაღლა აცხადებენ კიდეც, რომ ხანგრძლივი მისიებისას ამ შემთხვევაში, მარსზე გაფრენისთვის, ასტრონავტობისთვის უფრო ქალი გამოდგება, რადგან კაცებს "ბიოლოგიური მიზეზების" გამო გაუჭირდებათ კოსმოსური ფრენის რთულ პირობებთან გამკლავება.

იმავე კოლეჯის პრეფესორი უილიამ როუს სიტყვებით თუ ვიხელმძღვანელებთ, 30-40 წლის მამაკაცებს, შესაბამისი ასაკის გამო ყველაზე შესაფერ ასტრონავტებად მიიჩნევენ. კოსმოსში ხანგრძლივი ფრენისას დიდი ალბათობაა, რომ ამ ასაკის მამაკაცებს გულის დაავადებები განუვითარდეთ, რადგან ღია კოსმოსში გასვლისას გულისცემა შესაძლოა, წუთში 170 დარტყმამდე გახშირდეს. გარდა ამისა, კაცის ორგანიზმში მეტია რკინა, რომლის რაოდენობამაც კოსმოსში შეიძლება მომწამვლელი გავლენა იქონიოს.

რაც შეეხებათ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, 30 წლის ქალები საკუთარივე ფიზიკური და ჰორმონალური "დაგეგმარების" წყალობით, რომლებიც მათ გულისა და სასუნთქი ორგანოების დაავადებებისგან იცავს, ბევრად ჯანმრთელები იქნებიან. ამასთან, ქალს კაცთან შედარებით ნაკლები წონა აქვს და ნაკლები კალორია სჭირდება.

თუმცა, ახალგაზრდა ქალებისთვის არსებობს ერთი ბიოლოგიური წინაღობაც - ქალური ციკლი. ანუ ქალისთვის კრიზისულ პერიოდში ღია კოსმოსში გასვლისას შეიძლება წარმოიქმნას სპეციფიკური პრობლემები, კერძოდ, დეკომპრესიის რისკის მომატება.

მთლიანობაში, როგორც ამაში იგივე უილიამ როუა დარწმუნებული, NASA და ESA მარსზე პილოტირებული მისიების დაგეგმარებისას, რაც დაახლოებით 2030 ან 2035 წლებისთვისაა განსაზღვრული, უმჯობესი იქნება, თუ ყურადღებას სუსტ სქესზე გაამახვილებენ.

დედა მაყვალა სტურუა, ბიძა მელორ სტურუა ოჯახით, დეიდა მარიკა ოჯახით, ძმა გიორგი სტურუა მეუღლეთურთ, მეუღლე ნატო, ქალიშვილი ანა სტურუა, ძმისწული დევი სტურუა მეუღლეთურთ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იოსებ (სოსო) სტურუა**

პანაშვიდი: 24,25 მაისს, 17 საათზე.
დაკრძალვა 26 მაისს, 15 საათზე.
მისამართი: ბარნოვის ქ.67, ბინა 20.








თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




